



290  
2003

00. ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԿԵՐՊԵՐԻ ՊԱՅՈՎԱԿԱՆ ԽԵՂՄԱԳԻՐԻ  
ԵՐԱՇԽԵԲԾՈՒՅԹԻ ՖՈՏՈԳՐԱՖԻ

ՏՐՈԴՆ ՏԲԻԼԻՍԻ ՊԵՏԱԿԱՆ  
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ Ի. ՇՎԱԲԱՋԻՆԻ

PROCEEDINGS OF TBILISI JAVAKHISHVILI STATE  
UNIVERSITY

348

ISSN - 1512 - 1445

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆԻ ԳՅԱՀ

ԼԻТЕՐԱՏՈՐՎԵԴԵՆԻՑ

LITERARY RESEARCH



საქონლის სამსახური  
საქონლის სამსახური  
საქონლის სამსახური  
საქონლის სამსახური  
საქონლის სამსახური  
საქონლის სამსახური

748

სამსახური  
სამსახური  
სამსახური  
სამსახური



თბილისის სამსახური  
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА  
TBILISI UNIVERSITY PRESS

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА ИМ. И. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF TBILISI I. JAVAKHISHVILI  
STATE UNIVERSITY

348

ЛИТЕРАТУРОВЕДЕНИЕ  
LITERARY RESEARCH

Сборник научных трудов Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили  
Академической конференции, посвященной 150-летию со дня рождения А. С. Пушкина  
**ТБИЛИСИ 2003 TBILISI**



03. ხავახიშვილის სახელმგბის თაღის სის  
 სახელმწიფო ენოვერსიტეტის მროვები

348

მიმდევ დაზიანების მიზანი ისეთი რეაციების  
 (იმპერიუმ) იცველ იურიდიულ და ეკონომიკურ  
 კულტურულ და კულტურულ მიზანის დაზიანების  
 (იმპერიუმის) უნივერსიტეტის დაზიანების


„M. N. ეძღვისას ერთობლივ განვითარებულ  
 ა. M. მაცდი „R. კოდი „A. T. მუნაშვილი  
 „R. ჩოლოვანის და 4. M. ვალერი მარკოს (ეპტემბრის)  
 მიზანი „A. A კულტურულ დოკუმენტის ლ. ვარდიშვილის  
 მიზანი“ და მეტი მიზანის დაზიანების მიზანი“

## ლიტერატურათმეცნიერება

„M. N. ეძღვისას ერთობლივ განვითარებულ  
 ა. M. მაცდი „R. კოდი „A. T. მუნაშვილი  
 „R. ჩოლოვანის და 4. M. ვალერი მარკოს (ეპტემბრის)  
 მიზანი „A. A კულტურულ დოკუმენტის ლ. ვარდიშვილის  
 მიზანი“ და მეტი მიზანის დაზიანების მიზანი“

თაღი 2003

© 2003 საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს მთავრების მოწილეობაში ხვდება  
მისამართის მიმღები მუსიკურის მუსიკურის

**სარედაქტო ქორმაზი:** ნოდარ ჯავახაძე, თენციზ  
კიკაჩეიშვილი, ლია ლორია, მარიკა ოძელი (მდივანი),  
მანანა ჯავახაძე, ნოდარ ფორაქიშვილი, არიანე  
ჭანგურია, ელგუჯა ხინთიძიძე (რედაქტორი).

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Какабадзе Н. М.,  
Кикачеишвили Т. А., Лория Л., Одзели М. В.  
(секретарь), Пайчадзе М. Г., Поракишвили Н. Л.,  
Хинтибидзе Э. Г. (редактор), Чантuria A. A.

**EDITORIAL BOARD:** Nodar Kakabadze, Elguja  
Khintibidze (editor), Tengiz Kikacheishvili, Lia Loria,  
Marika Odzeli (secretary), Manana Paichadze, Nodar  
Porakishvili, Arrian Tchanturia.

ენის მიმღები


© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003

## მარინა ბერიძე

### ანდრეი ბელი და საქართველო

ანდრეი ბელი ალექსანდრ ბლოკთან ერთად რუსული სიმბოლისგერი სეოლის უმცროს თაობას წარმოადგენდა. მისი ღვაწლი მხოლოდ მხატვრული მემოქმედებით არ შემოისაზღვრება. იგი გახლდათ გამუდმებულ ძიებამი მყოფი მემოქმედი. მან მეიმუშავა თავისუფალი ღვევის პოეტიკა, იყო სიმბოლიზმის თეორეტიკოსი, მრავალი კრიტიკული თელიგერატურათმცოდნებითი წერილის ავტორი. ანდრეი ბელიმ მწერლის სტილის შესასწავლად პირველად გამოიყენა მათემატიკური მეთოდი და სტატისტიკური მონაცემები. იგი მოაბროვნეთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელმაც ღრმად შეისწავლა და შემდეგ უარყო მრავალი ფილოსოფიური კონცესაცია; ამავლობულად ავტორია ბრწყინვალე მემუარების. ასეთად შემოინახა ლიტერატურის ისტორიაშ ანდრეი ბელის ხახელი.

ანდრეი ბელის განსაკუთრებული გარემოება აკადემიკებდა საქართველოსთან, სადაც ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებული აპირებდა ჩამოსვლას. იგი მხოლოდ ცხოვრების დაისტე ეწვია საქართველოს – პირველად 1927 წელს, შემდეგ 1928 და 1929 წლებში.



ანდრეი ბელის პიროვნების უორმირებაში, როგორც  
თავად მიიჩნევს და არაერთგზის მიუთითებს მემუარებში,  
დიდი როლი შეასრულა მისმა მამამ - ქნობილმა  
მათებაგიოსმა, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა,  
წლების განმავლობაში საბუნებისმეტყველო უაკეთების  
დეკანმა ნიკოლოზ ბეგაევმა.

აი რას წერს იგი ამის თაობაზე:

„მისი (მამის - მ.ბ.) გავლენა უბარმაზარია: იგი აქტიურ  
გავლენას ახდენდა ჩემშე აბრთა თანხედრითა თუ  
ეთანხმოვით, მძაფრი მსოფლიმსედევლობითი შეხლა-  
მემოხლით თუ უარელი დიდი სიყვარელის გამომხატველი  
ექსგით; თვალსაზრისთა თანხედრა თუ მასთან პოლემიკა  
განსაზღვრავდა ჩემს ინტერესთა წრეს“ (1,49).

სწორედ მამის ბავშვობის მოგონებები აკავშირებდა  
თავდაპირველად ანდრეი ბელის საქართველოსთან. მისი პაპა  
ვასილ ბეგაევი, სამხედრო ექიმი, ერთხანს დუმეთში  
მსახურობდა. აქ, დემეთში, დაიბადა მისი მამა - ნიკოლოზ  
ბეგაევი.

ანდრეი ბელი მემუარებში ასე ხატავს პაპას:

„მამამისმა (6. ბეგაევის მამა - მ.ბ.) - სამხედრო ექიმმა,  
ნიკოლოზ პირეელის მიერ გადასახლებულმა და, ვკონებ,  
ჩამოქვეთებულმა, მოსკოვიდან ამიერკავკასიაში ამოყო  
თავი, რათა წლების მანძილზე სამსახურით მოეპოვებინა  
მდგრმარეობა. მამაც მხედარს დიდ პატივს სესმდნენ თვით  
მგრები - ლექები. ეპა წყალიბდა გყვედჩავარდნილებს და  
ამიგომაც იგი მარტო მგბაერობდა მთებში - დაუსჯელად“ (1,  
გვ.55).

როცა ანდრეი ბელიმ უნივერსიტეტის ეკრისი დაამთავრა,  
მამამ, რომელიც უკვე თავს კარგად ვერ გრძნობდა,  
განუცხადა თავისი სურვილი - ერთად ემოგზაურათ  
კავკასიაში. მამა-შვილის საუბარს შეესწრო მკურნალი ექიმი.  
მან ნიკოლოზ ბეგაევს ურჩია სოუელში დაესვენა. მამა

მიხედა, რომ ჯანმრთელობა ძალიან პქონდა შერყეული და ეურო აჩქარდა. სელ მთებბე და დუმეთზე ლაპარაკობდა, სადაც დაიბადათ – იხსენებს შემდგომ ანდრეი ბელი (2, გვ.274).

როგორც მწერლის მოგონებებიდან ჩანს, ანდრეი ბელის დიდი სერვილი პქონდა ემოგბაურა პაპის და მამის ნაკვალევებე, რაც პირველად მხოლოდ 1927 წელს განახორციელა. ამ მოგბაურობისას იყო თაერისთვის იწერდა მთაბეჭდილებებს. ეს მასალა შემდეგ შეგობრების თხოვნით გადაამუშავა და გამოსცა წიგნად სათაურით „ქარი კავკასიონიდან“ (3). ამ თხბეჭდების ქექსათაურია „მთაბეჭდილებანი“. ნაწარმოებში მწერლის განსჯა და ნაამრევი დღიურების სახით არის წარმოდგენილი. „ქარი კავკასიონიდან“ მრავალი თვალსაზრისითაა საინტერესო.

1927 წელს, როდესაც ანდრეი ბელი პირველად ჩამოიერა საქართველომი, თბილისში საგასტროლოდ იმყოფებოდა დიდი რესი რევისორი ქსეკოლოდ შეიერპოლდი თეატრიალურ დასთან – გიმთან – ერთად. ამ პერიოდში მეიერპოლდი დასადგმელად ამზადებდა სპექტაკლს ანდრეი ბელის რომანის „შოსკოვის“ მიხედვით. საქართველომი ამის გამო შეხვდნენ ისინი ერთმანეთს და ერთად იმოგბაურეს. წიგნში „ქარი კავკასიონიდან“ გაცოცხლებულია ეს. მეიერპოლდის სახე, ანდრეი ბელის თვალით დანახული. ამ წიგნში შემოინახა ძალებე საინტერესო მასალა თეატრმცოდნებისათვის. კერძოდ, რევისორის უანგაზის უნარშე, მსახიობებთან მუმაობის სტილზე და ა.შ. ანდრეი ბელი ყველაზე მეტად მეიერპოლდისეულმა სამყაროს ხელამ მოხიბლა. მწერლის აზრით, სწორედ სამყაროს ამგვარი აღქმა გამოარჩევს დიდ ხელოვანთ, დამოუკიდებლად მხატვრული მრწამსისა, ეპოქისა თე სტილისა, იქნება ის მსახიობი, უერმწერი, პროლეტარული მწერალი თე პოეტი სიმბოლისტი.

ამ მოგზაურობის დროს ანდრეი ბელიმ თავისთვის ხელახლა აღმოაჩინა ურებელი, უფრო ზესგად ახლებურად გაიაშრა მხატვერის შემოქმედება, კერძოდ, მისი კავკასიის თემაზე მექმნილი ტილოები.

ლიტერატურის ისტორიკოსთათვის უდაცოდ საინტერესოა წიგნის ის მონაკვეთი, სადაც შწერალი მკითხველს მოუთხრობს, თუ როგორ იწყებს ჩანაფიქრშე მუშაობას.

რესულ ლიტერატურულ სინამდვილეში პირეელი ნაწარმოები, სადაც კავკასიაში და მისდაკვალად საქართველოში მოგზაურობის მთაბეჭდილებებია აღწერილი, გახლავთ ალ. ჟემეინის „მოგზაურობა არჩრუმში“, რომელსაც ზესგად ურთი საუკუნე ამორებს ანდრეი ბელის „ქარი კავკასიიდან“.

ალ. ჟემეინი თავის თხზულებაში ყურადღებას ძირითადად ადგილობრივ კოლორიზებები ამახვილებს. მისი ხელების არეალში მოქცეულია თბილისის ბაზარი, აბანოები, ქართული დვინო. ალ. ჟემეინის აზრით, საქართველო არაგვის ხეობიდან იწყება. ანდრეი ბელის თხზულებაში იგრძნობა ქვეყნის ისტორიის ღრმა ცოდნა. მისი ინტერესი ძირითადად საქართველოს ერთგულ მონაპოვარზეა გადაგანილი.

ყაზბეგის მთაც რესულ ლიტერატურაში პირეელად „მოგზაურობა არჩრუმში“ გამოჩნდა. თუმა ჟემეინს ლირებელი ხაგი ყაზბეგისა არ წარმოუსახავს. ყაზბეგის მთის ერთობ თრიგინალური ხაგი მექმნა ანდრეი ბელიმ: „Казбек есть гигантский, ритмический, данный в паузе неба и воздуха“ (3,178). „ყაზბეგი გიგანტურია, რიტმული, ცისა და ჰაერის ჰაეზაში წარმოდგენილი.“

ანდრეი ბელი მიიჩნევს, რომ ძეელმა კოლხეთმა მისუა სგიმული მთელს მის თაობას შემოქმედების დასაწყისში. მათ სიმბოლურად თავი არგონავტებად წარმოისახეს და მიიღეოდნენ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. იგი იხსენებს თითქმის ნახევარი საუკუნის წინ დაწერილ საკუთარ ლექსს

„არგონავტები“, რომელიც მთელი თაობის რეს სიმბოლისგ  
პოეტთა ლოგიუნგი იყო: „ოყო არგონავტების წრე – ჯერ კიდევ  
ახალგაზრდა სიმბოლისგების; ჩვენ გვჯეროდა, რომ  
არგონავტები მიადგებოდნენ „ოქროს საწმისის“ ქვეყანას.  
ოცი წელი მიეცერავდით იდეურ დინებებში, კუნძულების,  
რედაქციების გასწვრივ. არსად მეცხრებულეართ.  
მიეცერავდით წინ და არ გვჯეროდა წყნარი ნაესაყედლების.  
ეერ მიეცერეთ. სხვადასხვა ნაპირზე მიმოვიდანგრეთ. მე კი  
მოცეცრე უძველეს ქვეყანაში, გიმგიმა, აალებულ კოლხეთში.  
საწმისი – განახლებული მთელი სამყაროს ნიშანია.  
ესნაურია, მე ვიპოვვე ჩემი ღანდმაუგი“ (3, 38).

როგორც ცნობილია, ანდრეი ბელი წინასწარმეტყველების  
უნარით დაჯილდოებული პიროვნება იყო.  
ლიგერაგერათმცოდნები მიუთითებენ, როგორ  
იწინასწარმეტყველა მან თავის ნაწარმოებში ის მოვლენები,  
რომლებიც მე-20 საუკუნეში განვითარდა რესეტში. აჭარაში  
ჩასული ანდრეი ბელი თავადაა გაოცებული, როგორ  
ემთხვევა ათეული წლების წის დაწერილ ლექსში  
„არგონავტები“ წარმოსახული უერთა გამა რეალურად  
ნანახს. ასევე მიუთითებს, რომ ლექსის მებრძოლი ტონი  
გადახლართულია სევდასთან. ასეთივე სევდაა აქაც, თუმცა  
არის „ლავვარდიც“ და „ოქროც“.

„Меркнет отблеск червонца,

И светочи дня...

Но везде вместо солнца

Ослепительный пурпур огня.“ (3, 39)

წიგნში „ქარი კავკასიიდან“ აჭარის ჟეიბაების  
აღწერისას ანდრეი ბელი თავისი ლექსების პირველ  
კრებულში „ოქრო ლავვარდში“ წარმოსახულ უერებს  
უბრუნდება. ნაწარმოების ამ პასაჟებს თავისუფლად მეიძლება  
ვეწოდოთ უერწერული გილოები.

საინგერესოა ანდრეი ბელის პირველი შთაბეჭდილება ქართველ ხალხშე. აი რას წერს იგი: „ხმირად მსმენია ქართველები, უხვირაწეულნი”, რესებს ავიწოდებენო. არ ვიცი, არ მინახავს. ჩემმა კოდაქმა ეს ვერ გამოავლინა. ქართველი ხალხი ჩემთვის დარჩა მშენიერ ერად, რომელიც აერთიანებს ძეელ კულტურას (გაცილებით უფრო ძეელს, ვიღრე ჩვენია. . . ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ქართველებისგან: გელითადობა, თავშეკავებულობა მერწყმელი ნამდეილ და არა სასაცილო გელწრფელობასთან” – 3, 129). ამ სტრიქონებს ა. ბელი წერდა მამინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იქნობდა ქართველ მემოქმედებით ინგელიგნიას. მოვაიანებით, როდესაც ახლოს გაეცნო თანამედროვე ქართველ კულტურელ-ლიტერატურულ ყოფას, მან დაასკენა: „მე ვნახე ქართველი ბრძყალების გარეშე, ვნახე და ორმაგად ვიგრძენი თავი რესად. დიახ, საქართველო დახუნძლეული იყო კულტურით, როდესაც ჩვენ მხეცებივით დაეცეხებულით ტყეებში. ქართველები ჩვენშე უფროსები არიან. ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ მათგან. მესმოდა საყვარელი სიმბოლოები: ლერმონთოვი, პუშკინი და მე? მე, რომელსაც რესთაველი ბალმონგის თარგმანში მქონდა წაკითხული, მემეძლო, იგივეთი მექასუხა?”<sup>10</sup>

საინგერესოა კიდევ ერთი დეტალი. ამ ნაწარმოებს, თუ მეიძლება ასე ითქვას, რეფრენად გასძევეს ა. ბელის მამის, ნიკოლოზ ბეგავეის, სახე და მისი კონგაქტი საქართველოსთან. თხშელებაში წარსული და აწმყო ერთმანეთზეა გადაჯაჭვეული. წარსულის ხიბლიდან გივგივდება ნაწარმოებში მამის სახე: „მამის გარდაცეალების მემდეგ 1903 წლიდან ეკრმანენგულად მესიმმრებოდა და დღემდე მესიმმრება ერთი და იგივე. მამა გარდაიცვალა, ის კი ცოცხალია. თავის სამმობლოში – კავკასიაში გაემგმავრა. ცხოვრობს დემეთში. მოულოდნელად დაბრუნდა. სიმმარში

მებაადება ამრი: როგორ შეგვეძლო გვეუიქრა, რომ გარდაიცვალა. როგორ შეეძლო მას, უხოერობდა რა დემოტში, ჩვენთვის არ ესწობებინა. ეტობა კავკასიაში გამგმაერება მეხსიერების გრანსპლაიგაციაა სიზმარში. მისი გარდაცვალების წინ ჩვენ უნდა ჩამოვსულიყავით კავკასიაში” (3, 45).

ანდრეი ბელიმ ქართველ მწერლებთან ერთად იმოგზაურა საქართველოს სამხედრო გზით და ამ მოგზაურობის აღწერისას თხზულებაში მემოდის კილევ ერთი პასაკი წარსულიდან ამოგიცვიებული:

„ვეახლოვდებით დემეთს. მამა წამოიმართა ჩემს წინაშე – “პაგარა კოლენქა” და არა პროფესორი ბეგაევი. ის ხომ დემეთმია დაბადებული. ორმოუი წლის წინ ჩვენს ბინაში არიაგზე ჩამისვამდა ხოლმე კალთაში, თაეზე ხელს მისვამდა და მეუბნებოდა: რა არის მოსკოვის ბუნება ბორინჯა. ძვირუასო მეგობარი, შენ კავკასია უნდა განახა: იქ მთა კი არა, მთების ჯარია, ძმაო, აი, ასეთი - და ხელებს მღიდა” (3, 203).\*

და ჩემს წინაშე წამოიმართებოდა დემეთი და იქ ბაბუა, მამაცი მხედარი, ჯარისკაცებს რომ უკვარდათ, მთიელებს, ლეკებსაც, იმ ლეკებს, როსლებსაც ებრძოდა. ის – სამხედრო ექიმი – ათობით ტყვეს რომ მეურნალობდა. მათ ჟირისპირ ხედებოდა მიუვალ ადგილებში. მახსენდებოდა თავადი ჭავჭავაძე, რომელსაც სტემრობდა ხოლმე ვასილ ბეგაევი, ერთად სვამდნენ კახურ დვინოს. მას ორმოუიან

\* 1903 წლის 28 აპრილს ალ. ბლოქმა აქნობა ა. ბელის იაფხანი მომავალი ქორწინების შესახვება და სოხოვა მისი საქოლის ღ. მენდელევეს შეკვარე უოფალიყო. ა. ბელიმ მაღლობა გადაუხადა ა. ბლოქმ დიდი ჟაგიფისათვეს, მაგრამ ვააურითხოდა, რომ მექაძლოა უკრ დასწრებოდა მათ კურისწერის შაბამაგრეობა. კინათვან აეაღმირე მამას უნდა ვაკოლოდა კავკასიაში (4, 30-31).

წლებში უკვე ახსოვდა ეს ველი. ძველი ღრი ცოცხლდებოდა მამის მონათხრობში. იმ დროს ლერმონტოვი მუშაյთან ცხოვრობდა, ლევ ტოლსტოი აქ არ იყო ნამყოფი.

იამეილმა და გაბიძემ, რომელთაც ვუთხარი, რომ საქართველო ჩემი სამშობლოა, დემეთი დამანახეს, ხელმარჯვნივ წარმგაცად გადამლილი, მკითხეს:

—შევიაროთ?

—ჩავიდე? რისთვის. არც ქაჩა ვიცი და არც სახლი, სადაც მამა დაიბადა. რაღაც სევდა ახლავს მოახლოებულ წარსულს” (3, 203).

„ქართა კავკასიიდან“ შემოინახა ანდრეი ბელის მიერ მთამბეჭდავად დახატელი ქართველი „ცისფერყანწელების“ პორტრეტები. ანდრეი ბელი უმეტეს შემთხვევაში ცდილობს აღადგინოს სიგუაცია და ისე წარმოსახოს ამა თუ იმ პიროვნების სახე ეს კი ერთგვარ დინამიკურობას სძენს ეპიზოდებს, რაც საერთოდ ნიშანდობლივია მწერლის მემეარული მემკვიდრეობისათვის.

შაგალითად, პირველად ასე ჩნდება პაოლო იაშვილის სახე ნაწარმოებში:

ყიხისძირში ანდრეი ბელისთან ოთახში შევიდა დიასახლისი და უთხრა, პოეტი გუითხელობსო. მას ეგონა ისევ მოაკითხა ერთმა რესმა ყმაწვილმა, რომელიც წლების მანძილზე დასდევდა თავისი უნიჭო ლექსებით და სთხოვდა, აზრი გამოიტქვა მათზე. „გულაკანკალებული გავედი აივანჩე. მეგონა დავინახავდი ფერმერთაღ, მქერდმებნექილ ყმაწვილს, მხრებჩამოყრილს, უიებ-უხელებიანიერთ მოციმუიმე, მემინებული, ზვიადი თვალებით, მსხვილი გრავნილით ხელში (მე რომ ვეცემე). მაგრამ ჩემს შესახვედრად გამოეშურა მაღალი, მშეიდი სახის, მშემოეკიდებული, მოკლეულვამიანი, შავგერებანი კაცი, ჰქეიანი, სათონ გამომეტყველებით. თავზე შავი ფარფლებიანი ქუდი ეხურა, ხელში გრავნილი არ ეჭირა.

დინჯი, დარბაისლური ნაბიჯით მომიახლოედა და ოდნავ შემცირდა მითხრა:

—მე იაშვილი გახლავარი, მაპატიოთ, ბორის ნიკოლოზის ძევა, იქნებ ხელი შეგიძალეთ...

თან ნაბად გაიღიმა. რაღა თქმა უნდა, მაშინვე ვისანი სიგყვის ერთ-ერთი ედიდესი ოსგაგი, პოეტური საქართველოს მშენება. უხუცესი ეულტერული ოჯახის ძმათა მორის, რომლის მესახებაც არაერთხელ მსმენია გოროდეცისა და ესენინისგან.

ხელი გაეცწოდე.

—მიხარია თქვენი გაცნობა. ჩელწრუელად გთხოვთ, მაპატიოთ...

პაოლო იაშვილი გამომიგყდა, როგორი შიმით წარმოთქებ სიგყვა „პოეტი“...

იაშვილი პოეტია ბრძყალების გარეშე. რესი მეიოთხელი იცნობს მის ლექსებს, თუმცა ცუდად შესრულებული თარგმანით. მასზე ბევრია დაწერილი. დიდი ადამიანია ფართო პორიტონგით, დახვეწილი აზროვნებით, გრძნობის ეულტერით, რომლის მიღმაც იმზირება ძლიერი აღნაგობის ჭედერი თავშეკავებულობა.

პირეელი სიგყვებიდან პაოლო იაშვილი ჩემთვის ახლობელი და გასაგები გახდა. იგი ჩემი წიგნებით მიცნობდა(3, 144-145).

ანდრეი ბელიმ უკვე იცოდა, რომ პ. იაშვილი პირველ მსოფლიო ომამდე პარიზში ცხოვრობდა, დიდად აფასებდა არტერ რემბოს, მალარმეს, ურანგ და რეს სიმბოლისგებს. „მიკეირდა, როგორ იცის რესული ლიტერატურა. მისი მენიმენები ბლოკები, ბალმონგბები, ბრიუსოვებები – დახვეწილია, ანგარიშგასაწევი, ფხიბელი. მან ბევრი რამ გააცნობიერა. მასში მერწყმელია პოეტი და საზოგადო მოღვაწე“(3, 146).

გიციან გაბიძეს ანდრეი ბელი თბილისში შეხვდა. პირველი შოთაბეჭდილება ასეთი გახლდათ: „პოეტი და

მწერალი ტიპიან გაძიძე შემართული, სიმპათიური და ჭკეიანი კაცი ჩანს" (3, 164).

საქართველოში პირველი მოგზაურობისას, როგორც თავად აღნიშნავს, ანდრეი ბელი ეძებდა ქართველ პოეტებთან დაახლოების შემთხვევას: „მე მათგა დიდი ხნის წინათ მსმენოდა, შესაძლოა ბალმონგისაგან ჯერ კიდევ მამინ, როცა ის რესთაველის პროპაგანდას ეწეოდა. მახსოვეს, 21 წელს კოროლეციმ გადმომება მოწევეა თბილისში ჩავსულიყავი. მე მთელი სულით მოვიწევდი პოეტური საქართველოსკენ და აი ჩვენ შევხვდით" (3, 160).

ახლოს გაცნობის შემდეგ ანდრეი ბელიმ ასე დაახასიათა ქართველი პოეტები:

„მთელი დღე ხელოვნების უერთგულეს ადამიანებთან გავაგარე. ვიყავი ტიპიანთან და ბრინჯაოსავით უდრეკ, მაგრამ ალერსიან პაოლო იაშვილთან. პაოლო ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული, ფიქრებად ნაძერწი, მარგო გულია. გაბიძე კეთილი უელქანია, აზრებს რომ აფრიქვეეს და გამინებს. იაშვილის მიერ რეტუმირებულ, შორსმჭვრეტალურ ბრინჯულ აზრებს იმეორებს. იაშვილის ბასრი გონიება სათუთად გარდაქმნის გაბიძის უელქანებს კლდეთა ნაგიუ ქანებად, უელტურის ბარელიეფად. პირველის მგზნებარება თაებრუს გახვევს, ფრთებს შლის, კოსმიურ აზროვნებას იძენს. . ." (3, 167).

ორივე პოეტი ტიპიანიცა და პაოლოუ ლიდერია. ანდრეი ბელი განკვირებულია, რომ უერს ერთ მათგანში ვერ შენიშნა თავდაჯერებულობის ვერანაირი მგრიხი ან თუნდაც პირველობის სურეილი. „იაშვილი გამუდმებით ხაშს უსვამს: „მე რა, აი ტიპიანშია ბალა". გაბიძე კი, „ მე არა, პაოლო". ორივე კი ერთად ამტკიცებს – რობაქიძეა ნამდვილი ლიდერი. სამწუხაროა, რომ ბერლინშია. რომ გაგეცნოთ, დარწმუნდებოდით, ბალა მასშია. სამწუხაროდ მე მას უერ შევხვდი, მაგრამ ვიცნობ. მე იგი მისმა ორმა ერთგულმა

მეგობარმა გამაცნო. ჩვენს შორის იდგა რობაქიძე – უჩინარია, მაგრამ ჩნდება ყველგან, ყველას მისი სახელი აკერია პირზე. იწყებენ თუ არა ლაპარაქს, რობაქიძე ისმის. ყვებოდნენ მის სილევეტზე. ამაჩუყებელია, ქართველი ულრმავედება კოგოლს, ლერმონტოვს, ჩაადაევს, ჩვენს სიმბოლისტებს" (3, 168).

თბილისში პირველი სტუმრობისას ანდრე ბელი გრიგოლ რობაქიძეს ვერ შეხვდა. მაშინ ეტყობა არ მოაგონდა, თუ რა მთაბეჭდილება მოახდინა მასზე ჯერ კიდევ სტუდენტმა გრიგოლ რობაქიძემ, რომლის ეპიზოდერი სახე გამოჩნდა მის მეშვარულ ნაწარმოებში „ორი საუკუნის მიჯნაშე“.

1907 წლის 5 მარტს დ. მერეკეოვსეიმ ლექსია წაიკითხა პარიზში, ამ ლექსიას ათას კაცამდე ესწრებოდა. მათ შორის ანდრე ბელი.

აი, რას იკონებს იგი:

„ერთხელ მერეკეოვსეის ლექსიას ეისმენდი რუსულ კოლონიაში. ეილაც მტკიცე შესახედაობის მამაკაცი, გულტე ჯვარედინად ხელებდაქრეფილი, მხრებით ეედელს მიყრდნობილი, აწეველი პროფილით, როგორც ძველი მარმარილოს ქანდაკი, გაქვავებული იდგა.

ვინ არის ის, გიპიუს, - კი ითხე მინაიდა ნიკოლაევნას.

უსხო მამაკაცი არ წაეიდა შესაკამათებლად, მკაფიო ხმით ადგილიდან იქება მისი პროფილიერი მტკიცელ გამოძერწილი სიგყვებით. დაღუმდა და ისევ დაიკრიფა ჯვარედინად ხელები გულტე, მიეყრდნო ეედელს და არ იძროდა ადგილიდან.

– ქართველია, რობაქიძე, უილოსოფოსი. – მითხრა მოგვიანებით გიპიუსმა" (6, გვ.11 თარგმანი მოგვყავს ა. ბაქრაძის წიგნიდან „კარდე, ანუ გრიგოლ რობაქიძის უხოვერება და დვაწლი").

ამ გამოჩენილ მწერალს, სიმბოლიზმის კლასიკოსს, რომლის სახელიც მოგვიანებით გერმანიაში გახმაურდა, ოცდასამი წლის შემდეგ შეეხვდი თბილისში. აღსანიშნავია, რომ ანდრე ბელის შემოქმედებაზე საქართველო ვრცელი წერილი გრიგოლ რობაქიძეს 1918 წელს უკვე პქონდა გამოქვეყნებული „თემში“.

ანდრე ბელის წიგნში „ქარი კავკასიიდან“ შემონახულია მისი თეალთახედვა პარიზში და გიუანის პოემიაზე. აი როგორ აღიქვა ა. ბელიმ მათი შემოქმედება:

პაოლო, საერთოდ უართო, არწივისებური,  
 მარგოობაში განხორციელებული პროგნოზების გამჭოლი  
 გრანსპარანგია, სულით ხორცამდე ქართველია, თავით  
 უეხებამდე ეკროპელი. ევროპა ჭედ, უს მისი სტრიქონების  
 მეტალისებურ ელერას, რომელშიც მშენებერია თანხმოვნები.  
 ეს თანხმოვნები გახსენებს ქართულ მთა-გორებს, მისი თქმით  
 თუჯისას.

თავად უესხლოვან ბრინჯაოს ჰგავს. გაბიძის ლექსები  
 კი პაეროვანი, ელერადი, ფართოგალლოვანი ხმოვნების  
 ზეირთებით გვაოცებენ; ყურადღებას თანხმოვნებზე  
 ამახვილებს. მიწა კი არა, პაერი იპობა, როცა იგი ლექსებს  
 კითხულობს იდემალი ხმით; ნამდვილი „აღმოსავლეთია“,  
 მაგრამ დიდებული „აღმოსავლეთი“, რომლისგანაც ბევრი რამ  
 უნდა კისწავლოთ“.

„პაეროვანი გაბიძე ელვასავით ჭექს, ნიაღვრად  
 მიედინება“ (3, 168). საინტერესოა რა ედო საფუძვლად მის  
 ასეთ შეჯასებას, მამინ როცა აღმართული იყო ენობრივი  
 ბარიერი.

კოლაუ ნადირაძე იგონებს:

ბელიმ გვთხოვა, წაგვეეითხა ჩვენი ლექსები.  
 გამახვილებული ყურადღებით გვიმენდა და გვთხოვდა  
 ზოგჯერ განმეორებით, ნელა წაგვეეითხა უკვე წაკითხული  
 ლექსი.

— მინდა, რაც შეიძლება ღრმად შევიგრძნო ქართული ლექსის ელერადობა და წყობა, — თქვა მან.


განსაკუთრებული მთაბეჭდილება მოახდინა მასზე გიციანის თავისებურმა ლექსის კითხვამ. კერძოდ, ლექსი „მე ყაჩალებმა მომქლეს არაგვებე, შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი“ გიციანმა სამჯერ გაიმურა ანდრე ბელის თხოვნით. ბელიმ დაიჩეპირა ეს ორი სტრიქონი და კარგადაც წაიკითხა. მხოლოდ სიგუვას „ყაჩალებმა“ ასე კითხულობდა „კაჩალებმა“.

როდესაც კოლაჟ ნადირაძემ პკოთხა, რა მოეწონა ამ ლექსში განსაკუთრებით, ბელიმ უპასუხა: დინამიკა და უონეგიკა. მეხედუთ როგორ მაგელობს დინამიკა თანდათან! და ხოვენებისა და თანხმოვნების მონაცემებია... მშენებირია (5, 3).

ლექსების ელერადობის მიხედვით ანდრე ბელი აკეთებს ძალიან საგელისხმო დასკვნას:

მეჩიენება — იაშვილი მათი ბრიუსოვა (რასაკეირველია, დეფაქტო ბრიუსოვი არ არის), გაბიძე — ბალმონგი. ბლოქი, ბრიუსოვი, ბალმონგი მე რიგმის ტიპს ეგელისხმობ, რომელიც ასწლეულების მანძილზე მეორება. შემიძლია ვთქვა, რომ ბლოქი ლერმონტოვია, ბალმონგი ეუკოვსკის იმეორებს, არის გალანტში კი არა, რაღაც რიგმელი ესტების გამეორებამი მდგომარეობს, რაც ზოგჯერ დამახინჯებულადაა მოწოდებული, ზოგჯერ კი — ოსტატერად (3, 169).

ალბათ საინტერესო იქნებოდა პოეტური ქმნილებების ამ კუთხით შესწავლა.





БЕЖИТАДЗЕ М.

## АНДРЕЙ БЕЛЫЙ И ГРУЗИЯ

### Резюме

Заинтересованность Андрея Белого Грузией вызвана его семейными обстоятельствами. В его произведении «Ветер с Кавказа» представлен взгляд выдающегося русского писателя на Грузию, на грузинскую культуру, вырисовываются портреты грузинских поэтов-символистов, дана оценка их бесспорно интересного и оригинального творчества.

MARINA BEZHITADZE

ANDREY BELY AND GEORGIA

### Summary

Andrey Bely's interest in Georgia was due to family reasons. His work "Wind from the Caucasus" presents the view of the great Russian writer on Georgia, Georgian culture: portraits of Georgian poets-symbolists take shape, and their doubtlessly interesting and original works are evaluated.

## დავით წოწელაური

ვაკა-ზეაველა პერიოდი და სოციალური  
ღირებულებების კავშირის შესახებ

ვაკა-ფმაველა დირექტორის თვალსაზრისით მექანიკურ განასხვავებდა ერთმანეთისაგან ბუნებას, მის მინაგან წყობას, ადამიანთა ცხოვრების სისტემურობას და მათს ბაზაზე აღმოცენებულ მექანიკას, ზაგურულს. უსაზღვრო სინამდვილის ამ მოვლენათა ერთიერთქმედების რაობის გახსნა იყო მწერლის ფიქრისა და ოცნების საგანი. მრავალი ხელოვანის და მათ შორის ვაკა-ფმაველას შემოქმედებითი სწრაფი იქითევნ იყო მიმართელი, რომ დაედგინა უმაღლეს ღირებულებათა რაობა, მათი მაორინგირებული ძალა. ბუნება, კაცთა ცხოვრება და კულტურა ისეთი ფენომენებია, რომელიც თავის შიგნით მრავალ მიერთოსამყაროს იგევენ. პოეტის მრწამსით, დამბადებულმა განაწევა აღნიშნულ მოვლენათა სიდიადე და კანონმიტიურებები. მითოსი, რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება სინამდვილეს, მის იდემალებებს მხოლოდ თავიანთი მიზნის კვალობაზე ითავისებდნენ.

ვაკა-ფმაველამ მრავალმხრივ დახასიათა ბუნებასა და ცხოვრებასთან ადამიანთა როგორც ჩვეულებრივი, ასევე ესთეტიკურ-მხატვრული მიმართების თავისებურებები. პოეტმა ცხადყო, რომ ობიექტურ ღირებულებებს განუმომელი

მნიშვნელობა აქვს ადამიანის სულის მოძრაობის გასამხელად. სამყარო – ბუნების კანონმიერებების სიბრძნე, წესრიგი და პარმონია იკვეთება, რომელიც ცნობიერად თუ არაუნობიერად ადამიანზეც გადმოდის. ამასთანავე, მაძიებელი, მეოცნებე ადამიანი ხმირად თვითონ ცდილობს ბუნებაში იპოვოს იმაზე მეგთ, ეიდრე მის თვითარსებობაში ჩანს. ბუნების სიბრძნის კეთილისმყოფელ ზემოქმედებას, ვაჟას აზრით, უპირველეს ყოვლისა, გენიოსი მწერლები განიცდიან. ადამიანი ბუნების მიერ მრავალი თავისებურებით დაჯილდოებული და თვითმყოფალობით აღხეჭდილი არსება. იგი ბუნებამ შექმნა და მასში ბუნებისეული საწყისების მხატვრული გახსნა ნიჭიერ შემოქმედთა ხეედრია. ვაჟას სიგყვისამებრ, რესთაველი, შექსპირი, სერვანგესი, გორეთე ასეთი ნიჭის მფლობელი გვინიოსები არიან. პოეგის განმარტებით, „ვეუხისგყაოსანი“ „ჩვენთვის გონების მმართველია“ იმიგომ, რომ კოსმოსურ სიბრძნეს ეფუძნება. იმ სიბრძნეს, რომელიც კაცთა „სიცოცხლეს მართავს“. ამიგომ „ვეუხისგყაოსანი“ იარსებებს მანამ, სანამ ბუნების წესრიგი იქნება ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელი.

ვაჟა-უმაველას შემოქმედებით ინგერესთა ერთ-ერთ ძირითად ამოსავალ პრინციპად მოიაზრება მისივე სიგყვები: „ამ პატარა არსებას – ადამიანს, თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაში მოუთავესებია... ნამდვილად ასეა, დიდება და სახელი მწერალს, რომ ეს მეუნიმნავს“<sup>1</sup> (გვ.395). ადამიანი ბუნების უმაღლესი ქმნილებაა და პოეგის სიგყვისამებრ, ამიგომაც მას დიდბუნებოვნება ანუ ბუნების მსგავსება ახასიათებს. იგი სამყაროს მთლიანობის ის ნაწილია, რომელმაც ბევრი რამ ამ მთელიდან შემოვიდა და მის არსებაში მიეროკოსმოსის სახით გამოიხატა. აღნიშნულის

<sup>1</sup> სიგირებას ვახლუნთ ვაჟა-უმაველას თბილებათა სრული კრებულის ათგომეულის IX გრძის მიხედვით (თბ., 1964წ.). ცეკვას ეუთითების ძირითად ტექსტი.

გამო ნიჭიერი შემოქმედი უხეად პოულობს მსგავსებებს ბუნებრივ და ცხოვრებისეულ მოვლენებს მორის.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით „...თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისა და უვარგისობისას და ჩვენ ჯატ ეს არ გვესმის, თუნდაც რომ გვესმოდეს, მაინტ ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს, მის განაჩენს“ (გვ.189). „ბუნების საბრძნო წიგნი“ ყველა ადამიანზე შემოქმედებს, მაგრამ მას განსაკუთრებული მაღლის მინიჭება შეეძლია შემოქმედთათვის ანუ „იდეალისტი“ პიროვნებებისათვის. ადამიანთა ხშირი შეცდომის მიზეზი, პოეტის გაგებით, ისაა, რომ ისინი ბუნების კანონებს ყურადღებით არ ეპყრობიან. ნათელია, აქ ბუნება დასახულია კაცთა ცხოვრების წესის დამდებად, მათი ხასიათის შემოქმედად და წარმმართველ უენომენად. ეს იმას გელისხმობს, რომ სამყარო-ბუნება აღსაუსეა ადამიანის სრულმქმნელი ღირებულებებით, რომლებიც დიდი უმაღლობით ექსივებიან სოციალური ცხოვრების ვითარებაში. ღირებულება ის ფენომენია, რომელიც სინამდვილესთან ადამიანის მიმართების მთელ სიერცეს მოიქავს. პიროვნების სულიერი უნარებისა და ინგერესების გარეშე ღირებულება არ მოიაჩრება. ამიტომ მისი არის ყოველთვის სუბიექტური მინაარსითაა აღბეჭდილი. ღირებულებები საერთოდ და კერძოდ კი მხატვრული ღირებულებები ურთელეს მოვლენათა კომპლექსს წარმოადგენენ. მიუხედავად სირთულისა, იგი მაინტ არ არის რაღაც ამოუსინობი ფენომენი. მას ორი პოლუსი, ორი მხარე აქვს – სუბიექტური და ობიექტური, რომელნიც აუცილებელ კავშირში იმყოფებიან. მხატვრული ღირებულება შემოქმედის სულის ბრძმედი გადაღებული ნაირგვარი მასალის სინთეზია. იგი არც მხოლოდ სუბიექტური და არც მხოლოდ ობიექტური ფაქტორით არ არის განსაზღვრული, რადგან ორივეს განუყრელ კაემირს განასახიერებს.

ვაკა-უშაველას მრწამსით, სამყარო-ბუნების ერთიანობა მოისავს უთვალავ საგან-მოვლენას, რაც, თავის მხრივ, ადამიანთა სულის მოძრაობის მრავალფეროვნების ასამრდოებს. ადამიანზე ბემოქმედებს სამყაროს გრანდიოზული, უაღგერნაგივო, მარადიული მოვლენებიც და მცირე მასშგაბის, ცვალებად-წარმავალი საგნებიც. ბუნების თვითმყოფადობით აღძეჭდილი კონკრეტულ-გეოგრაფიული გარემო უძვეს საძირკელად ამ გარემომი ხანგრძლივად მცხოვრებ ადამიანთა ხასიათის, იდეალის, ცხოვრების სამრისის მნიშვნელობის გაგებას. პოეზი ფიქრობს, რომ ბუნების ლანდშაფტის თავისებურებები სხვადასხვა გარემოში მცხოვრებ ადამიანებს უქმნის ინდივიდუალურ სახეს, აძლევს მიზანშეწონილი, კოლორიზეული მოქმედების უთვალავ ნიმუშს. კოსმოსის მინაგანი მრავლისმეტყველი კანონბომიერებები ბერ რამეს უზიარებენ ადამიანს, ადაესებენ მას მემოქმედებითი გარჯის სურეილით. ვაკა განუყრელ ერთიანობამი წარმოსახავს ბუნებისა და ადამიანის სიღრმისეულ მოვლენებს. ადამიანის სული „უნდა იყოს მედამ დაუსხრომლად მოქმედი, როგორც თვით გამაჟხულია. ამიგომ ყოველი საქეუყნო მოღვაწე, ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანი ყოფილა და არის გამაჟხულის მსგავსის სულისა“ (გვ.386). პოეზის ამ სიგყვების ამრი ისაა, რომ ბუნების თავისთავადი ღირებულებების ძალა ადამიანში ექსოვება, ხოლო ადამიანური ღირებულებები ბუნებრივში სახიერდება, რაღგანაც ჩეენ „უცხალის მისნი ვართ და მკვდარნიც“. ადამიანი ვერც ფიზიკურად და ვერც შემოქმედებითი სამრისით ბუნების გარემო თავის არსებასა და ცხოვრებას ვერ დააფუძნებდა. ამიგომ ვაკას სიგყვით „ყველა ღირებული ადამიანი თვით ამ ბუნებას პგავს ღირსებით და ნაკლით“.

ვაკა-უშაველა სამყაროს ერთიანობას, მის მრავალფეროვანებას მიმჩნევს რასების, ურების, ტომების

ინდივიდუალობის ჩამოყალიბების საფუძვლად. კაცობრიობის უნება, როგორც დედამიწის მცხოვრებთა ღიღი ერთიანობის მაუწყებელი, არ იარსებებდა პლანეტაზე სხვადასხვა მოღვაწის და ეროვნების აღაშიანები რომ არ ცხოვრობდნენ. პოეტის სიგვეით, „ბუნებას თავისივე კანონი აქვს კაცთა ცხოვრებისათვის დამყარებული, რომელიც არის დამოკიდებული სხვადასხვა პირობაზე, მიზებზე; იგი ბუნებამ შექმნა... მთელი კაცობრიობა, ჩვენი პლანეტის მცხოვრებნი, რამდენიმე მოღვაწ ვანიყოფულიან, ხოლო მოდგმანი – ერებად. ყოველივე ერი მესადგება აღაშიანებისაგან, რომელნიც ვანირჩევიან ისევ ერთი – ერთმანეთისაგან სახიერებით, კონებრივი და სელიერი თვისებით. საერთო თვისებას სუფექს მათ მორის და არა მარტო ერთი ერის ინდივიდუებში, არამედ მთელის ხმელეთის მცხოვრებთაც შეგვიძლიან ეპოვნოთ საერთო რაზ, აი თუნდ, მაგალითად, სიყვარული სიცოცხლისა და მწეხარება სიკედილის გამო, გრძნობა სიყვარულისა და სიძულვილისა” (გვ.393-394). მაშასადამე, პოეტის გაგებით, სამყარო-ბუნებამ შექმნა აღაშიანთა სიცოცხლისა და თეთი ცხოვრების მრავალსახეობრიობის პირობები. მანეე მიანიჭა რასებს, ერებს, გომებს ერთიმეორის მსგავსი და განსხვავებული ნიშან-თვისებები. პოეტის რწმენით, აღაშიანის სიცოცხლისა და ცხოვრების ბევრი საიდუმლო გაუჩინარებულია სამყარო-ბუნების უსაბღვრო სუერომი. უფლის განწევებით, სამყარო-ბუნება არის მემოქმედი და დამსკელი ყველა არსთა მრავალსახეობრიობისა და მათი ერთიანობისა. ბუნება თავისივე კანონმომიერებების მსგავს წესებს უდგენს აღაშიანთა ცხოვრებას. კაცობრიობას როგორც ერთიანს თითქმის იმგვარადვე უკავშირდება პიროვნება, ერი, რასა, როგორც ბუნების სალექცია ნაწილები უკავშირდებიან და ამინაარსებენ სამყაროს მთლიანობას. ამიგომ როგორც კოსმოსური მთელის გაღარიბებას გამოიწვევს მისი

რომელიმე წევრის მოსპობა, ასევე კაცობრიობის ისტორიულ-კულტურულ თვითმყოფადობას ღიდად დააკლდება რომელიმე ერისა თუ რასის მოსპობა ან ასიმილირება. ვაჟა-ფშაველას მსოფლგავებით, ბუნების და ადამიანის სიცოცხლის მრავალფეროვნების საწინააღმდეგო მოქმედება თვითონ დამბადებლის ნების დარღვევა, მისი უგრძელებელყოფა იქნება. ცალკეულის ანუ მთელის შემადგენელი ნაწილების თვითმყოფადობის შენახვა სამყარო-ბუნების შეუვალი წესია. ბუნება დედა პარმონიამი მყოფი თუ ერთმანეთთან დაპირისპირებული მრავალსახეობებისა. ვაჟა-ფშაველას რწმენით, სამყარო-ბუნების უალგერნატივო კანონმდებლები გვევლინებიან ფუნდამენტად, რომელზედაც ადამიანის ცხოვრება თუ სულიერ-გონითი მესაძლებლობები უფრენება. კოსმოსურმა მთლიანობამ განსამღვრა დედამიწაზე მცხოვრებ რასათა, ერთა თუ გომთა ინდივიდუალური სახის ქმნადობისა და სრულებრივი პირობები. ცხადია, ამასთანავე, ეროვნული ინდივიდუალობები ცალიბდებოდნენ ღრმა ისტორიული და სოციალურ-ფიქოლოგიური მოვლენების ზემოქმედებით. პოეტის რწმენით, დამბადებელმა ყველა ერს თუ ინდივიდს უბოძა ბუნებასთან, ისტორიულ რეალობებთან, საქეთარ თავთან ემოციურ-ინტელექტუალური მიმართების ერთნაირი ორიენტირები. თუმცა ერებმა ამ ერთვაროვანი სულიერ-გონითი უნარების ბაზაზე საერთო საკაცობრიოს გვერდით, ღრმად ინდივიდუალური, თვითმყოფადი ნიმან-თვისებებიც გამოძრენეს.

ვაჟა-ფშაველას გავებით, პიროვნების, ერისა და კაცობრიობის ურთიერთმიმართების წესიც თითქოს სამყარო-ბუნების კავშირ-მიმართებათა ორიგინალური მიბაძვაა. როგორც კოსმიური მთლიანობა არის წარმოუდგენელი ნაწილებთან მედმივი კავშირის გარეშე, ასევე შეუძლებელია კაცობრიობის ყოფნა ცალკეულ მოდებათა, ერთა და გომთა გონივრელი თანაარსებობის გარეშე. ამგვარი კავშირის ძალა

ყველა სფეროში ამკვიდრებს როგორიც საყოველთაოს, ასევე ერთიმეორისაგან განსხვავებულ, თვითმყოფად მოვლენებს. პოეზის რწმენით, მთელი მაერო და მიკროკოსმოსის გონიერებით საწყისები მრავალსახოვან სიცოცხლის განვრძობას, დაცვა-პაგრონობას ემსახურებიან. ბუნება ამ მიმართულებით იჩენს განსაკუთრებულ სიმტკიცეს და „გონიერებას“. სინათლის, სითბოსა და სიცოცხლის წყარო – მზე ყოველივეს „სწორად მოეჭინების“ და საკუთარი ენერგიის ძალით ავსებს, აცოცხლებს. კოსმოსურ დიად ერთიანობაში სიცოცხლის განვრძობის მინაგანი აზრი ყველაზე სრულად გამაფხულის მოქმედებამ ცხადყო. გამაფხული მთელი ბუნების სულის ყველაზე მკაფიო გამომხატველია და მისი შემოქმედებითი უძლეველობის, სიკეთისა და თავისუფლების წარმომჩენის. უძირითადესი ნიშნებით ბუნების სულის გამაფხულება და ადამიანთა სულის გამაფხულება, პოეზის სიგყვით, ერთმანეთს ჰგვანან. ბუნების სულის ძალმოსილება გამაფხულს შეედარებულ სიმაღლეზე აპყავს. ადამიანთა სულის გამაფხულება კი პიროვნებათა ეროვნულსა თუ საკაცობრით დიად საქმეებში გაცხადდება. ორივე სახის სულის გამაფხულება ერთმანეთს მინაგანი თავისუფლებისა და მძლავრი შემოქმედებითი პათოსის გამოვლენით ეთანხმება. საერთოდ კი ბუნება გემოქმედების კეთილი მინაარსით, ადამიანთა „მბრძანებელია“ და მათთვის „სულიერებისა“ თუ „გონიერების“ ნიმუშის მაჩვენებელი. პოეზის სიგყვით, „გამაფხულზე ბებერი, ფინ იყის, რა დროისა, როდინდები ბუნება, ახალგამრდავდება“ (გვ.383). მზეც ამ დროს ჯეილდება, სითბო, სინათლე, სიმხნეები, გულუხვობა ემაგება და ძალლონებს არ მოგავს, რათა უფრო მეტად გაათბოს დედამიწა და „...აამუშაოს მასმი სიცოცხლის ცხოველმყოფელი ძალა“ (გვ.383). დედამიწაც ამ დროს სიმშილისგან ატირებული ყრმის მონდომებით ხარბად ეჭიდება დედის ანუ მშის ძუძუს, სწოვს სითბოს, რათა

სიკეთით ააქსოს ირგველი ყოველი. „დიად, დედამიწა სწოვს მშეს სითბოს, მაცოცხლებელს ძალას, რათა მემდეგში ამ შენაძენით ასაზრდოეოს მეტარენი, ცხოველნი, დაამშვენოს, ააყვაეოს, ააქსოს ნაყოფით ბუნების ველ-მკერდი, უბრ-კალთა“ (გვ.383). ბუნება, საბორგადოდ და უფრო მეტად კი გამაფხულზე მშენებირია, უხევი, ხელგამლილი, ცხოველმყოფული, მკერდავი და მეოქმედი სიცოცხლისა. მარ, უნდა „—ვიწამოთ სიცოცხლისა და გამაფხულის ერთგვარობა, ერთბუნებოვანობა“. გამაფხულზე ბუნების ყველა არსი სიცოცხლის განგრძობისა და გამრავლებისაკენ არის მიღრევილი. გამაფხულის „მინაგანი მოქმედება და აპრი“, მისი მიზანი „მხოლოდ გაგრძობაა სიცოცხლისა“. ბუნების „მრუნვა“ სიცოცხლის განგრძობაზე დაუქმნებულია მზისა და დედამიწის ბრძნელ კავშირმე. მათს ერთობლივ მაღლზე, ხოლო გამაფხული მათი ნამოქმედარის დიდებული მხატვარია. ადამიანის სელის გამაფხულებამ ბუნებისა და პიროვნებათა თანამოღვაწეობის სიღიადეს უნდა ცხადყოს. გამაფხულის მიერ მექმნილი სასიცოცხლო პირობებისა და საარსებო საშეალების გარემე სიცოცხლე, საბორგადოდ, წარმოედგენელია. პოეტი წერს: „ამიგომ არის გამაფხული ლამაზი, და ლამაზი რომ არ იყოს, ამოდენა მაღლს, სიკეთეს, ხომ არ დასტოვებდა დედამიწაზე, არც ასე გულიანად, თავგამოდებით აგალობებდა ბულბულს“ (გვ.384). მწერალი იქვე კელავ აგრძელებს გამაფხულის მესახებ მსჯელობას: „ყველა და ყველაური, სადაც კი თვალი და ყური მიუწვდება ადამიანს, კელაპარაკება მემდებს: მე ცოცხალი ვარ, ცოცხალი და მინდა კვალად ვიცოცხლო; სიცოცხლე ჩემი უნდა იყოს დაუსრულებელიო.

ეს დრო ბუნების უაღრესი ბედნიერების დროა. ვფიქრობ, ბუნება, როგორც გამაფხულზე, ისე არა დროს არა პერძნობს თავს ბედნიერად“ (გვ.384-345). სამყარო-ბუნების ქმნილებათა ურთიერთმიმართებები, პოეტმა რაკი სიცოცხლის

განვითარების, სიუკარულის, სიკეთის, მშენებელების, თავისუფლების, მემოქმედებისა და ბედნიერების შინაარსით დაახასიათა, ცხადყო, რომ კაცთათვის ბუნება სიბრძნის დიადი წიგნია. ბუნების უკედავი ღირებულებები ხშირად კაცთა ცხოვრებასა და ხასიათში ვლინდება, რადგან ადამიანი მისი პირმოა. ასეთნაირად მკვიდრდება კოსმოსისა და ადამიანის ისეთი ერთიანობა, როცა „ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია“ (გვ.395). მწერლის აზრით, ბუნებისა და ადამიანის კაცინ-მიმართებათა სისტემაში ვადაშწყვეტი მნიშვნელობა კოსმოსურ მოვლენებს უნიჭება. მიუხედავად ამისა, ადამიანის ცხოვრება და ხასიათი ყველაზე სრულად განასახიერებს სინამდვილის წესრიგს. პოეტის სიტყვით: „არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისა მსგავსი თვით ბუნებაშია არ მოიპოვებოდეს“ (გვ.384). მწერალმა აღიარა ბუნებისა და წმინდა ადამიანური ღირებულებების არა მარტო მსგავსებანათესაობა, არამედ მათი მარადიული თანაარსებობა: „რაც უნდა განვითარების უმაღლეს წევრეულს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინტ მასში უნდა სჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ...“ (გვ.395). იგი უფრო აღრმავებს აზრს სამყაროსუელ და ადამიანურ ღირებულებათა ერთიანობის შესახებ, როცა წერს: „ჩვენი ცხოვრება სრული გამომხატველია ბუნებისა. ყველა ის, რაც ბუნებაშია, დამოკიდებულება ცხოველთა მორის, მუნარეთა, ეისა და დედამიწის მორის, წყალსა და პაერთან, ყველა ეს ჩვენ კაცთა მორის ხდება“ (გვ.396).

პოეტმა აქ ჩვენი ურადღება მიაჟყრო გარე სამყაროსა და ადამიანთა ცხოვრების მარადიულ ერთიანობაზე, იმამე, რომ ცხოვრებაში არ ხდება ისეთი, რომ ანალოგიური ბუნებაში არ მოიპოვებოდეს. ამასთანავე, ბუნების თავისთავადი შინაარსი ყველაზე კარგად კაცთა ცხოვრებაში მათ მემოქმედებაში იკვეთება. უკვე აღვნიმნეთ, რომ ცისა და

მიწის გონივრული კავშირის შედეგია სიცოცხლის მრავალსახეობა და მრავალუროვნება. უოქხალ არსოთაგან სამყაროს წესრიგის ათვისების პოტენციალური უნარით აღამიანი ყველა სხვა უოქხალი არსებისაგან განსხვავებულია. მხოლოდ ის შეიქმნა ხატად დეთისად, რათა მოთმინებით, თანდათანობითი თვითსრულქმით რამდენადმე მიახლოებოდა არსებობის ჭეშმარიგ სამრისს. რაკიდა სამყარო, მთელი მაკრო და მიკროკოსმოსი უნივერსუმის თავისებური უმანავითა, ამიგომ აღამიანი ამ სიბრძნის უნდა ისწრაფოდეს, მას პბაძავდეს და მასთან მიმართებაში იჩენდეს მაღალ მიხიას. სამყაროს ერთიანობის სიღიადე ჟოეტმა, უწინარეს ყოვლისა, გამაფხულის სახეში, მის გონივრულ სამრისსა და მშენიერებაში განვევრიგა. თუმცა, ჟოეტის ამრით, წლის ყელა დროს, კერძოდ, დროების ციკლურ მოძრაობას განუსაზღვრელი უუნქცია და მნიშვნელობა ენიჭება. მწერლის გაგებით, გამაფხულის მოქმედებას იღემალება ახლავს და „ეს დაფარული ამრი გამაფხულისა მხოლოდ და მხოლოდ გაგრძობაა სიცოცხლისა“ (გვ.383). გამაფხულის მოქმედება, საერთოდაა სიცოცხლის დაუკებელი წყურვილის სიმბოლურ-მეტაფორული განსახიერება. გამაფხულის გარეშე არსებობას სიცოცხლის წყარო დაემრიგებოდა. ამიგომ ამბობს ვაჟა: „მაშ ვიწამოთ სიცოცხლისა და გამაფხულის ერთგვარობა, ერთბენებოვანობა: უსიცოცხლოდ გამაფხულს ვერ ვიგრძნობთ ისე, როგორც ეგამაფხულოდ სიცოცხლეს“ (გვ.384). ჟოეტმა ადამიანის სელის მასამრდოებელი გამორჩეული, უხეი და მრავალუროვანი ნიმნები გამაფხულის უენომენში დაინახა. მწერალი გვევებნება, რომ სიცოცხლე და გამაფხული ერთბენებოვანი არიანო და ამიგომ ერთნაირი სახით გამოხატავენ სიცოცხლის უძირითადეს ნიმნებს, კერძოდ, შემოქმედებით ძალისხმევას, სიბრძნეს, სიკეთეს, თავისუფლებასა და ბედნიერებას. ამ თვისებათა

გამოხატვისას ბენება და ადამიანი თითქოს მუდმივი თანამოამრენი არიან. ობიექტერი აბრით, ცხადია, ბენების თავისითავადობის ძალა და მნიშვნელობა დიდად აღმატება ადამიანის მოქმედების მესაძლებლობებს. ბენების თავისითავადი გონიერეული ნიმნები რაღაცა ხარისხით ადამიანზე გადმოდის, თუმცა მას ყოველთვის არ ძალუს გაიცნობიეროს ეს ურთელესი პროცესი. ადამიანს არ შეუძლია იმისი განსამღვრა თუ როდის და რა მიიღო ბენებიდან, სოციალური გარემოდან ან რეალობაში დანახულმა ღირებულებებმა რანაირი მიმართელება მისცეს მის გრძნობა-გონებას, ხასიათს. პიროვნებამ, ხშირად, უფრო მეტი იყოს თავის გარემე არსებულ ნივთითა სამყაროს მესახებ, ვიდრე საკუთარი, სულიერ-გონითი უნარების მიმოქცევის ავ-კარგზე. აქედან გამომდინარე, ბენების უპირატესობის მაღიარებულმა პოეტმა თამამად დააყენა კითხვა: „ნეთუ ადამიანის სულს კი არა აქეს თავისი გამაფხული?“ ვაუა ამ კითხვას დადებითად პასუხობს და თანაც სულის უნებას მიიჩნევს ადამიანის თვითცნობიერების, მისი გრძნობა-გონების უნართა მთლიანი მიმოქცევა სამყაროს, ალბათ, ბოგადად სიბრძნის სინონიმად. დიდი შემოქმედი იმასაც აღიარებს, რომ ყველა ადამიანის გრძნობა-გონება ერთნაირი ძალმოსილებისა არ არის, ერთნაირად განვითარებული. ვიწრო ჭკეის ეგოისტი ვერც ბენების სულის გამაფხულებას აფასებს.

ვაჟა-ფშაველას ამრით, ბენების „წესი და რიგი, მისი სიმტკიცე ამრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკეთორებს. მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღმატება... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბენებას პგავს დირსებითა და ნაკლით“ (გვ. 385). სწორედ „დიდებული ადამიანი“, ეროვნეული და საკაულობრიო რანგის მოდეაწე და მოამროვნე განიცდის და ეახლოვდება ბენების სულის გამაფხულებას. მხოლოდ დიდი მოამროვნე

აქსოვს ბუნების სელის გამაფხულებს მინაარსს, საკუთარი სელის გამაფხულებაში, მის მოქმედებაში. გამორჩეული პიროვნება, „მაღალი, ქვეყნის მოყვარე სელი მეიძღვება მხოლოდ იქმნება სისოცხლის მქმნელი და სრულის სიმშვერიერით მოგვევლინოს, მხოლოდ თუ თავისუფალია იგი. ადამიანი თუ არ გრძნობს თავს ბედნიერად ვერც სელის გამაფხულობას განიცდის და იგი, ვინც სიყვარულს არის მოქლებული, ვერა დროს ეკრ ელიზება გამაფხულს სელისას. უპირველეს ყოვლისა სელი უნდა პგრძნობდეს ბედნიერებას. იგი, როგორც გამაფხულზე ბუნება, უნდა ჰყეაოდეს, უნდა მწვაობდეს, უნდა იყოს ცხოველმყოფელი, მქნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი თუ აღმომცენებელი, მამასადამე, ახალგაზრდა და ამასთან ერთად უსათეოდ თავისუფალი, როგორც გამაფხულზე ბუნება“ (გვ.365).

ვაკა-ფმაველას მსოფლმხედველობა და პოეტური მრწამსი ურთიერთობანხმობით ცხადყოფენ, რომ ბუნების თავისთავადობასა და კაცთა ცხოვრებას ღრმა კავშირები და მრავალი მსეავსი ნიმანი აქვს. ბუნების „კონიერება“ პოეტმა საბოგადოებრივ წესრიგზე მაღლა დააყენა და თანაც მხოლოდ ამის შემდევ დაახასიათა იგი მხოლოდ ადამიანის ცხოვრებისათვის მესატყვისი ისეთი ცნებებით, როგორიცაა: გონი, სელი, სიყვარული, სიკეთე, ნების სიმგეიცე, თავისუფლება, შემოქმედება, ბედნიერება და სხვა. ამით ვაქამ საოცარი ძალით დაახლოვა და დაამსგავსა ერთმანეთს ბუნება და ადამიანი, მათი არსებობის ზოგადი საზრისი. პოეტმა მიგვანიშნა, რომ მან ბუნებას დაუბრუნა ადამიანის ცხოვრებიდან იმ ცნებების მინაარსი, რომელიც კაცთა მიერ ბუნებიდანვე იყო შეთეისებული. ამგვარმა მსოფლმეგრძნებამ შეაძლებინა პოეტს ბუნებაში ეპოვნა რაღაც ადამიანური და პირუეუ. ადამიანში აღმოეჩინა ბუნების კერძო ნიშნები. პოეტის რწმენით, სიცოცხლის სრულყოფისაკენ სწრაფვით ემსგავსებიან ერთმანეთს გამაფხული და „დიდებული

ადამიანი": გამაფხულზე „ყოველი მაცვენა, ყოველი ძალი ბენებისა ცალ-ცალკე და ერთად, ცდილობს მიემველოს სიცოცხლეს, სრულყონ სიცოცხლე. ასეთივეა სული ადამიანისა, როეა მას დაუდგება გამაფხული. იგი ყოველ თავის ძალდონებს მიქმართავს ერთს სახიცოცხლოდ, ცხოვრების ბედნიერება – სიცოცხლისათვის, რათა არსებობა თავისი პქმნას რაც შეიძლება ნაყოფიერი... ამიტომ ყოველი საქვეყნო მოღვაწე, ყოველი ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანი ყოფილა და არის გამაფხულის შეგავსის სულისა. მხოლოდ მათ განუცდიათ გამაფხული სულისა" (გვ.386). ვაკა-ფმაველას მსოფლმხედველობით, ბენების მთლიანობისათვის, ზოგადად სიცოცხლისათვის ყევლაშე ბევრის მიმეტი გამაფხული ყოფილა, ხოლო კაცთა ცხოვრების ისტორიისათვის სასარგებლო და სანიმუშო კი – ქვეყნისათვის თავდადებული მოღვაწეების შემოქმედებითი გარჯა. მაშასადამე, ბენების დიადი მოვლენები და „დიდებული ადამიანები“ მთლიანს, სიცოცხლის საყოველთაო სრულქმნას ემსახურებიან. პოეტის მრწამით, ბენებისა და ცხოვრებაში რაც რამ კარგია, იგი იღვწის ერთიანის, მაღალის, სრულქმნილის კიდევ უფრო დასახვეწად. საპირისპიროდ აღნიშნულისა, პოეტის სიტყვით: „ააგარა, ვიწრო გრძნობისა და ტეინის ადამიანი, თუ იგი მდიდარია, თავს ბედნიერედა პრაცხს, რადგან ყოველგვარ მოთხოვნილებას ცხოველურს, ფინიკერს იქმაყოფილებს; შეიძლება ფიქრობდეს, მე განვიცდი გამაფხულს სულისასო, მაგრამ დიდად მოგყენებული იქნება, რადგან ამგვარი ადამიანი მხოლოდ განმანადგურებელია იმისა, რაც გამაფხულის შემოქმედების წყალობით მიგვიღია ადამიანებს, იგი სიცოცხლეს, როგორც მთელს, არაფერს მმაგრებს, მხოლოდ დაკლებით აკლებს“ (გვ.386). მწერალი ვეუბნება, რომ ცხოველური მაღალის, განცხრომისა და სწრაფვის ადამიანი მრავალია, მაგრამ ისინი სიცოცხლის სიღიადეს არაფერს

სტენენ, ამას მხოლოდ ამასინჯუსენ. ვაკა მოითხოვს გამოიჯნოს ერთმანეთისგან მდაბალი და მაღალი სულიერობითი ღირებულებები. ჟოეფი კითხულობს: „...ნეთუ საზღვარი აღარ უნდა იყოს სულით გამაფხულისა და კუჭით გამაფხულის მულობელთა მორის? მე, რამდენადაც შემძლო, დავახასიათე მოკლედ გამაფხული თითოეული ადამიანის სულისა, სხვა თქვენ გოხოვთ წარმოიდგინოთ, თუ როგორი უნდა იყოს გამაფხული ერის სულისა...“

უწყიდეთ მხოლოდ, ეს იქნება მსგავსი ბუნების გამაფხულისა, მისი განსახიერება და გამომხატველი მთა და ბარის, ცისა და დედამიწისა.

გამაფხული ერის სულისა უმშენიერესს სურათს დაგვიყენებდა ერის სულისას“ (გვ.386). როგორც ვხედავთ, ჟოეფმა გაგვაცნო ადამიანთა სულის გამაფხულების ორგვარი შინაარსი: პირველი ემყარება დიდებული ადამიანის მიერ ათვისებულ ბუნებისა და კაცთა ცხოვრების პარმონიას, ხოლო მეორენაირი სულიერება მომადაკარგულ ცხოველურ განცხოობას. გონიერებას და მშენიერებას ორივე გიპი თავისებურად მიემართება. დიდებული ადამიანი სინამდვილესთან აქტიური დამოკიდებულების ეამს იხვეწება და სინამდვილესაც აღამაღლებს, ხოლო „ვიწრო გრძნობისა და გვინის ცეკისგი ბუნებისა და კაცთა ღვაწლით შექმნილ სიკეთეს ანადგურებს. მხოლოდ დიდებულ ადამიანთა სიმრავლე და ღვაწლი ანიჭებს ყოველ ერს ბუნების სულის გამაფხულების შესაღარ სულიერებას. ამგვარი ადამიანების ამაგით გამშენიერებული ერები კი კაცობრიობას, როგორც მთლიანობას სრულებრივად. მწერლის მეხედულებით, ადამიანი, რომელსაც ბუნებისა არაუერი ესმის და არც უყვარს იგი ცხოვრებისა და სიცოცხლის ჭემარიგ დანიშნულებასაც ვერ გაიგებს. ასეთი არსებები ვერც საკუთარი ერის სულის გამაფხულებას დაამკერდრებენ და ვერც კაცობრიობის პროგრესისათვის შექმნიან რაიმე უასეულს. მხოლოდ

დიღებული ადამიანები ერსა და კაცობრიობის ნათელ ნიშანს ვეტად დაუყენებენ წინ თავიანთ დვაწლს. ისინი წარმოგვიდგენენ საკუთარი ერის სულის გამაფხულების ემშვენიერეს სურათს.

ეაკა-ფშაველამ სამყაროს ერთიანობის უნიკალურობა განსაკუთრებული ფილოსოფიური სიღრმით შეაფასა წერილებში „საგაზაფხულო ფიქრები“ და „სად არის პოეზია?“ აյ მან იმსჯელა ბენებისა და ადამიანის მუდმივი კავშირ-მიმართებების ისეთ წესებშე, რომლებიც საყოველთაონი არიან და არ ეკუთვნიან მხოლოდ ერთ რომელიმე ქვეყანას, ერთ ერსა თუ ტომს. პოეტმა ასევე საყოველთაო წესები უპოვა ბენებასთან მხაგრულ მიმართებასაც. სწორედ ასეთი ზოგადი ღირებულებითი მიმართებების შეფასების საფუძველზე მწერალი ამბობს, რომ დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა სხვადასხვა მოდგმის, ერისა და ტომისათვის დამახასიათებელი როგორც საერთო, ასევე ინდივიდუალური ნიშან-თვისებები კოსმოსური მთლიანობის მემკეობით დამბადებელმა დააარისა. აღნიმნურის გამო სიცოცხლის უწმინდესი ვალია შეინახოს, დაიცვას, განავითაროს როგორც საყოველთაო, ასევე თვითმყოფადი არსი მთელი სინამდვილისა. კერძოს, თვითმყოფადის, ინდივიდუალობით გამორჩეულის მოსპობა-გადაგვარება, ვაკას აზრით, დიდი ყოდვაა, დანაშაულია, სამყაროს გაღატაკება და ამდენად თვით უფლის ნებისა და მთელი ბენების დაადი ჰარმონის ხელყოფა. უფრო მეტიც, მწერლის გაგებით, რომელიმე მოდგმას, ერსა თუ ტომს, სხვა ერებისა და ტომებისათვის არ შეუქმნია და ვერც ვერასოდეს შეუქმნის იმ თვითმყოფად ნიშნებს, რასაც ზესთაბენებრივი ძალა, კოსმოსური მთლიანობა ყოველ მათგანს საკუთარი წესრიგის საფუძველზე ანიჭებს. მთელისა და ნაწილის კავშირ-მიმართებების, ერთიერთმონებისა და ერთიერთგანპირობებულობის რა წესიც არსებობს ბენებაში, სწორედ ის წესი გადმოდის, ვაკას

მსოფლალქმით, კაცთა ისტორიაშე. კერძოდ, ინდივიდი, ერი, გომი, მათი თუითმყოფადობა, ორიგინალობა, ერთგვარი პირობითი ცალკე ყოფნა საუცხველია საკაცობრიო მთელის, ხოლო მთელი სჭირდება ყოველ ერსა თუ პიროვნებას მრავალფეროვნების სიღიადის განსაკუდელად, გასააზრებლად, სახილველად. მამასადამე, ამგვარი წესის კვალობაზე, პომეროსი, რესთაველი, დანგე ალიგიერი, მექსირი, სერვანგესი, კოეთე, პემჯინი და სხვანი მრავალნი ქმნიდნენ რა საკაცობრიო მხატვრულ სახეებს ამით მთელს კაცობრიობას საკუთარი ერის თვითმყოფადი სულის სარკეში ახედებდნენ, რათა ყველას უკეთ უწო თავი. ამგვარად სრულიერმნებოდა საკაცობრიოს ერთიანი ღირებულება. ვაეს აჩრით, ამას აკეთებდნენ და უნდა გაეკეთებინათ პროგრესულ რელიგიურ მოძღვრებებს, ხელოვნებას და ცხადია, ფართო მნიშვნელობის მექანიკულ აღმოჩენებს. პოეგისათვის საკაცობრიო პროგრესი თვალნათლივი რეალობა იყო. მიუხედავად ამისა, მაინც უერ ვიგყვით, რომ კაცთა ცხოვრებისათვის ოდესმე მეიქმნება ურთიერთობათა ისეთი იდეალური სახე თუ მოდელი, რომელსაც განვითარების პროცესი ვეღარაჟერს დაამაგრებს. ამიგომაც თავის ერთ კრიტიკოსს ვაჟა გულახლილად მიუთითებდა: „მაინც და მაინც წინ სირბილი და მომავალი. წევნის ცხოვრების სურათის დახადვა არ არის საჭირო; ამისთანა მრომის შესრულება არავის გვირგვინს გენიოსტობისას არ დაადგამს“ (გვ.369). ვაეს მიაჩინია, რომ მომავალი ცხოვრების აუ-კარგს წინასწარ ვერაენ დაადგენს, ვერც მის იდეალურ სახეს შექმნის და საზოგადოდაც. კარგი მომავლის საუცხველი მხოლოდ წარსულის ღრმა ცოდნა და აწმყოში გაწეული კეთილგონივრელი მრომაა, ე.ი. პოეგის სიგყვით, „ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დადებული მომავალსა პქმნის“ (გვ.369). მამასადამე, წარსულისა და აწმყოსაგან მოწყვეტილი, სრულიად ახალი სისტემა ქვეყნის

ცხოვრებისა ან ადამიანის ხასიათის, არავის შეუქმნია და  
 მით უმეტეს ასეთი რამის შექმნა არ შეეძლო ხელოვანს, არ  
 ევალებოდა პოეზიას და ამგვარი ცდა, ვაკას რწმენით,  
 დიდებას არავის მოუპოვებდა. თუ დიდობაზე თვალი  
 ავარია, არავის დაუყოვნებული დარიგის სიმძლეობას  
 დაკარგები, მაგრა, მოვარდის გამოცდის დაცვულების  
 მდგრადი; მდგრადი მიერთ ას იძინები დაუყოვნებული  
 ძალით ამის მიზანი მდგრადი გამოცდის უზრუნველყო  
 და მისი ადამიანის მიმინდოვა ადამიანის უზრუნველყო  
 უძრავი და მიმდინარე ადამიანის გამოცდის უზრუნველყო  
 მის ამინდის მიზანი და მდგრადი მას მის მიმდინარე  
 უძრავი და მიმდინარე ადამიანის გამოცდის უზრუნველყო  
 მის ამინდის მიზანი და მდგრადი მას მის მიმდინარე  
 უძრავი და მიმდინარე ადამიანის გამოცდის უზრუნველყო

აღმოჩენის თარიღი და მდგრად დაცვის დანიშნულებელი ფორმის დაცვის და  
მდგრად დაცვის მინისტრის მიერ მიღებული მიუწვდომელი დოკუმენტის  
ციფრული ვარიანტის გადახვეწილი დოკუმენტის გადახვეწილი დოკუმენტი

ЦОЦКОЛАУРИ Д.

## ВАЖА ПШАВЕЛА О СВЯЗИ ПРИРОДНЫХ И СОЦИАЛЬНЫХ ЦЕННОСТЕЙ

### Резюме

Важа Пшавела глубоко осознавал иерархический характер природных и социальных ценностей. Он считал Вселенную неистощимой книгой мудрости. По его мнению, мудрость природных закономерностей определяла особенности жизни и характера людей. Из-за этого человек представлял лицом микрокосмоса. Поэт видел много общего, родственного между природным и человеческим существованием. Открытие этих общих черт очень помогало ему в процессе художественного олицетворения человеческого величодушия.

DAVID TSOTSKOLauri

## VAZHA PSHAVELA ABOUT THE LINK OF NATURAL AND SOCIAL VALUES

### Summary

Vazha Pshavela grasped in-depth the hierarchical character of social and natural values. He considered the universe an inexhaustible book of wisdom. In his opinion, the wisdom of natural regularities determined the peculiarities of human life and their character. Hence, man emerged as a microcosm. The poet saw much common and kindred in natural and human existence. Discovery of these common features greatly helped the author in creating an artistic image of human magnanimity.

## პ. ქვანგალიანი

### თემატიკური მეთოდის განვითარება ნაწარმოებები

ფოლკლორს დიდი ისტორიული ღირებულება აქვს. ნამდევილი ისტორიის დასაბუნებად მარტო წერილობითი და ნივთიერი ძეგლები არ არის საქმარისი, საჭიროა გეიორსიაგვეირების შესწავლაც. ამის დასერია ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი ხალხური სიტყვეირება, რომელსაც დიდი გარეერებულობა და სინათლე შეაქვს XVIII საუკუნის II ნახევრის ისტორიული მოელენებისა და თვით ერეკლეს პიროვნების, როგორც მეუის, პოლიტიკოსის, მებრძოლის შესწავლის საქმეში.

ერეკლე მეორის ცაკლის ფოლკლორული ტექსტები ძირითადად ასახავს ბრძოლას ლეპ მარბიელთა, ოსმალ და ირანელ დამპურობთა წინააღმდეგ, გეხვდება აგრეთვე ლექსები დაბადებასა და გარდაცვალებაზე.

საგმირო-ისტორიულ ნაწარმოებთა ეძველები უნქციის მაჩევებელია „ძეველ საქართველოში“ უიქსირებული ლექსი:

ბაგონიმეულს ერეკლესა მარბიელი მარბიელი უწოდნია, წყალი უსვამს აღვეთისა, დაკარგულა საჩალემი,

მონადირეს უპარენია (1, 63).

განსაზღვრავდეს უმაღლესი ინტერესები, მისითვის სრულქმნილებისკენ სწრაფვის იმპულსად სულიერი მოთხოვნები უნდა იქცეს. უნდა ახასიათებდეს შემდეგი სათნოებანი: სულის უბიწობა, სიყვარული, სიკეთე, თავმდაბლობა, რჯულის სიმტკიცე, ერთგულება, წყალობა, მიმტკიცებლობა, სიბრძნე, სიწმინდე, მოწყალება, სახელის დამკეიდრების სურვილი უნდა ერჩიონოს ყოველ სიმღიდოებს. არჩილი, როგორც რესთველის მემკვიდრე, აღიარებდა ადამიანის გონიერების ძალმოსილებას და ამ რწმენით მსჭეალავდა თანამედროვეებს.

ნამდევილი ბედნიერება ადამიანისათვის შაშინ იძალება, როდესაც თავისი ცხოვრების მიზნად სულიერი ინტერესებს გაიხდის და მისი ღირსეული არსებობა ამჟღევნად ზნეობრივი ცხოვრებით განხორციელდება.

ადამიანის ღირსება, პოეტის აზრით, ყველა სხვა ფასეულობაზე შალდა იდგა. მრავალ თეისებათა მორის მთავარი სამოგადოების წინაშე მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება იყო, რაც განსაკუთრებით ქვეყნის მმართველს, მეფეს უნდა ახასიათებდეს. მეუის განათლებაზე, მის ზნეობრივ სიმაღლეზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედი.

ადამიანის მოვალეობად ითველება არა თუ ზნეობრივი ნორმების დაცვა, არამედ მათი საუფეხლიანი ცოდნაც, რადგან ადამიანის ქსევა ზნეობრივი ღირებულებით ფასდება, ამიტომ გათვალისწინებული უნდა იყოს იმ სამოგადოების ზნეობრივი პრინციპები, რომელმიერ ის ცხოვრობს.

მაშასადამე, ზნეობა არის ადამიანის ღირსებისა და ღირებულების სამომზ. არჩილის დასკვნით, სრულყოფილი ადამიანი უნდა აღიმარდოს სიყვარულის, სიკეთის, რწმენისა და სამართლიანობის პრინციპებით.

არჩილმა, რომელიც ეროვნული პრინციპებით იყო მთავრნებული, ქრისტიანულ იდეალს დიდი მნიშვნელობა

მიანიჭა. მისი რელიგიური განცდა იმდენად ძლიერი იყო, რომ საერთო თემაგიერს გატაცებამ ვერ დაჩირდილა მისი ქრისტიანული მსოფლმხედველობა. ბიბლიური სახეებით აგროვნება, რელიგიურ-მისტიკური მოგივების შემოგანა მხატვრულ შემოქმედებაში იმაზე მიუთითებს, რომ პოეტი ქრისტიანული მოძღვრების საუძველებელზე უდილობდა როგორც ეროვნული პრობლემის გადაჭრას, ისე ქართველი საზოგადოების სულიერ ხსნას. ამ თვალსაზრისით მან თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო რელიგიურ თემებთან ერთად ამ მხატვრულ სახე-სიმბოლოებს, რომლებიც ადამიანის სულიერ ამაღლებას უწყობდა ხელს.

არჩილის პოეზიაში ქრისტეს სახე-სიმბოლო უმთავრესად ტრადიციულია. იყო გვხედება როგორც ბიბლიაში, ისე სასულიერო მწერლობის ნიმუშებში. ქრისტეს სიმბოლოებს: ნათელი, მზე, მზე სიმართლისა რელიგიური და ესთეტიკური მნიშვნელობის გარდა ეთიკური და გვირთვაც აქვს.

ქრისტე არჩილთან მოაბრებულია როგორც ნათელი ბნელის განმანათებელი, ჯოჯოხეთის უესტის ალის დამშრეგი, უსასყიდლო მეურნალი, ადამიანთა ხსნისათვის ჯვარზე გაერული, სისხლით ადამიანთა ცოდნების გამწმენდი, ნათელი სამუდამო, ზეცად ამაღლებული (4).

პოეტის შეხედულებით, თუ კონება უმუალოდ წერება და შეიმუნებს ღვთაებას, მაშინ სული ღვთაებრივ ნათლისკენ მიიღვთვის. ისწრაფვის დაემსგავსოს მას: არჩილი ხილული ნათლის მიღმა კონებრივ ნათელსაც აღიარებს, ევედრება უზენაესს სულისა და კონების განათლებას:

„კონების თვალი ამიხილე, რომელიც ცოდვით იყო დაბრმავებული“ (1)

როგორც ცნობილია, ქრისტიანული მოძღვრება მეურნალია სულთა და ხორცთა. ტრაგიკული განცდა, რომელიც ადამიანს ცოდვის გამო ეუფლება, დაიძლევა

ნათლისკენ სწრაფვით, რაც თავისთავად ხსნისკენ სწრაფვაცაა.

არჩილის აზრით, ნათლისკენ სწრაფვა მიიღწევა გულისთქმისა და ენების დათრგენეით. თუ ადამიანი თავის ცხოვრებას საუკელად დეთის მიშსა და სიყვარულს დაუდებს, დაემონება ღმერთს, მამინ მეცდომილი იპოვის ჭემმარიგების გზას, სიბნელე ნათლით მეეცვლება.

არჩილი ადამიანს მთააგონებს, რომ დეთაების უპირაგეობა უნდა შეიმექნოს გულით და მისკენ მიპყრობილი სულიერი თვალით, რადგან სულიერ საწყისად მოიაზრება როგორც გული, ისე ნათლად მხედველი თვალიც.

საცნაური ნათლისკენ სწრაფვის გზა საშუალებაა ადამიანის ხსნისა, განწმენდისა და სრულყოფისა, ამიტომ დეთის წინაშე მსხვერპლად მიიგანება გონებაცა და გულიც:

„გულია შეფე მთავარი გვამისა ყოვლთა ასოთა,  
უმისოდ ყველა ცუდია მრავალ ნაწერად ასოთა,  
ეის რა აამოთ, თუ არ მას, რაზომც რამ

გებილიასოთა?

ის უნდა ღმერთსა მიუყრათ, მემსჭვალოთ მაგრა  
ასოთა“ (1, 16, 17)

არჩილი ეძებს მიუწვდომელ ნათელს არა ფიზიკური თვალით, არამედ გონების თვალით, ამიტომ უვეღოება ქრისტეს, „სიგყვა დაუსაბამოს“, მისცეს სულიერი ძალა, რომ გონების თვალით მისწვდეს დეთაებრივ ნათელს.

არჩილი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით მზად იყო ქართველ ხალხში განემტებისათვის ქრისტეს სჯელი, ჩაენერგა სურვილი ნათლისკენ სწრაფვისა, ეხსნა გადაგვარების საფრთხის წინაშე მგდომი ქართველები და კათარზისის გზაზე დაეყუნებინა.

შეასაუკენეობრივი ამროვნების გრადისიების აღორძინებითა და ქრისტიანული სახე-სიმბოლოების

გამოყენებით ხელი . შეწყო აღამიანის სულიერი  
 ამაღლებისათვის.

## ლიტერატურა

1. არჩილიანი, ტ. I., 1936
2. მ. უჯმაჯურიძე, ელეგიური მოგიერისათვის ძეელ ქართულ სახულისა შეკრიბაში, „მაცნე“, 1985, №1
3. გ. იმედაშვილი, ეფეხისგყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968
4. გ. ფარულავა, მხაგრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პრობაში, თბ., 1982
5. ლ. გრიგოლაშვილი, დაკით აღმაშენებლის „გაღობანი სინაზულისანის“ კონცეულისათვის, ქართული ლიტერატურის საკითხები, II, თბ., 1971
6. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981
7. გ. მაღულარია, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, ცისკარი, 1971, № 4
8. რ. სირაძე, გრიგოლ ნოსელის ძიებაი სულისათვის ძეელ ქართულ შეკრიბაში, „მაცნე“, 1973, №1

ЧУМБУРИДЗЕ Л.

## ИДЕАЛ СОВЕРШЕНСТВОЕНИЯ ЧЕЛОВЕКА В «АРЧИЛИАНИ»

### Резюме

В работе автор рассматривает этические взгляды Арчила Багратиони, заостряя внимание на этических категориях, способствующих повышению нравственности человека, ее совершенствованию.

L. CHUMBURIDZE

### THE IDEAL OF REFINEMENT OF HUMAN BEING'S ACCORDING TO "ARCHILIANI"

#### Summary

The author reviews Archil Bagrationi's ethical conception and, underlines the ethical categories which encourage improvement and refinement of human morality.

## მერაბ რობაქიძე

### „კიბებისტრამსის“ გოგიართი ცნების მიმღებობისათვის

#### 1. პიროვნების „იწროებისა“ და „კრულობის“ იდეისათვის

„იწროების“ შინაარსის გასათვალისწინებლად მეტად მნიშვნელოვანია „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული კომპოზიტი „გონებამეიწრებული“, რომლითაც პოემის ავტორი გამოხატავს ავთანდილის განწყობილებას, მის მდელოარე სელიერ მდგომარეობას. რაინდის გელისწეხილი გამოწვეულია იმ მტიმე მისის მეუსრულებლობით, რომელიც მან იღვირთა.

საქმე ეხება უსხო მოყმის მონახვას. მთელი სტროფის შინაარსი ნათლად და გარკვევით წარმოადგენს „გონებამეიწრებულის“ მნიშვნელობას, რასაც მხარს უბამს მთლიანი კონტექსტის გააჩრებაც:

„თვენი ესხნეს ორანიდა, ამად სულთქვამს, ამად იშობს;  
„ვაი თუ საქმე გამიმეღავნდეს!“! – კელა ამისთვის  
„საგონებელი მეუქმნა, დადგა საქმისა მრჩეველად,  
თქვა: „თუ დავბრუნდე, ებომი ხანი რად დაუყავ მე  
კელად?“ (14, 186);

ჩემსა რა ვჰქადრო მნათობსა, ვიყავ რად დღეთა  
მლეველად?“ (14, 187).

„თუ არ დავბრუნდე, საძებრად დავყვნე სხვანიცა  
ხანანი,

რომელსა ვეძებ ვერა ვენწე ამბავნი მე მისთანანი,  
დრო გარდაუწყდეს შერმადინს, მიხვდენ დაწვისა  
ბანანი,

მივიდეს, ჟეადრნეს მეუესა საქმენი დასაგვანანი“ (14,  
188),

„უამბოს ჩემი სიკედილი, თვით ჩემგან დავედრებული,  
მათ მექმნან გლოვა-ტირილი, ქმნან საქმე  
გამწარებული,

მერმე მივიდე ცოცხალი მე, სხვაგან სადმე რებული!“  
ამას იგონებს გირილით გონებამეიწრებული“ (14, 189).

„იგყვის, „ღმერთო, სამართალი შენი ჩემთვის რად  
ამრედენ?“

მე ემომნი სიხარული კიდე, რად გლახ, გამისუდენ?  
გულით ჩემით სიხარული აპფხერენ, ჭირნი  
დააბუდენ“;

დღეთა ჩემთა ცრემლი ჩემნი ვერაოდეს დავიყედენ“  
(14, 190);

„კელაცა იგყვის: „დათმობა სჯობს“, და თავსავე  
ეუბნების:

„დღეთა მეტად ნე მოჰკედები, გული ჩემი ნე  
დადნების“(14, 191).

ეს კრისტიანული ამონაწერი ნათლად მოგვააზრებინებს  
„გონებამეიწრებულის“ მნიშვნელობას. ამ სიგყვეოთ  
გადმოცემულია აეთანდილის მღელვარება, მისი აფორიაქება  
ტარიელის უმედეგო ძებნის გამო, მამინ როცა ორი თვედა  
რჩება დათქმული ვადის გასვლამდე, რომლის უმედეგო  
გალევას არასასურველი შედეგები მოჰყვება. ამ ფიქრთა  
მოძალება კრძნობებს უშლის და საღი განსჯის უნარს  
უკარგავს რაინდს, რომლის გონებამეიწრება გამოსახულია  
გულის მოძრაობის გამომხატველი ისეთი ცნებებით,

როგორიცაა „გელიდან სიხარულის აღქვერა“ და მის ნაცვლად „ჭირთა დაბუღბა“, „გელმომიშობა“, „გელის დაწნობა“. ამ მძიმე სელიერი განცდესით განპირობებული და განსაზღვრულია აეთანდილის „გონებაშეიწრებულობა“.

უნდა ითქვას, რომ რესთაველი ოპერირებს მესტი ფსიქოლოგიური განსაზღვრებებით - გელის უარყოფითი ემოციები უკავშირდება, როგორც ამას ენობრივი და ფსიქოლოგიურ-ლიტერატურული, ისევე როგორც თეოლოგიურ-სალეთისმეტყველო მონაცემები გვიდასგურებენ, „გონების შეიწრებას“. „იწროება გონებისა“ იწვევს „ურმნობის ღოვიეთ“ მოქმედებას (ვ. ნორა ჯიძე). ამ აზრით ნიშანდობლივია საბასუელი დეფინიცია ისეთი სიტყვისა, როგორიცაა „გელისგანჯვა“. ლექსიკოგრაფი ამ უნებას განგვიმარტავს, როგორც „გონებით შექიმურებას“, რითიც საცნაურყოფს ძეველი ფსიქოლოგიური სისტემის ცოდნას.

საყურადღებოა აგრეთვე პიროვნების „შეკვრის“ („ერელობის“) რესთაველიური კონცეფცია, რომელიც რამდენჯერმეა წარმოდგენილი პოემაში.

პირეელ რიგში ყურადღება გავამახვილოთ ისეთ შესიგყვებამე, როგორიცაა „გელი კრელი“. პოემაში აღამიანის გელის თვისება დახასიათებულია შემდეგნაირად:

“გელი კრელია ქავისა, ხარბი და გაუძღომელი,  
 გელი ქამ-ქამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა  
 მნდომელი,

გელი ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ  
 გამზომელი,  
 ვერსა პეაგრონობს სიკვდილი, ვერსა პატრონი  
 რომელი” (14, 720).

„გელი კრელი“ როგორც ვხედავთ, პოემაში წარმოგვიდგება კრძნობით-ემოციურ შესიგყვებად, პიროვნების ისეთ შინაგან მდგომარეობად, როცა გელი ეურჩება გონებას (“ხედვას”). თავად კი ამ ღროს ისეთ

ენებებს გადაეყრება, როგორიცაა სიხარბე, გაუმაძლრობა, ესაზღვრო და ეგუნური სიამოვნება და სხვა. “ხედვის” გარეშე დარჩენილს კერაეითარი “პატრიონი” ეკლარი პატრონობს. ამ დროს გული დაბრმავებულია, “ჩაკეტილია”, “დახურულია”, სხვაგვარად – “კრელია” (“ანუ მეკრელია”). რესთაველი ამ სტროფი ღილი ფსიქოლოგიური სიღრმით გვიხასიათებს “გულს”, როგორც გაუწონასწორებელი კნება-ემოციებით შეკრობილი, “ხედვას”, აზროვნებას უსხლება და ხმირად გამოუსწორებელ ცოდნილებათა მიმები ხდება.

“ეეჟისგყაოსანში” პიროვნების შეკერის სხვა მემთხევებიც გვაქვს. მეტად მნიშვნელოვანია პოემის ის ადგილი, სადაც დასტურდება “სიმრთელის შეკერა”. მხედველობაში გვაქვს პოემის ის ადგილი, ავთანდილი რომ მიმართავს საგრუოს დაკარგდათ სასოწარკეთილ (“შეკრელ”) ტარიელს: “თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლელსა ახლად რად იწყლელებ?” (14, 877).

ისმის კითხვა: რას ენდა ნიმნავდეს ”მრთელი თავის შეკერა”? - აქ წარმოდგენილია ტარიელის ის მინაგანი მდგომარეობა, რომელიც საუნაურყოფს ამ გამონათქვამის მინაარსს. აქ ხომ ლაპარაკი არაა და არც შეიძლება მოიაზრებოდეს ფიზიკური თავი და მისი რაიმეთი შეკვრა (შეხვევა), ეხადი ენდა იყოს. მეთოდურად ვწვდებით იმ ასევეტებს, რაც განაპირობებს “მრთელი თავის შეკვრას”. ეს არის “სიკედილთან მიახლება”, “ნებით თავის მოკეცა”, “სრელად მიხდომა ცნობისა”, “თავისიერ ცნობისაგან ჭირში ჩავარდნა” - ყოველივე ეს არის ის მინაგანი “წყლელი”, რომელიც განაპირობებს “მთელი თავის შეკვრას”. “თავი” აქ მთლიანპიროვნული მინაარსის ცნებაა, ხოლო მისი “შეკვრით” გამოხატებულია უკიდურესი სულიერი შეჭირვება, რომელსაც სხვადასხვა წინამძღვარი უდევს საფუძვლად.

აი, როგორ ავაიწერს პოეტი ტარიელის მდგომარეობას:

„თვალთა ახმადეა მარ-ედეას, სრულად მიშხლოდა  
ცნობასა“

მიახლებოდა სიკვდილსა, მოპმორებოდა ცნობასა“  
 (14,870).

აკთანდილი ყოველ ღონეს ხმარობს, მეგობარი გონის  
 რომ მოაგოს:  
 „ეტყვის:“ ეერ მიცნობ აკთანდალს, შენთვის  
 გაჭრილსა და ხელსა?“

მას არა დია მეესმის რეგსა,

თვალდაუფახელსა”(14,872).

აი, ეს მდგომარეობა განსაზღვრავს გარიელის მიერ  
 „მროველი თავის შეკრვას”, რაც ნიმნავს მთლიანპიროვნელი  
 სისრულის (სიმრთელის) “რღვევას”-ს, რასაც იწვევს ვნებათა  
 სიჭარბე ცნობიერებისა და გონიერების „შეჭრების” უონჩე.

პოემაში გვხვდება აგრეთვე “გორლითა შეერვა  
 თავისა მრთელისა”. გარიელთან შეყრის სურვილით  
 შეპყრობილი აკთანდილი ასმათს მიმართავს:

„აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა,  
 სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა;  
 რასაცა მიბამ შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა,  
 თვარ ვისმეა ექმნა გორლითა შეერვა თავისა  
 მრთელისა” (14, 258)

„მრთელი თავის შეერვა“, როგორც ვაჩვენეთ  
 გარევეელი სემანგიკის შემცველი გამოთქმაა. რაც შეეხება  
 რაიმეთი „თავის შეერვას“, აქ ანთროპოლოგიური ცნების  
 მხატვრულ პოეტურ გამძაფრებასთან გვაქვს საქმე.

რაც შეეხება “ვეჯხისგყაოსნის” ეასაქს - “აწ ვაბირო,  
 მაგა პირსა გელი ქრელი ვით მოეთმინდეს” - აქ აკთანდილი  
 საყვედურობს ვაბირს მისი გასაჭირის გაუზიარებლობის გამო.  
 “გელი ქრელი” ნიმნავს ამ შემთხვევაში გელქვაობას,  
 შეუბრალებლობას, რაც პიროვნებას სამუალებას არ აძლევს  
 “გაიხსნას მოძმისა და მოყვასის დახმარების სურვილით”.

გარდა ამისა, საგრულოსთან დამორჩილი დამწერებული აუთანდილი იტყვის: “შენი მორს „მყოფი კრულია“-ო. აქ პიროვნებას „ქრავს“ მძიმე სულიერი განცდები.

პოემაში ნათქეამია ავრეთვე:

„... დიაცია ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულია,  
აუგი და მოყივნება არად შესწონს ყოლა ერელია“  
(14, 1093).

აქ დიაციას გული შეერელია ემოციური განცდებით, სიყვარელის “ენებით”. პოეტი ამ მემთხვევაში “დიაცის” შინაბუნების მახასიათებლად გვაწვდის ისეთ ექსპრესიულ-ემოციურ ცნებას, როგორიცაა “კრული”.

გარიელის მძაფრ სულიერ მღელვარება-განცდებთან დაკავშირებით პოემაში ნათქეამია: “დიდხანს ვერა თქეა სევდამან გული შეეყრა, დარია” (14, 349). ზოგიერთი ხელნაწერი “შეეყრას” ნაცელად გვაწვდის “შეერას”. საფიქრებელია, რესთაველის ხელიდან გამოსული იყოს “შეერა”, რადგან “გულის შეერის” არცუ მცირე მემთხვევები დასტურდება პოემაში. ეს ვარიანგი გათვალისწინებულია მოგ გამოცემაში (14, 15).

“გულის შეერა” (აგრეთვე პიროვნების „შეერა“ საზოგადოდ) დასგერდება „ვისრამიანში“: “გული სავისოისა სიყვარელისათვის შეეყრავს ბერსა ძიძასა” (6, 99); “მე ასრე შეეყრავს და სიხარული გულისაგან წამილის” (6, 148); “მისგან ერთხელას ვერ გაეხარნის, ამით რომელ შეერელ იყო” (6, 209).

“კრულობის” (“შეერის”) იდეას, საზოგადოდ, უპირისპირდება “ხსნის” (“დახსნის”, “გახსნის”) იდეა, რაც პოემაში ასეთი საყერადლებო მაგალითთაა წარმოდგენილი: “შეუე ბრძანებს: რა შევიგნათ, გული ჩენი რით იხსნების?” (14, 1183).

პიროვნება თავისი სიღრმისეული ძალებით  
ყოველთვის მისწრაფების თავისეულებისაკენ, რაც  
ყოველგვარი “ჰირისაგან” – იწროუბისაგან და  
ურელობისაგან გამოხსნას ნიშნავს.

## 2. „ბუნებაზიარის“ გაგებისათვის

რას ნიშნავს „ბუნებაზიარი,” რომელიც პოემაში  
აეთანდილის დასახასიათებლად არის მოწოდებული? ბრძენმა  
რაინდმა როგორც კი მეიგყო უაგმანისაგან ჭამნაგირის  
მუქარის მთელი სერიოზულობის შესახებ, რაც საფრთხეს  
უქმნიდა არა მარტო უაგმანისა და მისი შეილების  
სიცოცხლეს, არამედ დასაღეპად სწირავდა მთელ იმ საქმეს,  
რასაც აეთანდილი ასეთი თავდადებით მიპყვებოდა მანამდე,  
უმაღ გაიამრა მოსალოდნელი შედეგები. უაგმანი ეუბნება  
აეთანდილს:

“წადი, მოკალ მალეით, დამით,

მე და სრულად სახლი ჩემი დახოცვასა დაგვხსენ ამით!  
მოხვალ, გითხრობ ყველეულასა, მე ვითა ვარ ურემლთა  
ლამით” (14, 1106).

ფაგმანი განაცრძობს:

“თეარა დამითვე ტვირთები შენი წაიღე ვირითა,  
დააგდე ჩემი მიღამო, სრულად მიკრიფე, მი, რითა.  
ვაკვ, რომე ჩემთა ცოდვათა შენსა აგავსონ ჭირითა,  
თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შეილთა დამაჭმევს  
ქირითა” (14, 1108).

როგორც ვხედავთ, უაგმანთან ერთად, საქმის  
გამეღავნების შემთხვევაში, აეთანდილი “აივსება ჭირით” და  
უაგმანის დახმარების იმედიც დაიკარგება.

აეთანდილი შექმნილ სიგუასიაში, როგორც რაინდს  
შეეფერება, უკან არ იხევს: “რა ესე ესმა აეთანდილს, ლალსა,

ბუნებაშიარისა, ადგა და ლახტი აიღო, რა გურუფა რამე მხნე არსა". მემდეგ მოთხოვობილია, როგორ მეასრულა ფაგმანის სურვილი და სიცოცხლეს გამოასალმა შერისძიების კრძნობით შეყრობილი ჭამნაგირი. აეთანდილისთვის ნესტანის ამბის მოყოლის მემდეგ უატმანი იმასაც ეუბნება, რომ ყოველივე გამხელილი პქონდა ჭამნაგირისთვის, რომელიც ყოველი "წაკიდების" ეამს "გამედავნებასა ექადდა". "მე, ვლახ, ვიყავ მისი ნებვი, იყი იყო ჩემი ვაცი" – ეუბნება ფაგმანი აეთანდილს და დასძენს:

"თუმცა ისი არ მოგეელა, მისულიყო დარბაზს ვითა,  
მემასმენდა ჯაერიანი, გული ედვა ცეცხლებრ წვითა;  
მეუე მწყრალი გარდასწმედდა სახლსა ჩემსა  
გარდაცვითა,

მეილთა ღმერთო, დამაჭმევდა, დამქოლეიდა მერმე  
ქვითა" (14, 1209).

აი, ამგვარ დრამაგულ სიტუაციას განმუხტავს აეთანდილი - ეს "ლალი", "მხნე" და "ბუნებაშიარი" ჭაბუკი.

რაინდული კოდექსი ავალებს აეთანდილს, რომ ხიუათისაგან ისნას, დაღუპეას გადაარჩინოს ფაგმანის ოჯახი. ამას ისიც ემაგება, რომ, როგორც ვთქვით, თავად აეთანდილსაც ემუქრება საურთხე ზღვათა სამეუოს დაკოვებისა, ხოლო დარჩენის მემთხვევაში - "ჰირით აღვებისა". მთელი ეს სიტუაცია კი აფერხებს იმ საქმეს, რამაც აეთანდილი გადმოხვეწა ამ ქვეყანაში.

შექმნილი მდგომარეობა აეთანდილს წარმოაჩენს როგორც "ბუნებაშიარის". როგორ უნდა გაეიგოთ ამ სიტყვის მნიშვნელობა?

ამ საკითხე სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს.

ქრისტიანული თეოლოგიის შესწავლის საუძველებელი გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბუნება ღვთაების (ქრისტეს) სინონიმია, რასაც თითქოსდა უნდა ადასტურებდეს "ვეფხისტყაოსანში" დაცული "ბუნებაშიარი". ამ შეხედულების

ძალით, ეს სიგყვეა ნიშნავს ღმერთთან წილნაყარს, შემიარებულს, შეერთებულს, “ღვთისმიარს”. “ბუნებამიარს” განმარტავენ აგრეთვე როგორც “ღიდბუნებოვანს”. არსებობს სხვა თეალსაზრისიც.

თეომურაშ ბაგრაგიონს „ბუნებამიარი“ ესმის როგორც „მამაცი“ (2). მისი სიგყვეით, ბუნებამიარი ის ადამიანია, „რომელსა კადნიერება შეერთებული აქეს სიმხნესთან“. ამ ამრს იმიარებენ დ. კარიჭამეილი (15) და დ. ჩუბინაშეილი (17, 123). თ. ბაგრაგიონი „ღიდბუნებოვანსაც“ გვთავაზობს. ამავე განმარტებას იმიარებენ დ. კარიჭამეილი, იუსტ. აბულაძე (1, 290) და ა. მანიძე (13, 351). „ღვთისმიარი“ მოწოდებულია ენობაძის მიერ (10, 131); მ. რაჭავას განმარტებით, „ბუნებამიარი“ ნიშნავს ქრისტეს ზიარს (11, 117-122), ამ ამრს არ ეთანხმება კ. ხინთიბიძე (18, 82-87; 19, 162-167).

ეფუძნობთ, მეტად მნიშვნელოვანია საკვლევ ცნებასთან შიმართებით ი.ვ. ჯავახიშვილის შეხედულება „ზიართა ბუნებისა“ შესიგყვებასთან დაკავშირებით, რომელიც სახელოვანმა მეცნიერმა „ვეუშისგყაოსნისგან“ დამოუკიდებლად გამოიტქვა თავის ნაშრომში „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“: „გ. ხუცესმონაზონისა და, ეეჭველია, მისი დიდებული მოძღვრის გიორგი მთაწმიდლის რწმენის თანახმად, ადამიანი მარგო კაცთმოყვარეობით არ უნდა დაქმაყოფილებულიყო – ეს თვისება უკეთ საქმარისი აღარ იყო, არამედ მისი გრძნობისა და შეგნების სიღრმე უფრო მორს უნდა წასელიყო. მას უნდა შეეგნო, რომ „ღმრთის მსგავსი მეწყალებად ესე არს, რათა კაცი არა ხოლო თუ ზიართა ბუნებისა თუსისათა სწყალობდეს, არამედ პირებულეთაც მისწერეს მოწყალებითა“-ო (20, 149).

როგორც ეხედავთ, გიორგი ხუცესმონაზონის მიერ მოწოდებულ ცნებაში „ზიართა ბუნებისა“ ღვთაებას კი არ ემიარება კაცი, არამედ თავისივე ბუნების მაგარებელ

ადამიანს. ადამიანები ერთმანეთის ბუნებაშიარნი არიან, მათ ახასიათებთ „გრძნობისა და კონების სიღრმე”, „კაცოფუვარულია”, მაგრამ იგი უნდა ავლენდეს დეთავებრივ მოწყალებასაც იმ აზრით, რომ მხოლოდ თავის „ბუნებაშიარს” ეი არ უნდა სწყალობდეს, არამედ „არაპუნებაშიარსაც” (პირუტყვეს). „ზიართა ბუნებისა” აქ ნიშნავს ადამიანთა ნათესავს, ადამიანთა კლასს, რომელიც უპირისპირდება ცხოველთა კლასს. ეს ცნება გიორგი ხელისმონაზონთან ნიშნავს, რომ ადამიანები ბუნებით ერთნი (ზიარნი) არიან. მამასადამე, „ზიარი” ამ შემთხვევაში წმინდა ადამიანური ღირებულების სიგყვაა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ადამიანები ერთმანეთის მიმართ „ბუნებაშიარნი” შეიძლება იყვნენ არა მარტო მოგადადამიანური ნიშნის მიხედვით, არამედ სიყვარულის, მეგობრობის, „თანამდიარების”, „თანამონაწილეობის”, „მოწილეობის”, „თანაგრძნობის” ნიშნითაც. ადამიანს შეუძლია „გადასახლდეს” მეორე ადამიანში, „შეეთვისოს”, „შეესაკუთროს”, „შეეპეტოს” (ეს სიგყვა ნახმარი აქვს არა ერთხელ რესთაველს).

ბასილი დიდის ას კეტიკონის ერთი თხზულება „კითხვა მოლვაწეთა” შეიცავს ცნობებს ჩევნთეის საინტერესო საკითხებე. წმ. ბასილი მსჯელობს ადამიანის ბუნებაშე, ერთიერთსიყვარულზე. ძირითად თვისებად მიიჩნევს ადამიანთა მორის ერთიერთშემწეობას, ერთიერთგაგებას, თანაგრძნობას... „ვინ-მე არა უწყის – წერს იგი, – ვითარმედ მშეიდი და ზიარებით ცხოველ არს კაცი და არა მარტოებითი, არცა ველურებითი. რამეთუ არარამ არს ესრეთ თუს ბუნებისა ჩევნისა, ვითარ ზიარებად ურთიერთას და კუმევად ერთიერთას და სიყვარული თანამონათესავეთა ჩევნთა” (3, 141-142).

როგორც ვხედავთ, წმ. ბასილი ადამიანის ბუნების უარსებითეს ნიშნად თვლის ერთმანეთთან „ზიარებას”; უფრო

მეტიც, მისი სიგყვით, ადამიანს სიეოუხლეს ანიჭებს სწორედ ეს თვისება ("მიარებით ცხოველ არს კაცი"). "ზიარება"-ს ბასილი დიდი უპირისპირებს "მარტოებას", რომაც წარმოაჩინს ადამიანის როგორც საშოგადოებრივი არსების, ბუნებას. იგი გარევევით გვეცნება, რომ ადამიანი "ბუნებაზიარია" ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

"ბუნებაზიარობა" რომ საშოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პირობაა, ამის შესახებ მსჯელობს აკრეთვე ნემესიოს ემესები თავის ანთროპოლოგიურ თხზულებაში "ბუნებისათვეს კაცისა". მისი სიგყვით, "ურთიერთას მოქენე ვართ ურთმანეთისა თანამესა კრეელობისათვის, რათა ამის მიერ მრავალი ერთ ვიქმნებოდეთ, რამეთუ ვებიარებით ურთიერთას ცხოვრებით საქმართა მიმოლეალებისა მიერ... მახლობელობით და მშორებლობით ერთი-ერთარსსა სარგებელსა მივინაყოფებთ; რამეთუ ბუნებით თანმეჯოგედ და მოქალაქედ ცხოველად მეიქმნა კაცი; რამეთუ ერთი არაეინ ემა ეყოფის საქმესა" (9, 15-16).

ეფიქრობთ, როგორც ბასილი დიდი, ისე ნემესიოს ემესელი, ზედმიწევნით კარგად განმარტავენ "ბუნებაზიარის" არსს. ისინი გარკეევით გვეცნებიან, რომ ადამიანთა ზიარება ურთმანეთთან მათი ბუნების არსებითი მხარეა. მართალია ვახტანგ მეექვეს "ბუნებაზიარის" განმარტება არ მოუყია, მაგრამ პოემის სხვა ადგილთან დაკავემირებით წარმოდგენილი აქვს "ზიარის" ახსნა. იგი ამბობს: "ზიარი მოწილეს პევიან" (4, 375). ჩვენ ვერაფერს ვიტყვით დარწმუნებით, როგორ ესმოდა მას "ბუნებაზიარი", მაგრამ უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ზიარის" ახსნა საესებით შეესაბამება საკვლევ საჯითს.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვითაც "ზიარი" ნიმნავს "მოწილე"-ს. „ზიარება"-ს კი განმარტავს როგორც

“თანამონაწილეობა”-ს (12, 261). “შემანიერის წამებაში” რამდენჯერმე გვხვდება მიარება, აგრეთვე “თანამიარი”. ეს უკანასკნელი მოწოდებულია “მონაწილის” სინონიმად: “მონაწილე იყვნეს და თანამიარი” (7, 27). აღსანიშნავია, რომ ამავე თხზულებაში გვხვდება “მოწლეობა”: “მაღლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლეობისა მისისათვის” (7, 28), რომელიც ილია აბულაძის მიერ განმარტებულია, როგორც “გულშემატეირობა” (8, 94). “მოწლე” ძველი ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებშიც გვხვდება და იგი ხელნაწერებში მონაცემლეობს „მოწლე”-სთან. (8, 28; 16, 329-331).

ახლა, თუ პოემის საკელევ კონტექსტს მიეცნდებით, მეგვიძლია ვთქვათ, რომ აეთანდილი “ბუნებამიარია” იმ ამრით, რომ იგი მთელი სიცრძე-სიგანით ითვალისწინებს მექმნილ სიგუარიას – უაგმანის ოჯახზე თავდატეხილ სასიკედილო საფრთხეს (რა თქმა უნდა, მას გათვალისწინებული აქვს თავისი საქმის ჩაშლის საშიროებაც). საერთოდ, მთელი პოემის მანძილზე, აეთანდილის სახე წარმოდგენილია როგორც “ბუნებამიარი” პიროვნებისა. იგი თავდატებით ეხმარება გარიელს. ამავე თვისებით არიან მემკელნი პოემის სხვა ჟერსონაევებიც, რაც მეკობრობის მაღალ გაგებაში ვლინდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებითად სწორი თვალსაზრისია წარმოდგენილი “ეფესისგყაოსნის” ჟერსონაეთა თანამიარობის შესახებ, რომლის მიხედვით, „რუსთაველის მხატვრული თვალთახედვით, ადამიანის ხსნა თანამიარობის და სხვისი შეელის უნარია. ადამიანური ყოფიერების ასეთი გაგება პოემას ერთიანად შსჭვალავს... რუსთაველის კონცეპტუალური თვალსაზრისი, რომ ადამიანის ხსნა და მოწოდება თანამიარობაა, სხვისთვის თვითგადებაა, ყველაზე თვალსაზრისი, რა თქმა უნდა, აეთანდილის სახეშია

ხორცესხმულია... იგი ეხმარება ფატმანს, იხსნის მას ჭაშნალის სასვარელი მურისძიებისაგან” (5, 15-17).

რა თქმა უნდა, „ზიარება“ს აქვს არა მარტო „პორიშონგალური“, გაამრება — ადამიანთა მორის ურთიერთობის თვალსაშრისით. საშეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის მითითებული, რომ ადამიანი უერთდება, ეზიარება ღმერთს (საღვთისმეტყველო—თეოლოგიური ლიტერატურიდან ამის შესახებ უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება) და „კეფხისგყაოსანში“ ასეთი შემთხვევას დასტურდება — „ერთსა მიშხვდეს საჩიაროდ“ (14, 1454), მაგრამ, ამავე დროს, გარკეევით უნდა გაიმიჯნოს „ზიარების“ მიწაარსის ორი მიმართულება — ღმერთობან და ადამიანთან.

"ეეტხისტყაოსნის" საანალიზო ცნება - "ბუნებაზიარი", როგორც ბემოთ მოტანილი მასალა ცხადყოფს "ადამიანური" მნიშვნელობითაა დაგვირთული.

## ლიტერატურა:

1. აბელაძე იუსტ., რესთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967
2. ბაგრაგორი თეიმურაშ, განმარტება პოემა ვეფხისგყაოსნისა, თბ., 1980
3. ბასილი დიდი, მოყვესისა მიმართ სიყვარულისათვეს ("ასკეტიკონის" ნაწილი), გამოქვეყნებულია პროფ. ესინთიბიძის მიერ წიგნში – "შეასაუკუნეობრივი და რენესანსული ვეფხისგყაოსანმი", თბ., 1993
4. ვახგანგის ლექსიკონი, 1712 წ. გამოქვეყნებული ა. მანიძის მიერ აღდგენილ ფორმების უკანასკნელ გამოცემაში, თბ., 1975
5. ვასაძე თ., არჩილი (საზოგადოებრივ-ლიტერატურული კურნალი), 2001, №1.
6. ვისრამიანი (ა. გვახარიას და მ. თოდეას რედაქციით), თბ., 1964
7. იაკობ ცერგაველი, წამებამ წმიდისა მუმანიების დედოფლისამ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I (V-X ს.), თბ., 1964
8. მარგვალობამ მუმანიების, ქართული და სომხური გვესტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბელაძემ, თბ., 1938
9. ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვეს კაცისა, ბერძნულიდან გადმოიღებული ითანე პეტრიწის მიერ; ქართული ტექსტი მეისწავლა, გამოსაცემად დამზადა და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს. კორგაძემ, თფილისი, 1914
10. ნობაძე ვ., ვეფხისგყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963
11. რაჭავა მ., ვეფხისგყაოსნის ზოგი ადგილის გაცებისათვის, კრებულში: მოთა რესთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., 1966
12. სელხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა

და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია  
 აბულაძე), თბ., 1991

13. შანიძე ა., ვეფხისგყაოსნის ლექსიკონი, დართული 1957 წ-ის  
 გამოცემაზე
14. შოთა რუსთაველი, ვეფხისგყაოსანი, გექისგი და ვარიანტები  
 (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით), თბ., 1966
15. შოთა რუსთაველი, ვეფხისგყაოსანი (დ. კარიჭამვილის  
 გამოცემა), თბ., 1903
16. ძველი ქართული აფოვრაფიული ლიტერატურის ძეგლები,  
 წიგნი I (V-X სს.), თბ., 1964
17. ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი (სასტამბრიდ  
 მოამზადა და წინასიღყვაობა დაურთო აკაებ მანიძემ), თბ.,  
 1984
18. ხინთიძიძე ვ., ვეფხისგყაოსნის უმენავსი არსების  
 მიმართებისათვის დეთაებასთან, ქრებულმა: ქართული  
 ფილოსოფიური ამინის ისტორიის ნარკევები, II, თბ., 1973
19. ხინთიძიძე ვ., მსოფლმხედველობითი ცრობლემები  
 ვეფხისგყაოსანმა, თბ., 1975
20. ჯავახიშვილი ა., აღამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და  
 ცხოვრებამა: ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის  
 საკითხები, თბ., 1956

РОБАКИДЗЕ М.

## К ПОНИМАНИЮ НЕКОТОРЫХ ПОНЯТИЙ В ПОЭМЕ РУСТАВЕЛИ «ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

### Резюме

Автором статьи в свете изучения идеи человека в поэме Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» исследуются антропологические понятия («узость», «замкнутость», «причастность»), содержащие в себе семантику психологического состояния души личности как «целостного» и «узкого».

M. ROBAKIDZE

### ON THE INTERPRETATION OF SOME NOTIONS IN RUSTAVELI'S POEM “THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN”

### Summary

In studing the idea of man in Rustaveli's poem *The Man in the Panther's Skin*, the author studies antropological concepts ("narrowness", "reserve", "participation") involving the semantics of the psychological state of the personality's mind as "integral" and "narrow".

ე. ჯავახიშვილის სახელის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრომაზი  
 Труды Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили  
 Proceedings of Tbilisi I. Javakhishvili State University

348, 2003

## თამარ ხაშავა

### აღამიანის იდეალი იზალიერ რენესანსი და მისი ტიკოლოგიერი მიმართება „ვეზენსტაურსანთან“

უოკელი ეპოქა გარევეულ კანონმდიერებას ემორჩილება, განსაზღვრულ გარემომი, დროსა და სიერცეში იქმნება, ვითარდება, აღწევს თავისი განვითარების მწერვალს და თავად მასმივე ჩასახულ მომდევნო ეპოქას უთმობს ასპარეზს. ეს ახალი ეპოქა კი ერთდროულად ნოვაგორულისა და კონსერვაგორულიც, მიბაძვაცაა და უარყოფაც. ურთელესი (და თანაც ყველაზე საინტერესო) სწორედ გარდამავალი ხანაა, როცა საბოლოოდ არც ძველია განვითარების, არც ახალია დამკეიღრებული. ეს წინააღმდეგობა ყველაზე ნათლად აისახა რენესანსის ეპოქაში (XIV-XVI სს.), რომელსაც შეა საუკუნეებიდან ახალ დრობე გარდამავალ პერიოდად მიიჩნევენ. მაგრამ მას თავის მხრივ წინ უძლოდა ხანა, რომელმაც მნიშვნელოვანი გარდაგეხა მოახდინა კაერობრიობის აზროვნების ისტორიაში და რომლის დახვეწიდ, დაკანონებად გვევლინება ნაწილობრივ აღორძინების ეპოქის კონსეფციები და ესთეტიკა, ფილოსოფიური სისტემა. ეს არის პროტორენესანსის ხანა (XIII ს.), რომელიც თავადაც გარდამავალი პერიოდია შეასაუკუნეებიდან რენესანსზე. ააქ

სიახლე შეა საუკუნეების ბაზაზეა მოგანილი. შეინიშნება, ერთი მხრივ, შეასაუკუნეობრივი იდეალის შენარჩუნება და, მეორე მხრივ, მისი შერწყმა იმ ახალ გენდენციებთან, რომლებიც მომავალ, აღორძინების ეპოქაში წარმმართველი გახდა. ამასთანავე, ესაა პარმონია შეასაუკუნეობრივისა და რენესანსულისა" (8, 166).

რენესანსს, ჩვეულებრივ, სამა ნიშნით ახასიათებენ: ანგიეის აღორძინება, ჰუმანიზმი, „ხამყაოსა და ადამიანის აღმოჩენა" (29, 3). ამათგან მის მთავარ ნიშნად პირველს მიიჩნევენ, მეორესა და მესამეს მისგან გამომდინარედ თვლიან. მეტიც, თავად ტერმინ „აღორძინებასაც" ამ ნიშნის მიხედვით ხსნიან და განმარტავენ როგორც ანტიეის აღდგენა-აღორძინებას, თავიდან დაბადებას. მაგრამ ეს ნიშნები, მიუხედავად იმისა, რომ ხმირადაა მოხმობილი რენესანსის როგორც ცნების დეფინიციისას, არ ქმნიან რენესანსის სპეციფიკას<sup>1</sup>. ამ ეპოქის სპეციფიკად „აღორძინების ესთეგიის" ავტორი, ალ. ლოსევი ანგიეურ და შეასაუკუნეობრივ ესთეგიისთან მედარებით მიიჩნევს: 1. წინა პლანზე ტკბობის პრინციპის როგორც ესთეგიისთვის ძირითადის წამოსვლას; 2. ადამიანური ინდივიდუუმის იდეის აბსოლუტიზაციას ნაცვლად ტრანსცენდენტური ღვთაებრივი კიონგნებისა (ალ. ლოსევს მის აღმნიშვნელად შემოაქვს ტერმინი „ტიტანიზმი"); 3. ინდივიდუალიზმის თვითკრიტიკას, ანუ გაცნობიერებას იზოლირებული ადამიანური სუბიექტის შემოსაზღვრულობისა (სხვაგვარად ალ. ლოსევი მას სახელდებს როგორც „ტიტანიზმის საპირისპირო მხარე") (17, 57-61).

აქევე უნდა განვმარტოთ, რას ნიშნავს „ანგიეის აღორძინება" რენესანსულ ესთეგიაში: ეს არის არა მიბაძვა-

<sup>1</sup> რაც შვებება ქუმანიზმს, იყრ. ჩვენი ამინის, არც ნიშანია, არც აღორძინების სპეციფიკას შემჩნელი. მის შესახებ დაწერილებით ჭვემოთ ეისაუბრებთ.

გადმოღვება, არამედ ახლის დაბადება კულტურათა დიალოგის შეღებად. ძლიორძინების ეპოქამ შეძლო ანგიინომიად მიჩნეული „ანგიიკურობა – მუასა ეკუნეების“ გამოლიანება, მაგრამ არა გამთლიანება ურთიერთაღრევის ხარჯზე, არამედ, ურთიერთშევსება. რენესანსის სპეციუიკა სხვა ეპოქებთან შედარებით სწორედ ისაა, რომ აქ კულტურათა შერწყმა-შეთავსება სინთეზს ეს არ ქმნის მხოლოდ, არამედ ამ სინთეზზე დაყრდნობით კულტურის ახალი გიპი იძალება. ანგიიკურობა (წარსული) იმ მიზნით იქნა მოხმობილი, რომ მისი მემკეობით აწმუობი ახალს (მომავალს) ჩაყროდა საფუძველი. ამას თავიდანვე აქნობიერებდნენ აღორძინების ეპოქის მოაბრიონენები, მათთვის ძველი, გაკვალეული ბილიკები ახალ პორიტონგთა აკენ მიემართებოდა: „მე მათ რიცხეს ვეკუთინი, კისაუ მოსწონს ძველების გმით სიარელი, მაგრამ ყოველთვის როდი მისდევს სხვათა ნაკვალევს. ვისურებდი, იმ გმით სელას, რომელიც მე თვითონ მომწონს და ზოგჯერ იმ მორეულ გმიბშე გასვლას, სადაც ჯერ არავის დაუდგამს უეხი“ (32, 108). – წერს ურანჩესეს ჟეგრარქა.

ახლა კი ვნახოთ, როგორ წარმოიშვა ტერმინი „აღორძინება“ და როგორ გამოცხადდა ერთი დიდი ფლორენციელი მხატვარი ძველების ნაკვალევის აღმდეგნად, სინამდვილეში კი იქცა ახალი ერის დამწყებად უერწერაში:

1550 წელს ჯორჯო ვაჩარიმ თავის „გამოჩენილ უერწერთა, მოქანდაკეთა და არქიტექტორთა ცხოვრებაში“ პირველმა იხმარა სიგყვა *rinaszcita* იმგვარ კონტექსტში, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ცნებას „აღორძინება“<sup>1</sup>: ვაჩარიმ ჯოგო დი ბონდონეს მესახებ

<sup>1</sup> ტერმინი „აღორძინება“ (იტალიურად *Rinascimento*) კულტურის და, კუნძულობრივით, კიუდ მიშექა და იაკობ ბურკარდის წარმობით, მიხო ურანგელი მესაგვეისის, Renaissance-ის სახელით გახდა ცნობილი და პეტერარედ.

აღნიშნა, რომ მან უერწერაში ააღორძინა ხაგვის ანგიერი მანერა. ვამარიმდე ორი საუკუნით ადრე კი, ჯოვანი ბოკაჩო „დეკამერონში” იმავე ჯოგოს მესახებ წერდა, რომ მან სინათლეს დაუბრუნა (ritorna in luce) უერწერის ხელოვნება (დღე VI, ნოველა VI). თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეობაში კი ასეა მეფასებული ტრეჩინგოს (ანუ XIV საუკუნის) ამ ფლორენციული მხატვრის მემოქმედება: რენესანსს იგაღიერ მხატვრობაში იწყებს ჯოგო დი ბონდონე.

მეცნიერები დღემდე კამათობენ, დანგე ახალი ეპოქის პიონერია თუ ძველის დამასრულებელი; მეტიც, თავად რენესანსის ეპოქის მესახებაც ამრთა სხვადასხვაობაა: ბოგნი მას მუსასაუკუნეობრივი კულტურის განვითარების უმაღლეს ეტაპად მიიჩნევენ, სხვები კი – ახალი ერის საწყისად. პეტრარქას კი მენიშნული აქვს, რომ ორი ეპოქის მიჯნაშე დგას და ერთდროულად გაპყერებს წარსულსა და მომავალს (30, 130). ვფიქრობთ, ამგვარი „გაორებული” მეფასება იმითაა გამოწვეული, რომ, რენესანსი, როგორც კულტურის დიალოგერი გიპი, ღიაა განსხვავებულ კულტურათათვის. თემპა, ამასთანავე, საკუთარი – ინდივიდუალური ანუ განუმეორებელი სახისა და მსოფლხედვის ხანაა.

რენესანსი, უპირვეველეს ყოვლისა, დიალოგერი კულტურაა, იყი არც მხოლოდ ანგიერის აღდგენაა და მუსასაუკუნეობრივის უარყოფა, არც მათი ეკლექტიკური ნაჩავი. „რენესანსი კულტურათა ურთიერთობის კულტურაა” (10, 148). ამრიგად, აღორძინების კიდევ ერთ არსებით ნიშნად მეგიოძლია, კულტურათა დიალოგი მივიჩნიოთ, ხოლო მის გამომხატველ საუკეთესო ნიმუშად რაჭაელ დე სანგის „ათენის სკოლა” დავასახელოთ – „დანგეს მიერ მთავონებული უერწერული ტილო, რომელშიც საუკუნის სული, სინთეზი და ღვთაებრიობაა გამოხატული” (14, 499).

გარდა ზემოაღნიშნულისა, გვსურს რენესანსის კიდევ ერთ სპეციფიკურ თვისებაზე მიეკუთითოთ:

როგორც ცნობილია, მუასაუკუნეების ესთეტიკისთვის ძირითად კატეგორიად ამაღლებულის კატეგორია გვევლინება, აღორძინების ესთეტიკისთვის კი – მშენიერის კატეგორია. მენიშნულია, რომ „ვეფხისგყაოსანში განხორციელდა ამაღლებულისა და მშენიერის ესთეტიკურ კატეგორიათა შერწყმა“ (7, 117). „ვეფხისგყაოსანის“ მესახებ გამოთქმული ეს თვალსაზრისი მეგვიძლია მთელ რენესანსშე გავაკრისელოთ და რენესანსული ესთეტიკის სპეციფიკურ მიერჩინოთ.

ამაღლებულის როგორც ესთეტიკური უენომენის კლასიფიკ განმარტებას გვაძლევს კანგი. იგი აღნიშნავს, რომ „ამაღლებულის მემთხვევამი საქმე გვაქვს საგანთან, რომელიც ჩვენი გრძნობად-უიმიტერი არსებობის განსაზღვრულობა-სასრულობას დაგვანახვებს“ (15, 289). ამ განსაზღვრულობა-სასრულობის დანახვა კი კონტაქტიურ დონეზე ამგვარად იკითხება: „რამდენადაც გრძნობად-უიმიტერი უნარის გარდა, გონების ზეგრძნობადი უნარიც გაგვაჩინია, ჩვენი გრძნობად-უიმიტერი განსაზღვრულობის განცდა ჩვენში ზეგრძნობადი უნარის განცდა, ანუ ჩვენი სასრული არსებობის გადალახვის, მასზე ამაღლებისა და უსასრულობასთან ზიარების განცდას აღძრავს“ (15, 289). ეს კი მეგვიძლია მუასაუკუნეების სპეციფიკურ მიერჩინოთ.

ამა თუ იმ ეპოქის ესთეტიკის თავისებურება სწორედ იმაში კლინდება, თუ რა გმით ცდილობს იგი ჩვენი სასრული არსებობის გადალახვის, მასზე ამაღლების მიღწევას. მუასაუკუნეების ესთეტიკისგან განსხვავებით, რომელიც უსასრულობასთან ზიარებას მხოლოდ ჩვენი გრძნობად-უიმიტერი განსაზღვრულობის გასწობიერებით მიიჩნევდა მესაძლებლად, რენესანსულ ესთეტიკას ადამიანის სასრულობაზე ამაღლების გმად და საშუალებად მიაჩნდა

ადამიანისავე ის სულიერი თუ ფიზიკური მშვენიერება და კეთილმობილება, რასაც ადამიანის იდეალის სახით გეთაევაბობს და რასაც აღორძინების ეპოქაში უბრალოდ „ადამიანური“ ანუ ჰუმანისტური ერქვა, დღეს კი „იდეალურს“ ეკრიდებთ.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რენესანსულ ესთეგიამი მშვენიერების პორიტონგალურ ხაზს ერწყმის ამაღლებულის ვერტიკალური ხაზი და მათი გადაკვეთისას ერთიანდება წარმავალ-წარუევალის, რეალურ-იდეალურის, მიწიერ-ზეციურის ანგინომია. ეს კი განაპირობებს ადამიანის იმ სპეციფიკური იდეალის შექმნას, რომელსაც ჰუმანისტურს ეკრიდებთ.

ახლა, რაც შეეხება აღორძინების როგორუ ტერმინის ქრონოლოგიურ და ვეროგრაფიულ სამღერებს. ამ საკითხში აჩრთა დიდი სხვადასხვაობაა: ვიწრო გაგებით რენესანსად მხოლოდ XIV-XVI საუკუნეების იგალიურ ეულგურას მიიჩნევენ, ზოგჯერ კი რენესანსს პუმანიშმის იდენტურად თვლიან და ამ ორ ცნებას სინონიმურ მნიშვნელობას ანიჭებენ; ფართო გაგებით რენესანსში ეულგურის დაწინაურება იგულისხმება საზოგადოდ ყეველა ქეყყანაში. ამ მნიშვნელობით შესაძლოა ვილაპარაკოთ დასაცლურ რენესანსბე, აღმოსავლურ რენესანსბე, მუსლიმანურ რენესანსბე, ბიბანგიურ რენესანსბე, ჩინურ რენესანსბე და ა.შ. თუმცა ასეთ შემთხვევამი „აღორძინება“ ვერ იქნება ერთი კონკრეტული ეპოქის სახელდება, რომელსაც საკუთარი ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობრივი სისტემა გააჩნია (სხვადასხვა ქეყყანაში სრულიად განსხვავებულ ეპოქებმია შესაძლებელი ეულგურის დაწინაურება), არამედ ეულგურ მოძრაობად წარმოვადგება და ნაკლებად გეექნება შესაძლებლობა ვისაუბროთ იმ სპეციფიკურ ნიშნებზე, რაც უნდა გააჩნდეს ერთი ცნების ქვეშ გაერთიანებულ მოვლენებს.

მკელევართა ნაწილმა, მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენები არ ეთანხმებოდნენ გერმინს „აღმოსავლური რენესანსი”, მაინც შემოიგანა და მეტ-ნაკლებად დაამკვიდრა კიდევ იგი. 6. კონრადი მეცნიერთა იმ რიცხვს მიუკეთენება, ვინც ამ ტერმინზე დაყრდნობით მთელი თეორია შექმნა. მისთვის პრინციპულად მიუხედებლია აღორძინების როგორც კულტურული მოვლენის მხოლოდ იგალითს თუ ევროპის სხვა ქვეყნების კუთვნილებად გამოცხადება. 6. კონრადმა შემოიგანა კლობალური რენესანსის თეორია და აღორძინება განმარტა როგორც „ისტორიულ-კულტურული ცხოვრების განსაკუთრებული ეგაპი ყველა იმ ხალხის ისტორიაში, ვისაც აქვს ძველი და მღიდარი მემკვიდრეობა” (16, 21). ასეთი ეტაპი კი, მეცნიერის აზრით, „დგება მამინ, როცა სხვადასხვა ხალხი ერთი და იგივე საზოგადოებრივ-ისტორიულ და კულტურულ საუკეთესო აღწევს” (16, 51). ამრიგად, 6. კონრადმა რენესანსი გამოაცხადა მსოფლიო მოელენად, უნივერსალურ პროცესად. ამას გარდა, მან ერთმანეთისგან განასხვავა თვითნაბადი და ანარეკლი რენესანსები; პირველ მათგანს მიაკუთვნა ჩინერი, ინდური, არაბული, შეააბიური და იგალიერი, ხოლო ყველა დანარჩენი (მათ მორის ქართულიც) – მეორეს.

მ. ნუცებიძის მონოგრაფიაში „რესთაველი და აღმოსავლური რენესანსი” პრინციპულად განსხვავებული პოზიციაა წარმოდგენილი: რესთაველის „ვეფხისგყაოსანი” აღმოსავლური რენესანსის მწვერვალადაა გამოცხადებული (3, 318).

მ. ნუცებიძე მიიჩნევს, რომ აღმოსავლური რენესანსი დასავლურის წინამორბედია და რომ „მისი გენეტიკური კავშირი დასავლეთთან დასტურდება მისგიციმისა და ერესების სფეროში, თუმცა ლიტერატურული კავშირები თითქმის ყოველთვის მსგავსებებით მემოიფარგლება” (3, 372). მაგრამ მიაკუთვნებს რა რესთაველს აღმოსავლურ

რენესანსს, მეცნიერი ამით არ სწავლებს მას დასავლერს. იირიქით, წარმოაჩენს „კულტისტურული მიმართებასა და პარალელურს დანგეს, პეტრიარქას, ბოკაჩოს და იგალიერი რენესანსის სხვა წარმომადგენლების მემოქმედებასთან. „აღმოსავლერობით მ. ნუცუბიძე ევროპოუნიტრიაშმს უპირისირდებოდა და ქართული რენესანსის ადრინდელობას ამტკიცებდა მედარებითი ქრონოლოგიის თვალსაზრისით” (7, 209).

მ. ნუცუბიძე თავის მონოგრაფიაში გამოიხმაურა ნ. კონრადს და არ დაეთანხმა ქართული რენესანსის ანარეულ აღორძინებად გამოიხადებაში. თუმცა ქართველმა მეცნიერმა ისიც აღნიშნა, რაც მისთვის მისაღები იყო: „ემთავრესი, რასაც ნ. კონრადი გვთავაზობს ის არის, რომ მან აღმოსავლერი რენესანსი საფუძვლად დაუდო მსოფლიო რენესანსს მისი რეგიონალერი რენესანსებით, რომლებსაც თვითმყოფადი წყაროები აქვთ და რომლებიც ერთმანეთითან მსოფლიო რენესანსის კანონმიერებით არიან დაკავშირებული” (3, 447).

მ. ნუცუბიძის შეჯასებით, „ქართულ რენესანსს განვითარების კანონმიერების თვალსაზრისით მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც აქ ეს კანონმიერება ყველაზე უფრო ტიპური და დასრულებული სახით გამოვლინდება. – ლიტერატურისა და ეულტურის შესახებ იმინექტური და თანმიმდევრული მეცნიერების თვალსაზრისით სრულიად მეუძღვებულია მსოფლიო რენესანსის შესწავლა ქართული რენესანსის შესწავლის გარემო” (3, 372-373).

მ. ნუცუბიძის მოსამრება მიუღებელია პ. დეეტერსისათვის და იგი აცხადებს, რომ ვერ დაეთანხმება ქართველ მეცნიერს იმაში, რომ „რესტორელმი დავინახოთ ამჟარად ფილოსოფიური პოეტი, დანგეს ან გოეთეს მსგავსი, რომელიც დამოუკიდებლად მემუშავებული მსოფლიომხედველობის წარმომადგენლია და სძლევს

დასავლეთის რაციონალიზმისა და დუალიზმის" (5, 131). გ-  
 დეეტერსისათვის მიუღებელია რუსთაველის დანგეს გვერდით  
 ხსენება და ქართველთა მხრიდან ასეთ ნაბიჯს  
 წარსელისადმი მოწიწებით ხსნის: „არაქართველი, რაც უნდა  
 დიდად აფასებდეს რუსთველის ხელობას, ვერ შეძლებს მხარი  
 აუბას ავტორს (კ. ა. მ. ნეუებიძეს – თ.ხ.), რომა ის რუსთველს  
 როგორც მოაგროვნეს პირდაპირ დანგეს უყენებს გვერდით,  
 ის კი არა, უდილობს დაამტკიცოს რუსთველის ისტორიული  
 და კონცეული უპირატესობა დანგესთან შედარებით. ჩვენ  
 გვინდა ეს იმის ნიმნად მიემზიოთ, თუ რა მოწიწებითა და  
 სიყვარულით ეკიდებიან დღეს ქართველები თავისი  
 წარსელის ეროვნულ კონცეუბს" (5, 131).

რასაც კატეგორიულად (თემპა ძალშე  
 გრძილობიანი ფორმით) უარყოფს გ დეეტერსი,  
 პრინციპულად ეთანხმება ალ. ლოსევი. მისი „აღორძინების  
 ესთეტიკის“ პირველივე თავის – „აღმოსავლური  
 რენესანსის“ – არცთუ მცირე ნაწილი ეთმობა მ.  
 ნეუებიძის ნამრომების განხილვას. ალ. ლოსევის  
 მოსამრებით, „მ. ნეუებიძის გამოკვლევის ვარემე  
 (იგლისხმება „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ –  
 თ.ხ.), როგორც არ უნდა ვაფასებდეთ რენესანსს, მისი  
 შესწავლა შეუძლებელია. ამ წიგნის თავები XI-XIII  
 საუკუნეების ქართველი რენესანსის და იოანე პეტრიწის  
 მოღვაწეობის შესახებ ბრწყინვალე გამოკვლევაა, რომლის  
 იგნორირებასაც ვერ შეძლებს არა მხოლოდ ქართველი,  
 არამედ იგალიური რენესანსის ვერცერთი მკვლევარი. აქ  
 უკვე გვხვდება XIV საუკუნის იგალიური იდეები" (17, 30).  
 გარდა ამისა, ალ. ლოსევი მიმოხილავს  
 სხვა ქართველი მეცნიერების, (მ. გოგიძერიძის, კ-  
 კეკელიძის, მ. ხიდაშელის, ი. უანხხავას) ნარკვეებს და  
 ასკენის: „ქართველი აღორძინების მკვლევრებმა დაასაბუთეს,  
 რომ ქართველი მოაგროვნები იყვნენ მოთავენი

ნეოპლაგონური და არეოპაგიტული რენესანსისა ევროპაში, რომ მათ ამ თეალსაბრისით უთეოდ ეყუთვნით პრიორიტეტი, და რომ ამ მემთხვევაში მათ რამდენიმე საუკუნით გაესწრეს დასავლეთ ევროპას. ამაზე კამათი მეუძღვებელია” (17, 37).

მ. ნუცებიძის თეალსაბრისი აღ. ლოსევისთვის მისადები და ძალგე მნიშვნელოვანია, რადგან ადასტურებს მისი ნამრობის უმთავრეს და უძირითადეს თებისს, რომ „რენესანსის ესთეგიკა უპირველეს ყოვლისა არის ნეოპლაგონიზმი” (17, 611) (თუმცა მკელევარი იქნე აზუსტებს, რომ საქმე გვაქვს ჰუმანისტერ ნეოპლაგონიზმთან). აღ. ლოსევი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „აღმოსავლურ-დასავლერი რენესანსის საფუძველია გადამუშავებელი ანგიკერი ნეოპლაგონიზმი და ამ უაქტს თავიდანეე ნათელი შეაქვს რენესანსის პრობლემაგიკაში” (17, 23), თანაც იქნე დასტენს, რომ „აღმოსავლური ნეოპლაგონური საფუძვლის აღმოჩენაში მთავარი როლი შეასრულა მ. ნუცებიძემ და უაღრესად ენერგიულად და რეალური უაქტების მომარჯვებით დაასაბუთა აღმოსავლეთის გავლენა დასავლეთშე, დასავლური რენესანსის საწყის ეტაპზე” (17, 27-28).

აღ. ლოსევი ჰქონიარიგ და ნამდვილ ისტორიულ-ფილოსოფიურ გმირობად” (17, 37) მიიჩნევს ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებს საქართველოში რენესანსის ეპოქის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ ნაწესების „საერთოდ მსოფლიო რენესანსის ისტორიისთვისაც ასეთიერ მნიშვნელობა აქვს” (17, 37).

აღმოსავლური რენესანსის თეორიასთან დაკავშირებით აღ. ლოსევი წერს: „აუცილებელია განვაცხადოთ, რომ რენესანსი, როგორც ირკვევა, იყო ყველგან სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა მინაარსს აგარებდა, თუმცა ყოველთვის როდი აღემაგებოდა თავისი კელტურით შეასაუენებოდრივ და რენესანსულ იგალიას.

აქედან გამოგვაქვს დასკვნა: ამა თუ იმ ფორმით და საკუთარი სპეციუიტი - თუნდაც ძალგე ხანოებულე ღროით - დასავლერის გარდა სხვა კულტურებში არსებული რენესანსები მოვლენები აეყიდებლად უნდა გავითვალისწინოთ" (17, 17).

დასავლერი და აღმოსავლერი რენესანსების ურთიერთშიმართების მესახებ აგრეთვე საინტერესო და მნიშვნელოვანია ი. ნ. გოლენიშჩევ-კუტემოვის თვალსაზრისის. მეცნიერი შართებულად მენიმნავს, რომ „ქართველი ლიტერატურათმცოდნების და უილოსოფიის ისტორიის სემინარის ნაშრომების ძირითადი გენდენცია, წარმოაჩინონ დასავლეთ ევროპული და კავკასიური კულტურული მოვლენები როგორც ქრისტიანული ცივილიზაციის ერთნაირი კომპლექსი, რომელსაც ერთი წყარო კვებავდა, უპირველეს ყოელისა, ბიბანგიერი" (13, 510).

ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში აჩრთა სხვადასხვაობაა არა მხოლოდ იმ საკითხის ირგვლივ, მეობლება თუ არა, რენესანსი ეწარდოს იგალის გარდა დანარჩენი დასავლეთის ქვეყნების XIV-XVI საუკუნეების კულტურას, არამედ იმასთან დაკავშირებითაც, არის თუ არა აღორძინება შეა საუკუნეებისაგან პრინციპულად და თვისობრივად განსხვავებული ახალი ეპოქა. ეს ამრი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გამოთქვა კ. ბურდაშმა: „რენესანსი შეა საუკუნეების შინაგანი მოძრაობის მედევნია" (21, 595). თუმცა მოგვიანებით სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა: „პუმანიზმი და რენესანსი იმის გამო კი არ წარმოაშვა, რომ სწავლულებმა ანგიკერი ლიტერატურის დაკარგული თუ მიეიწყებული ძეგლები აღმოაჩინეს და მეეტადნენ მათ „გაცოცხლებას". მათი წარმომობა განაპირობა მობერებული ეპოქის მოლოდინმა და სწრაფვაშ განახლებისადმი" (20, 138).

1919 წ. გამოდის ი. პაიშინგას „მუა საუკუნეების შემოდგომა”, რომელიც ისეთივე გადაგრინიალებას ახდენს, როგორც ი. ბერქპარდგის „აღორძინების კულტურა იგალიამი” (1860 წ.) – ესაა გადაგრინიალება არა მხოლოდ სეუციალისტთა ვიწრო წრეში, არამედ უარის სამოგადოებაში, მკითხველთა ცნობიერებაში. ეს ორივე ნამრიმი დღესაც არ ჯარგავს აქტუალობას და პოპულარობას და კულტურული ჩინდება ამ ავგორთა კონცეული იყებმა ამომზრდილი თუ მათი გავლენით მექმნილი გამოკეყლევები და თეორიები.

„მუა საუკუნეების შემოდგომის” წინასიტყვაობა შემდეგი სიტყვებით იწყება: „ახლის წარმომობა – ჩვენ ხომ წარსულმი მუდამ ამას კეძებთ ყველაზე მეტად! ისგორიაში, ისევე როგორც ბუნებაში, კედომა და დაბადება მუდამ ერთმანეთს მოსდევს. კულტურის ძევლი უორმები სწორედ იმ დროს და იმ ნიადაგშე კულება, სადაც ახალი პოელობს საკვებს ამომზრდისათვის” (19, 5). ამ სიტყვების წაეითხვისას იქნება მთაბეჭდილება, რომ ეს წიგნიც ამიტომ დაიწერა – დროთა მიჯნაზე, ეპოქათა გასაყარჩე ძევლისა და ახლის ურთიერთმიმართების წარმოსაჩენად. მაგრამ იქვე, მომდევნო აბგაცის პირველივე წინადადებაში ამ თემისის უარმყოფელი მეორე თემისია, რომელიც ავგორთი თავად განმარტავს ნამრომის მექმნის მიზანს: „ეს იქნება ჩვენი მცდელობა, დავინახოთ XIV-XV საუკუნეები არა რენესანსის დასაწყისი, არამედ მუასაუკუნეების დასასრული; მცდელობა მუასაუკუნეების კულტურის დანახვისა მისი სიცოცხლის უკანასკნელ უაბაში” (19, 5). ამავე აზრს იმეორებს ი. პაიშინგა თავის უკანასკნელ წიგნში „ჩემი გზა ისტორიისაკენ”: „გვიანდელი მუა საუკუნეები მომავლის გაცხადება კი არ იყო, არამედ კედომა იმისა, რაც სამუდამოდ ბარდებოდა წარსულს” (24, 46).

მაგრამ ერთია ავგორის სურვილი, მცდელობა და მეორე – შედეგი. „მუა საუკუნეების შემოდგომა” როგორც

დასრულებული გექსტი სწორედ იმ შეორე თეზისს უარყოფს, რომლის დასადასტურებლადაც, ავტორის თქმით, შეიქმნა ეს ნაშრომი და, ფაქტობრივად, პირველ თეზისს უფერხბა, მის გაშლას წარმოადგენს, ანუ გვიჩვენებს ახლის დაბადებას ძველის კულტომის ფონზე.

ა. პაიმინდასგან განსხვავებით, სხვა შეცნიერები XIV-XVI საუკუნეებს აღორძინების, ეპოქას მიაქცეონებენ და არა შეასაუკუნეებისას. მათი დიდი ნაწილი (ა. ვესელოვსკი, მ. კორელინი, ი. გოლენიმჩევ-ჯარულევი, ე. ჯაირერი, ე. ეილსონი, ბ. ნარდი, ე. გარინი, ე. ერისტამი, რ. ხლადოვსკი და სხვ.) მიიჩნევს, რომ რენესანსი უნდა ეწოდოს მხოლოდ იმ გიპის აზროვნებას და კულტურას, რომელსაც აღგილი პქონდა XIV-XVI საუკუნეების ეკროპაში. თემცა ეს სრულებითაც არ ნიმნავს იმას, რომ იგადიურ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, ურანგულ რენესანსსჩე საუბრისას მხოლოდ მსგავსებებია წარმოსაჩინი. უმთავრესი ისაა, რომ მიუხედავად განსხვავებებისა, რაც, ბენებრივია, ახასიათებს ეკროპის ამა თუ იმ ქვეყნის რენესანსს, სწორედ ამ განსხვავებებში აისახება ის საერთო იდეოლოგიური თუ მსოფლმხედველობრივი საფუძველი, რაც ქრისტიანული აზროვნების განვითარების გარეკვეულმა ეგაპმა მოიგანა ეკროპის ქვეყნებში. ასეთ საფუძვლად პ. კრისტელერი, მაგალითად, ასახელებს „სამ დიდ ინგელექტუალურ მოძრაობას: ჟუმანიზმს, ჟლატონიზმს, არისტოტელიზმს“ (26, 169). ალ. ლოსევის აზრით კი, „აღორძინების ესთეტიკა უფერხბა ჟლატონიზმა და ნეოპლატონიზმს, რომელიც განსხვავდება ანტიკური კოსმოლოგიური და მეასაუკუნეობრივი თეოლოგიური ნეოპლატონიზმისაგან თავისი ჟუმანისტური და საერთ ხასიათით, ანუ აღორძინების ესთეტიკა არის ჟუმანისტური ნეოპლატონიზმი“ (17, 22).

ამრიგად, დასკენის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერმინით „რენესანსი” აღინიშნება XIV-XVI საუკუნეების კულტურული პროცესი ევროპის ქვეყნებში, ხოლო „პროგორენესანსით” – XIII საუკუნისა.

„ქუმანიზმი” როგორც ტერმინმა, „რენესანსის” ბედი გაიზიარა, ანუ იმდენად გაფართოვდა მისი თავდაპირები მნიშვნელობა, რომ მეცნიერებს უჭირთ საერთო პოზიციის ჩამოყალიბება მისი როგორც სპეციფიკური ტერმინის მიმართ.

XIV-XV საუკუნეების ქუმანისტებმა არაუკრი იქოდნენ „ქუმანიზმის” შესახებ, რომელიც როგორც სამეცნიერო ტერმინი 1802 წ. მემორილ მიღერისა და ქეგელის მეცნიერმა, პროფ. ფ. ნითეპამერმა. აქედან მოყოლებული არ მეწყვეგილა კამათი ამ ტერმინის ირგვლივ, მეცნიერები მასში განსხვავებულ მნიშვნელობებს დებენ:

„ქუმანიზმი უართო მოძრაობაა, – აქხადებს დ. კანგიმორი, – რომელსაც შევვიძლია თვალი მივადევნოთ ქუმანისტთა თხზულებების მემვეობით, აღორძინება კი ეპოქის აბსტრაქტული განსაზღვრებაა. თუ კარგად დაეცემორდებით, დავრწმუნდებით, რომ ამ ორი ტერმინის გვერდიგვერდ მოხსენიებაც კი არასწორია” (22, 397).

ე. გარინს ქუმანიზმი ესმის როგორც „ახალი მსოფლმხედველობა, რომლის შედეგადაც შეისვალა კულტურა და რომელიც იქან უმნიშვნელოვანეს ეტაპად არა მხოლოდ ფილოსოფიის, არამედ საერთოდ ამროვნების ისტორიაში” (25, 38).

6. რევიაჟინას ამრით, „აღორძინების ეპოქის იგაღიერი ქუმანიზმი სამყაროს ხედვის გარეუელი სისტემაა” (18, 5).

აღ. ლოსევს მიაჩნია, რომ „ქუმანიზმი არის გონიერი მოძრაობა, ოღონდ არა ფილოსოფიურ-თეორიული, არამედ პრაქტიკულ-ქუმანიგარული. ... ქუმანიზმი

გვესმის, როგორც პროგრესულ შეხედულებათა პრაქტიკული სისტემა მორალის, პოლიტიკის, პედაგოგიკის სფეროში” (17, 611).

რაյი ყოველ ეპოქას გააჩნია საკუთარი მსოფლმხედველობითი სისტემა, რომლის მემკვიდრეობაც ახალ ეტაპს ქმნის ფილოსოფიის ისტორიაში, რა თქმა უნდა, ამ მხრივ არც აღორძინების ეპოქაა გამონაკლისი. ჩვენი აზრით, პუმანიშმი რენესანსის ფილოსოფიაა, ის საკუთარი და სპეციულურია, რაც ამ ეპოქამ მექმნა თავად. იგი არ არის მიბაძვა და ვადამუშავება სხვა ფილოსოფიური სისტემებისა, თუმცა ამ სისტემებს მიმართავს როგორც წყაროებს (მაგალითად, პლატონიზმს, ნეოპლატონიზმს) და, ბუნებრივია, ნაწილობრივ ითვისებს, ნაწილობრივ კი ეარყოფს მათ. პუმანიშმი რენესანსული ფენომენია, ის მსოფლმხედველობითი სისტემაა, რომელზეც აგებული და დაფუძნებულია აღორძინების ესთეტიკა მთლიანად. პუმანიშმის არსეს ყველაზე ნათლად და ზუსტად ეს სიტყვა თავადვე წარმოაჩენს: „*huiusmodi*“ ლათინურად „*a modis*“ ნიმუშს<sup>1</sup>. დიახ, პუმანიშმის როგორც ფილოსოფიური სისტემის ანი და პოე ადამიანია და ყველაფერი ადამიანური. მაგრამ ნებისმიერ ეპოქამი ყოველი კულტურის საერთო ნიმანი ხომ სწორედ ესაა – ადამიანის მნიშვნელობისა და ადგილის გარევევა სამყაროში, მისი არსისა და დანიმუშელების ამოცნობა. ყოველი ეპოქა ქმნის ადამიანის საკუთარ იდეალს, ეს იდეალი შემდგომში იქცევა ეპოქის სახედ და ყველაზე ნათლად აკლებს მის სპეციულიას.

მამ, როგორია აღორძინების ეპოქის სახე, მისი სპეციული ამსახუელი ადამიანის იდეალი? ამჯერად უნდა

<sup>1</sup> ეს შედხართავი სახელი ნაწარმოებია ლათინური სიტყვების სისტემისა (ადამიანი), თავად სისტემისა (მოდენისტური), სიტყვებისა (სიტუაცია) და ესთეტიკისა (ტერმინი). რომელიც დაეკის მხრივ, ბერძნული წარმომობისაა: *etiam non minus quod est in his*.

გავიხსენოთ პუმანიზმის არა როგორც სიგვვის ეტიმოლოგია, არამედ როგორც ცნების წარმომოძაა: ფ. ნითპამერის მიერ შემოგანილი სამეცნიერო ტერმინი „პუმანიზმი“ მომდინარეობს ლათინური ფორმიდან „studia humanitatis“, რომელიც შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „პუმანისტური მეცნიერებები“ ან „პუმანისტური დისკიპლინები“. თავად ქუმანისტებმა ეს ტერმინი ციცერონიდან აიღეს და თავისებურად გადაიამრეს: ლეონარდო ბრუნი „studia humanitatis“-ს განსაზღვრავდა როგორც „იმ საკანთა შემეცნებას, რომლებიც ეხება ცხოვრებას, ჩვეულებებს და რომლებიც სრულყოფენ და ამჟობენ ადამიანს“ (9, 42). კოლეგიო სალეგატი კი მიუთითებდა, რომ „პუმანისტური მეცნიერებები აერთიანებდა კეთილმობილებასა და სწავლულობას“ (36, 42) და დასძენდა, რომ „არაფერია იმაზე საპატივეცმელო და მმენიერი, არაფერია უფრო სასიქადულო, ვიდრე ამ სწავლულობის საშუალებით ერთი საფეხურით ამაღლება სხვებსა და, რაც მთავარია, საკუთარ თავშე“ (36, 52).

როგორც ეხედავთ, „პუმანისტური დისკიპლინები“ თავიდანვე იმ მიზნით იქნა მოხმობილი, რომ ადამიანს მათი საშუალებით მოხედინა თვითსრულყოფა, ანუ სასურველის რეალობად ქსევა – დასახული იდეალის საკუთარ პიროვნებაში განხორციელება.

ეოქა სახავს იდეალს და ისწრაფვის მისი რეალიზაციისაკენ. აწმყო გააგრძელება მოსამზადებელ ეტაპად უკეთესისაკენ – იმ მომავალი დროისაკენ, როცა ეს იდეალი განხორციელდება (ანუ ორიენტირი აღებულია მომავალზე), ან აწმყო დანახულია როგორც ჭემბარიგ ღირებულებათა და ფასეულობათაგან დაცლილი ღრო და მთელი ძალისხმევა მიმართულია იმ იდეალის აღდგენისაკენ, რომელიც წარსულის სახით იყო ხორცმესხმული და აწმყოში დაიკარგა (ანუ ორიენტირი აღებულია წარსულზე). მაგრამ

იყო ეპოქა – და სწორედ ესაა მისი უნიკალურობის განმსაზღვრული – რომელმაც, როგორიც ყველა სხვა ეპოქამ, დასახა იდეალი, მაგრამ განსხვავებით ყველა სხვა ეპოქისაგან, მისი რეალიზაცია აწმყოში, კონკრეტულ დროსა და სივრცეში მოინდომა (ანუ ორიენტირი აწმყობე გადმოიგანა) და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ნაწილობრივ შეძლო კიდევ. და თუ ეს სხვა ეპოქათა შესახებ ვამბობთ, რომ „ეპოქა არასოდეს შეეფერება თავის იდეალებს, სამაგიუროდ იდეალი ყოველთვის შეეფერება თავის ეპოქას“ (10, 157), მეგვიძლია ისიც დაეძინოთ, რომ ეს სიგვვები ნაკლებად შეეფერება აღორძინების ეპოქას – რენესანსულმა კულტურამ შეძლო ეპოქის მიერ დასახული იდეალის ხორციელებამა. ეს არის შემთხვევა, როცა ეპოქა მაქსიმალურად პასუხობს და უახლოვდება თავის იდეალებს. უძებენ იმას, რასაც ელიან – ეს ეპოქა კი არა მხოლოდ ეძებდა და ელოდა გიგანებს, არამედ შექმნა კიდევ ტიგანები. ეს ტიგანები კი იყენებ აღამიანები, რომელთაც საკუთარი მაგალითით – საკუთარი ცხოვრებითა და შემოქმედებით – მოახდინეს თავიანთ იდეალთა ხორციელებამა, იქნენ սიმი universale-დ ანუ უნივერსალურ აღამიანად. მაგრამ აქ ერთი უმნიშვნელოვანები ფაქტორის აღნიშვნა არ უნდა დაგვავიწყდეს: ეს არ ყოფილა ეპოქა, რომელიც ილუსიებით საბრძოობდა; სწორედ ამიტომაც სახელდება რენესანსის სპეციუიკად „ტიგანიზმთან“ ერთად აფიგანიზმის საპირისპირო მხარე”.

ამრიგად, აღორძინების ეპოქის აღამიანის პემანისტერ იდეალში უმთავრესია ორი ასპექტი: ორიენტირის აწმყობე გადმოგანა და აღამიანის მიერ საკუთარი თავის თვითსრულყოფის იდეა, რომელთა მემვეობითაც იხსნება მიწიერ-ზეციურის, რეალურ-იდეალურის ანგილომია.

ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ აღამიანის იდეალი „ვეფხისგყაოსანსა“ და პროტორენესანსის და რენესანსის

გიქოლოგიური მიმართების სამუალებას გვაძლევს, არამედ ეპირეველებს ყოვლისა იმან, რომ რენესანსელ ესთეტიკაში აღამიანის პემანისტერ იდეალზე დაუკემნებით გაფორმდა სიყვარულის ახალი ეონურეულია. სიყვარული დანახულ იქნა როგორც ადამიანის ზნეობრივი და ესთეტიკური ფერისცვალების მთავარი პირობა და სამუალება, ამიტომაც იქცა იგი ამ მოაზროვნეთა შემოქმედების ქვაეკუთხედად. ადამიანის ჰუმანისტერი იდეალი ნათლადაა ჩამოყალიბებული ჯოვანი პიერ დელა მირანდოლას სიგყვებმი: „მხოლოდ ის იმარჯვებს, ვინც იბრძვის! ადამიანი ბედნიერია! გამარჯვება მის ნებაზეა დამოკიდებული. უსაბლოროა ბედნიერება ადამიანისა, რომელსაც ბოძებული აქვს ყველაფერი, რაც სურს და ძალებს იქცეს იმად, რადაც მოისურვებს ყოფნას“ (35, 89-90). სწორედ სიყვარულია ის ძალა, რომელიც ადამიანში ბადებს სურეილს, თვითსრულყოს საკუთარი თავი. ამიტომ, „ყველა ენდა დაუკეირდეს, როგორად შექმნა იგი ბუნებამ და დაუიქრდეს, როგორად შექმნა, რად აქცია მან ამის შემდეგ საკუთარი თავი“ (31, 9), – აქადებს პეტრარქა. რაյი ადამიანში მოცემელია პოტენცია იმ იდეალის განხორციელებისა, რაც მასში როგორც დეთის სახესა და ხაგებამია ჩადებული, ადამიანს ძალებს თვითონ თავიდან შექმნას საკუთარი თავი, ანუ იქცეს არა მხოლოდ შემოქმედად<sup>1</sup>, არამედ საკუთარი თავის შემოქმედად. ვინც ამას შეძლებს, გახდება სიოთი universale. ადამიანის დანიმუშებებას პიერ დელა მირანდოლა სწორედ ამაში ხედავს: „იმ პირობით ვიძადებით, რომ ეიქცეთ იმად, რადაც

<sup>1</sup> რის შესახვებაც აღნიშნული აქვს ალ. ლოსევის: „რენესანსელი ანთოროპოლიტიკი გამოირჩევა არგისტული ხასიათით. რენესანსელი ადამიანი თავის თავს უპირველესად მოაშრებს შემოქმედად და ხელოვანად, იმ აბსოლუტური პიროვნების შეგაესად, რომლის ქმნილებადაც თავის თავს აუნიშიერებს“ (17, 94), ამით კი, „ადამიანური პიროვნება თავის თავშე იღებს დეთაქმერი უკნესობას“ (17, 75).

კისურვებთ ყოფნას" (35, 104). სიცო սიუნივერსიტეტის ადამიანს ნიმნავს, ეჭრო სწორად თვითსრულყოფილს (და არა იდეალურს), ადამიანს, რომელმაც შეძლო ყველა თავის საუკეთესო მხარეთა გამოვლენა, საუკეთესო თვისებათა რეალიზება.

თუკი ადამიანში ეთიკურ, ინტელექტუალურ, ესთეტიკურ ღირსებებით შემჯერ პიროვნებად ჩამოყალიბების სურვილს სიყვარულის გრძნობა ბადებს, მისი მიღწევის სამუალებად კეთილმობილება (gentilezza) ითვლება. სიყვარული და კეთილმობილება უკე Dolce stil puro-ს („ახალი საამური სტილის“) მითოლოგიაში მჟიდობდ უკავშირდება ერთმანეთს: აქ ამურის დედად წარმოდგენილია არა სიყვარულის ქალღმერთი ვენერა, არამედ კეთილმობილება (Gentilezza). „კეთილმობილება“ რენესანსული ესთეტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ტერმინია და მას აღორძინების ეპოქაში შეასაუკუნეობრივისაგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება; იგია იმ ფასეულობის აღმნიშვნელი უნდა, რომელმაც საძირკეელი გამოაცალა ყველაუერ იმას, რასაც ეწოდებოდა „პატრიარქალური“ და რაზეც დაფუძნებული იყო შეასაუკუნეების ღირებულებათა მთელი სისტემა; იგია ის ახალი ფასეულობა, რომელსაც დღესაც უყრდნობა თანამედროვე ცივილიზაცია. თუ აღორძინების წინარე ეპოქებში (და განსაუტრებით, შეასაუკუნეებში) კეთილმობილება გულისხმობდა კეთილმობილურ წარმომაველობას, ანუ დიდგვაროვნებას, რენესანსის ეპოქაში იგი აღნიშნავს არა გვარიშვილობას, გვარის სიძველესა და წინაპართაგან ნამემკვიდრევ სიმდიდრეს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის პიროვნულ, ინდივიდუალურ თვისებებს, ადამიანის უნარს, მშვენიერების აღმისა, სიბრძნის სიყვარულს, მოქლედ, მის ინტელექტუალურ და სულიერ კეთილმობილებას. სწორედ ეს აქვს მხედველობაში დანგეს,

როცა აქხადებს: „ღვთაებრივი სიბრძნის ყველა გამოვლინებას შორის ადამიანი უდიდესი საოცრებაა” („ნადიმი”, III, VIII, I); „ვბედავ, ვამტკიცო, რომ ადამიანური კეთილშობილება აღემატება ანგელომეტრს და მასზე უფრო ღვთაებრივია” („ნადიმი”, IV, XIX, 6). პეტრარქა კი წერს: „ბევრად უშრო საპატიოა, დაიწყო კეთილშობილი გვარი, ვიდრე გააგრძელო იგი. ადამიანის ღირსებას არაუერო აქლდება დაბალი წარმოშობის გამო, რადგან ღირსება საკუთარი ცხოვრებით მოიპოვება. თუკი სიქველეა ჭემმარიტი კეთილშობილება, ვერავის ვერაფერი შეუმღის ხელს, იქცეს კეთილშობილად” (31, 125).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ პროგორენესანის ხანაში, მარია მაძპანელის კარტე, საღაც მოღვაწეობდა არა მხოლოდ კრეტიკინ და ტრეა, არამედ ანდრეა კაპელანოც, ეს უკანასხნელი წერს ტრაქტატს *De Amore* („სიყვარულის შესახებ”), რომელსაც ლიტერატურის ისტორიოსები „გრძნობათა რევოლუციას” უწოდებენ, რადგან მასში ნამდვილ სიყვარულად მხოლოდ ის სიყვარულია გამოცხადებული, რომელიც კეთილშობილები სულის პიროვნებაში დაივანებს და ხამგასმულია, რომ კეთილშობილება მემკეიღრობით გარდამავალი დიდგვაროვანთა სოციალური კატეგორიის აღმნიშვნელი ნიშანი კი არ არის, არამედ მორალური ფასეულობა, რომელიც ნებისმიერი სოციალური უნის წარმომადგენელს შეიძლება გააჩნდეს, ანუ იყო განმარტებულია როგორც სულიერი კეთილშობილება.

ადამიანებს ყველა დროში უყვართ, მაგრამ ყოველი კონკრეტული გარემო სასიყვარულო ურთიერთობებს გარევეულ ფორმას ანიჭებს: როგორი ცნებები და წარმოდგენები გამოსახავს ამ ურთიერთობებს, როგორია სოციალური ინსტიტუტები, როგორი ნიშნები და სიმბოლოები გამოიყენება სასიყვარულო გრძნობათა და სურვილთა

უიქსაციისათვის. მხოლოდ ყველა ამ წესისა და ჩეკეულების ერთობლიობის შემდეგ იქცევა სიყვარული კულტურულისტორიულ რეალობად, რომელიც თავის ასახვას ხელოვნებაში პერვებს და ყველაზე საუკეთესო სახით ღირიკაში წარმოჩინდება. სწორედ პროვანსელი ტრუბადურების და იგაღიურ „ახალი საამური სკილის“ ლირიკაში ისახება სიყვარულის ახლებური გააჩრება.

პროვანსელი პოეზიის სიყვარულის კონცეფციის ცენტრში დგას ამური, სიყვარულის ღმერთი, როგორც გრძნობათა სათავე, ადამიანის მბრძანებელი და მუარეელი; იგია სილამაბის, კეთილმობილების, სიმამაცის წყარო. სიყვარულის მიზემით მიჯნური გმირად იქცევა: თავისი საგრუოს ბრძანებით მრავალ საგმირო საქმეს ჩადის და მხოლოდ სიკეთეს ემსახურება. სიყვარულის ამგვარ გაგებას შემოაქვს ახლებური დამოკიდებულება ქალისადმი: ქალი ამიერიდან ცოდვისა და ბოროტების სათავე კი აღარაა, არამედ ამურის მიერ ჩანერგილი ამაღლებული, გამაკეთილმობილებელი გრძნობების წყაროა. ქალი მხოლოდ ამურის მორჩილი კი არა, მისი მოქავმირეუა მამაკაცის წინააღმდეგ: ამური ქალს მამაკაცის მბრძანებლად აქცევს, რადგან ეს უკანასკნელი ქალმი განსხვეულებულ სიყვარულის ღმერთის ჭვრეტს. ტრუბადურთა ლირიკის მიხედვით, სიყვარულის წყარო არის ამური და არა აღამიანი, ამური აღძრავს ადამიანთა გულებმი სიყვარულის გრძნობას, შეყვარებულები მისი რჩეულნი ხდებიან და მოვალენი არიან, ყველაფერში დაემორჩილონ.

პროვანსელ ლირიკაში, როგორც რაინდელ კულტურაშე ამობრდილ პოეზიაში, ბენებრივია, რაინდელი სიყვარულის კონცეფციაა წარმოდგენილი. ეს კონცეფცია კრეგიენ დე ტრუას რომანში „ლანსელოტი ანუ ერმის რაინდი“ შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

„რაინდს მხოლოდ ერთი გული აქვს და ისიც სხვის კუთხისიღებად ქვეულა სამუდამოდ. ამერიკა გულის ერთადერთი მბრძანებელია, ამერიკა გულში იღებს ბინას, მაგრამ ყველა გულში კი არა, არამედ შეოლოდ ისკომი, რომელსაც დაატყვევებს, რომელშიც ინებებს დაბრძანებას. ამერიკისთვის ყველაზე დიდი საკანტერი რაინდის გულია და ამ გულს უმაღლესი ბედნიერებით აჯილდოვებს. ამიგომაც გასაკიცხო არაა რაინდი, რომელიც უარს ამბობს ყველაფურჩე, რასაც ამერიკა ეკრძალავს და მხოლოდ იმას აკეთებს, რის ნებასაც სიყვარული როთავს” (28, გვ. 49)

ტრუბადურთა ლირიკის უორმალური თუ შინაარსობლივი გავლენის ქვემ ჩამოყალიბებული იგაღიცერი ლიტერატურული სეოლა, „ახალი საამერი სტილი”, აკრძელებს და ავითარებს ამ ლირიკას, ამასთანავე, პრინციპული სიახლე შემოაქვს: სიყვარული მოიაზრება სწრაფვად უმაღლესი სიკეთისაკენ, რომლის დამბადებული და სათავე არის ღმერთი, ანუ სიყვარული არის გრა დეთაებრივისკენ.

„ახალი საამერი სტილის” პოემიაში სიყვარული თავისუფლდება რაინდული ტრადიციისაგან, თუმცა სამაგიეროდ თეოლოგიისა და ფილოსოფიის ობიექტად იქცევა. კამათობენ სიყვარულის არსის, წარმომავლობის, მისი გამოვლენის უორმების შესახებ. ეძებენ სიყვარულის ფილოსოფიურ და თეოლოგიურ მნიშვნელობას, რომელთან შედარებითაც სიყვარულის პირდაპირი მნიშვნელობა (ე. ი. სიყვარულის ადამიანური ფორმა – ქალისა და მამაკაცის სიყვარული) მხოლოდ გარეგანი საფარი და მინიშნებაა ჭემშარიგ (დეთაებრივ) სიყვარულზე.

ამ კონცეფციის მიხედვით, სიყვარული ინდივიდის გრძნობა კი აღარაა მხოლოდ, არამედ ის პრინციპია, რომელსაც ეფუძნება როგორც მიწიერი, ასევე ზეციერი ცხოვრება.

ამრიგად, ტრუბადურთა ლირიკაც „ახალი საამური სტილის“ პოეზიაც ერთადერთი ლერძის ირგველივ ბრუნაეს, ესაა სიყვარულის არსის და ბუნების შექმნიბის, წვდომის სურვილი და მცდელობა. ეს პოეტები თავიანთ ლექსებში ერთადერთ ღმერთს ცნობენ – სიყვარულის ღმერთს – და მას ერთადერთ სახელს უწოდებენ – ამურს. ისინი ერთხელაც არ ახსენებენ არც ქრისტეს სახელს, არც სამებას. დგება საკითხი: რა არის ამური? შესაძლოა თუ არა, დაუკვეთ ქრისტიანული ღმერთის გვერდით წარმართული ღვთაების არსებობა? ეს კითხვა თავად ამ პოეზიის წარმომადგენლებსაც უჩნდებათ და კამათობენ კიდევ ერთმანეთში ამის თაობაზე. მათი პოეტური დისკუსი განაცრიო დანგემ „ახალ ცოცრებაში“ და აღნიშნა, რომ, „როცა ვამბობ, სიყვარული მომჟახლა, გამილიმა, მიმღერა, ეს არავითარ მემთხვევაში არ ნიშნავს, თითქოს მას რაიმე ფიზიკური ფორმა ჰქონდეს, თუნდაც ადამიანის სხეულის. ერთი შეხედვით, ჩემი სიტყვები თითქოს ისე წარმოადგენს სიყვარულს, როგორც არსს თავის თავში, და არა მარტო როგორც ბუნებრივ სუბსტანციას, არამედ როგორც სხეულებრივსაც. მაგრამ ეს აბრი ჰემბარიგად მცდარი აბრია, რადგან სიყვარული სუბსტანცია კი არაა, აქციდენცია სუბსტანციაში“ (1, 85), ანუ „დანგე სიყვარულს განიხილავს როგორც ადამიანური სულის თვისებას და არა ადამიანისგან დამოუკიდებელ სულიერ სუბსტანციას“ (13, 304).

აյ საქმე გვაქვს შეასაუენების ეპოქაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მოვლენასთან – პერსონიულიასთან, რაც, ფაქტობრივად, იგივე ალეგორიაა. „პერსონიულია“, როგორც თავად სიტყვა გვიჩვენებს, ნიშნავს „გაპიროვნებას“ ნებისმიერი ოვლენის, გრძნობის თუ სულიერი განცდის. მთლიანად ამ სისტემაზეა აგებული, მაგალითად, შეასაუენებსა და რენესანსის ხანაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თხზულება „ვარდის რომანი“.

სადაც პერსონაჟებად გვევლინებიან „მისალმება”, „ტუბილი მეხვედრა”, „მიში”, „მორცხვობა”, „ერთგულება” და ა.შ., რომელთაც ი. პაიბინგამ „მითოლოგები” უწოდა (19, 125). პერსონიფიკაციას სხვა ეპოქებშიც მიმართავდნენ და დღესაც მიმართავენ, თუმცა ყველაზე მეტი ინგენსივობით მას შეა საუკუნეებში მოიხმობდნენ, ეს კი იმით აიხსნება, რომ გროველ სახეთაგან იგი ყველაზე მეტად მევესაბამება ამ ეპოქის ესთეტიკას: შეა საუკუნეებში პერსონიფიკაცია ეპირეველესად იდეის როგორც რელიგიური, ფილოსოფიური თუ ეთიკური კატეგორიის მანიფესტაციაა. პერსონიფიკაციას, როგორც მეტაფორის განსაკუთრებულ სახეობას, ხშირად მიმართავდა დანგეც. პეტრარქაც, ბოკაჩიც. რესტავრელისთვის კი ეს მეთოდი უცხოა.

„ახალი საამური სტილის” პოეტიას, პროვენსული ლირიკისაგან განსხვავებით, სადაც სიყვარულის გრძნობადი მხარეა ხაზგასმული, აქსენტი სიყვარულის შინაგან ასპექტები გადააქვს და სვამს იმ ეპოქისათვის მეტად მნიშვნელოვან კითხვას: ძალებს თუ არა ყველას სიყვარული? Dolce stil sonoro-ს ერთ-ერთი უუძემდებული, გვიდო გვინისელი, პასუხობს: „არ ძალებს, რადგან სიყვარულის მიერ მომადლებულ სიკეთეს მხოლოდ კეთილმობილი გული (cuore gentile) ეზიარება” (27, 320). ამ საკითხს ეძღვნება მისი კანცონა „Al core gentil ripara sempre Amore” („სიყვარული მედამ კეთილმობილ გულში ბინადრობს”) <sup>1</sup>:

„მხოლოდ კეთილმობილი გულია სიყვარულის რჩეული.

... სიყვარულის ცეცხლი კეთილმობილ გულში ინთება.

ბუნება ერთდროულად ქმნის ორივეს:

<sup>1</sup> როგორც შენიშვნელია (I, 69), გვინისელი ამ თავისი კანცონის პლატონის ებრიანება, რომლის „ნადიმშიც“ ვერთხულით: „სიყვარული ღმიერთია და ეპითა გულებს არჩევს თავის საკანედ მატრაც განერჩევლად ყველა სულ კი არა: უხემ სულს გაურბის იყო და უაქტში იქანებს მხოლოდ“ (4, 42).

არც სიყვარულია კეთილმობილი გელის გარემე,

არც კეთილმობილი გელი – უსიყვარული" (28, 320).

რას გელისხმობს გვინიცელი „კეთილმობილში?" –

ზუსტად იმას, რასაც ანდრეა კაპელანი, მოგვიანებით კი –  
დანგე და პეტრარქა. პოეტი თავადვე იძლევა განმარტებას:

„მოგა მმბობს: კეთილმობილი ვარ წარმომობით,

მაგრამ არ დაიჯეროთ კეთილმო? რეგბის არსებობა გელის

გარეთ.

რადგან კეთილმობილება მხოლოდ სიქველისკნ მიღწეულ

გელმია" (28, 321).

როგორც ეხედავთ, „ახალი საამური სგილის"

სიყვარულის კონცეფციაში ეკვ იწყებს რღვევას

შეასაკუნეებისათვის დამახასიათებელი იერარქიულობა და

უმკაცრესი გამიჯნეა ქლასთა მორის. აქ კეთილმობილება

ადამიანური სულის საკეთებო თვისებად ცხადდება, მისი

მეშვეობით სიყვარულს ძალუს გადალახოს სოციალური

ბარიერები. წინა პლანზე მოდის ადამიანი როგორც

სულიერად კეთილმობილი პიროვნება და არა ადამიანი

როგორც ნაწილი იერარქიული წყობისა.

როგორია სიყვარულის რენესანსული კონცეფცია?

რენესანსული ესთეტიკის მიხედვით, სიყვარული ემაღლესი

სიკეთეა, რომელიც სამყაროს ამოძრავებს და ამთლიანებს;

ამკეცყნად სიყვარულის სავანე სულმია, „მეცით მონაბერი"

სულის სავანე კი – სხეულმი. ამიტომაცა ხამგასმელი

აღორძინების ეპოქაში სულისა და სხეულის მშენიერება,

აღდგენილია ის პარმონიულობა, რასაც ანგიკერობა

ეყრდნობოდა (და რაზეც ქრისტიანობამ, თავისი ესთეტიკის

სპეციფიკან გამომდინარე, სრულიად მეგნებულად და

გამიმნულად უარი განაცხადა): ჯანსაღი სული ჯანსაღ

სხეულმი. ოღონდ რენესანსს აქ უაღრესად მნიშვნელოვანი

კორექტივი მემოაქეს: სხეული არა მხოლოდ ჯანსაღი და

მშენიერია თავისთავად (როგორც ამას ანგიკერი ესთეტიკა

გახაზავდა), არამედ იგი ჯანსაღი და მშენიერია, რადგან

მშვენიერი სულის ხორციელებაა, ხოლო ორივე ერთად სიყვარულის სავანეა.

როგორც ვხედავთ, მშვენიერება მხოლოდ სხეულის (ანუ ფიზიკურ) სიღამაბეს კი არ ნიშნავდა, არამედ ერთ კონტექსტში მოიაჩრებოდა სიყვარულთან ერთად; ხოლო თავად სიყვარული – კეთილმობილ გულთან. რენესანსული ესთეტიკა სიყვარულის ასეთ კონცეფციას გვთავამოძს: სიყვარული მხოლოდ კეთილმობილ გულში (ანუ კეთილმობილური სულის პიროვნებაში) იდებს ბინას; გული ამურის საბრძანებელია; ამურის დედა კეთილმობილებაა და არა – ვენერა; კეთილმობილების წყარო სიქეულეა და არა – ღიდგვაროვნელი წარმომობა; ადამიანის სულისა და სხეულის მშვენიერების განმსაზღვრელია სიყვარული, რადგან, როგორც ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა აქადებს, „სიღამაბე არის მიზები სიყვარულისა, მაგრამ არა როგორც მისი წარმომმობი საწყისი, არამედ როგორც მისი ობიექტი“ (35, 498).

რენესანსული ესთეტიკის პიხედვით, სიყვარული კოსმოსის მამოძრავებელ ძალად, ღმერთის მიერ ადამიანის მექმნის მიზებად ესმით. ხოლო როცა ეს ძალა ადამიანის არსებას ეუფლება, ანუ ადამიანურ გრძნობად გარდაიქმნება, იგი მარადიული (დეთიური) სიყვარულის ხაგებად იქცევა კონკრეტულ ადამიანში. ასე ქმნის ერთ მთლიანობას შეასაუენების და რენესანსის ეპოქაში დეთაება – ადამიანი – კოსმოსი, ხოლო მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების გამოსავლენად ამ ორ ეპოქაში მოხმობილია მოძღვრება ვარსკელავებზე, ანუ ასტროლოგია. მასში ყველაზე ნათლად კლინდება კავმირი არა მხოლოდ მიერკოსმოსსა და მაკროკოსმოსს მორის, არამედ გრანსენდენტურსა და ემპირიულს მორისაც. ქრისტიანობამ ხომ სწორედ იმ მიზნით მოიხმო და იმგვარად განმარტა მნათობები და ვარსკელავები, რომ ისინი დეთის ნების

მაცნედ, ადამიანსა და ლეთაებას მორის მექავშირედ ექცია. სწორედ ამით აიხსნება ასტროლოგიის ასეთი ჟიშულარელობა და მნიშვნელოვანი როლი შეასაუკრნების თუ რენესანსის ეპოქებში (თუმცა მისდამი დამოკიდებულება ამ ორ ეპოქაში, რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვანი არ ყოფილა). მაგრამ ამ ასპექტთან ერთად აღორძინების ესთეტიკისთვის ასტროლოგია კიდევ ერთი გარემოების გამო გახლდათ საყურადღებო: ამ მოძღვრების დევიზი – *Astra inclinant, non necessitant* – ბედისა და ბედისწერის იმ ახალი კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად იქნა მოხმობილი, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანის ახალ იდეალზე დაყრდნობით შეიქმნა: ადამიანის ბედის განმსაზღვრელია არა ბედისწერა, არამედ თავად ადამიანი, რომელიც მოქმედებს და რომელიც იძრძვის თავისი ბედნიერებისათვის. ასეთ თვალსაზრისამდე რენესანსული ესთეტიკა მიიყვანა წინა პლანზე ადამიანის როგორც პიროვნების და ინდივიდის, ანუ ადამიანური პიროვნების განუმეორებლობის დაყენებამ. ზუსგად ასევეა დახატული „კეფხისგყაოსნის“ ჟერსონაჟები. რესთაველის პოემაში წარმოდგენილია რაინდი არა როგორც წმინდა მხედარი (სასულიერო მწერლობის მსგავსად), რაინდი არა როგორც მეყვარებული ვასალი (კურთხაზიული ლიტერატურის მსგავსად), არამედ რაინდი როგორც ადამიანი – პიროვნება – ინდივიდი, რომელიც ბრძოლითა და მოქმედებით თეითონებუ ქმნის საკუთარ ბედს. ამასთანავე, ამ ბრძოლაში პირელობს საკუთარ თავსაც (ანუ არკვეეს თავის დანიმუშებას). ასეთი რაინდია ავთანდილი: მამინ როცა გარიელი სხვებისთვის „უცხო მოყმეა“, მისთვის პირველი შეხვედრისთანავე მოყვასად იქცევა („დამიგდია სამსახური, იგი იქმნას, რაცა გინდა, ...მენ გეახლო სიკედილამდის, ამის მეტი არა მინდა“). სწორედ ესაა ავთანდილობა: საკუთარ

ინტერესებშე მაღლა მოყეასის სამსახურის დაყენება<sup>1</sup>. აეთანდილისთვის პრინციპი „გოყვარდეს მოყეასი შენი” ნიშნავს: იმოქმედე – იძრიძოვე შენი მოყეასის ბედნიერებისთვის. ამიგომაც ტოვებს აეთანდილი არაბეტს, სწერს რა წერილს როსტევან მეუეს, რომელმიც ცდილობს აუხსნას, რომ გარიელთან შეხვედრამდე მხოლოდ აეთანდილი-სპასეტი იყო, მასთან შეხვედრის (და მისი გასაჭირის გაზიარების) წყალობით კი „აღმოაჩინა” საჯეთარი თავი როგორც აეთანდილი-აღაშიანი და სწორედ ამის გამო დგება მეგობრის სამსახური მეუის და მიზნურის სამსახურშე წინ.

კელავ მიეუბრუნდეთ ასგროლოგიას, იგი რესთაველის, დანგეს და პეტრარკას მხაგრულ სამყაროთა განუყოფელი ნაწილია. მეტის, იგი არა მხოლოდ ტროპულ სახეთა ასაგებადა მოხმობილი, არამედ კონცეპტუალური დატვირთვის მაგარებელია: იმ მსოფლმხედველობრივი სისტემის განსახოვნებაა, რომელზე დაყრდნობითაც ეს შემოქმედი საქეთარ ესთეტიკას ქმნიან. ეს არის ნათლის ესთეტიკა და მისი წყარო სამივე მათგანთან უპირველეს ყოვლისა ნეოპლატონიზმია (თავისი წარმართული თე ქრისტიანიზმირებული სახით).

როცა ნესტანმა გარიელის ამქეცყნად ხილვის იმედი სრულიად დაკარგა, იმასდა თენებობს, რომ მას ზეცამი შეხვედეს, შეხვედეს მეოთხე – მშის ცამე:

„მშესა მემვეღრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა მრომასა,  
უკისხსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;  
მომცეს ურთენი და ავფრინდე, მიეპხედე მას ჩემსა ნდომასა,  
დღისით და ღამით ვხედვიდე მშისა ელვათა კრომასა.  
მშე ეშენოდ ვურ იქმნების, რადგან მენ ხარ მისი წილი,

<sup>1</sup> „კურთხისგაოსნში” წარმოდგენილი მეგობრობის როგორც მოყეასისაღვი სამსახურის შესახებ იხ.: Khintibidze E., Lancelot and Avtandil: *The Kartvelologist. Journal of Georgian Studies*, 9, 2002, Tbilisi. გვ. 31-46

განაღამება მას ეახელ მისი ეტლი, ან თუ წბილი!  
 მუნა გნახო, მადევ გსახო, განმინათლო გელი ნირდილი,  
 თუ სიურცხლე მწარე მქონდა, სიკედილიმება მქონდა  
 ტებილი".

ნესტანი ქხრა ცას იმოწმებს, როცა გარიელს  
 ერთგელებას ეფიცება („გეურუო, ღმერიშან მიწა მქმნას,  
 ნემცა ქხრითავე ვგი ცითა") და მეიდ ცას ისსენებს, როცა  
 ედილები უბედურება აგყდება თავს („რისხვით მობრუნდა  
 ბორბალი ჩვენ მედა ცისა შეიდისა")<sup>1</sup>. ხოლო იმ ღროს, როცა  
 აქაჯეთს მოიწია უსაბომო რისხეა ღეთისა", მეიდი მნათობი  
 სამ გმირს მოარეველობს: „მათ სამთა მეიდნი მნათობნი  
 პფარვენ ნათლისა სევგათა".

„ახალ ქხოურებაში" დანგე ცათა მთელ იურარქიას  
 ბეაგრიისეს უქვემდებარებს:

„ვთქვათ, თუ რა იყო მიმები, რომ რიცხვი ქხრა განუყრელი  
 მეცობარიუოთ მიწყვი თან სდევდა მას: რადგან პეტლომება და  
 ქრისტიანული ჭეშმარიგების თანახმად, ქხრაა მოძრავ ცათა რიცხვი,  
 ხოლო საყოველთაო ახეროლოგიური აბრის თანახმად, მეორე  
 ხსენებელი ცანი, ჩვეულებრივ, ერთად შემოქმედებენ ამ ჩვენს  
 მიწაზე, ეგ რიცხვი მედამ თან სდევდა მას, რათა დაემოწმებინა, რომ  
 მისი მობისას ქხრავე მოძრავი ცა უსრულექმნილესი ერთობით  
 ურწყმოდა ერთმანეთს" (I, 98).

ბეაგრიისესთან თავის პირველ შეხეედრას კი მემდეგი  
 სიტყვებით აგვირერს:

„ჩემი დაბადების შემდეგ ნათლის შესწელი (Io ciello della  
 luce), საკუთარი მოქაევის გრით თითოების შეუხრეჯერ მიუბრუნდა  
 საწყის წერილს მოძრაობისას, როცა ჩემს მზერას პირველად  
 მოევლინა ჩემი სელის დიდებამოსილი ქალბაგონი, ბეაგრიისელ  
 წოდებული" (I, 39).

<sup>1</sup> შეიდ და ქხრა ცათა შესახებ იხ.: ხინოიბიძე კ., ქართველებულობითი  
 პოლიტიკური კულტურული მეცნიერებები", თბ., 1975

როგორც ცნობილია, დანგე „ნათლის მესაქელს“ ცხრა საქელს მორის მეოთხეს, მზის ცას უწოდებს.

პეტრარქა თავის ლაურას მესამე – ვენერას ცას – უკავშირებს (287-ე და 302-ე სონეტები). (საინგერესოა, რომ დანგე თავის „ნადიმში“ ამურს სწორედ მესამე ცას ანგელოზად აქცევს).

ასე რომ, ასტროლოგია და სიყვარულის კონცეფცია ერთ დისკურსში უქცევა და ამით სიყვარულის ამამაღლებელ გრძნობას გრანდიოზელი კოსმოლოგიური შინაარსი ენიჭება; ამასთანავე სიყვარული არა მხოლოდ სამყაროს მამოძრავებელ ძალად, არამედ სამყაროში არსებულის სიმრავლის მთლიანობის განმსაბლერელადაა წარმოდგენილი, რადგან იგი ყოველი არსებულის სწრაფეა ერთისკენ – იმ დათავებისკენ, რომელიც უმაღლესი სიკეთეა. ამიტომაცაა „ვეუხისგყაოსანში“ უმთავრესი სიკეთის იდეა. ეს იდეა პოემის დელაბრადაა ქცეული და სამყვარი ჟღანითაა წარმოდგენილი: 1. ალეგორიულ-სიმბოლურით: „ნახეს, მზისა მესაყრელად გამოემვა მთეარე გველსა“; 2. ასტროლოგიურით: „რათგან მისხედა დაკარგული ლომი მზესა წარხდომილსა“; 3. ფილოსოფიურით: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

სამყაროში, ღმერთის ქმნილებაში, ბოროტების არასუბსტანციურობა და სიკეთის მონიშმი უბენაესი კანონია – ეს ნეოპლატონისტერი დებულება „ვეუხისგყაოსანში“ იდეურ ბირთვადაა ქცეული. ას მხრივ, უაღრესად საინგერესოა პეტრარქას IV სონეტის პირველი სტროფი, რომელმიც მსგავსი ამრია გატარებული:

„ეინ მექმა სამყარო, დაგვანახა, რომ იგი უნაჯლოა.  
 ჟღანეტები მემოქმედის უმაღლეს სიბრძნეს გამოხატავენ,  
 რადგან მათი მემწეობით ერთია ბოროტებაზე“

მეორეთა სიკეთე ბაგონობს მარტ”<sup>1</sup>!

სიყვარულის რენესანსელი კონცესია მთელი  
სისრულით პეტრარკას შემოქმედებაში ვლინდება. პეტრარკა  
დათაებრივს ადამიანურში ჭერებს. მისთვის დათაებრივი  
ყველაზე სრულქმნილი სახით საყვარელ არსებაში  
განსხვეულდება, ამიტომაც აღმერთებს თავის საგრუოს. ლაურა  
ბეატრიჩეს მსგავსად, სინთეზია რეალურისა და იდეალურისა,  
ნიმუშია იმ პარმონიისა, რაც მშეენიერ სხეულში მშეენიერ  
სულს გულისხმობს. მაგრამ ბეატრიჩესა და ლაურას მორის  
განსხვავებანი მეტია, ვიდრე მსგავსება:

პეტრარკა კი არ „აღის“ ზეცამი გარდაცვლილ  
მიჯნერთან, როგორც დაწერ, არამედ თავად ლაურა  
„ჩამოღის“ მასთან მიწაზე. ლაურა სიკედილის შემდეგაც  
ამქეუყნიური სილამაზის ხატებად რჩება, ბეატრიჩე კი  
ამქეუყნადაც მეციურის სახებაა, რადგან მიწიერი სიყვარელი  
დაწერსთვის მხოლოდ ხილია მეციური სიყვარელისკენ.  
მისთვის ადამიანური სიყვარელი მნიშვნელობს იმდენად,  
რამდენადაც გარდამავალი საფეხურია დათაებრივისკენ.  
„ყარდაცელილი ლაურა წმინდანი კი არა, ქალია“ (14, 321) და  
იგი ზეცამის კი მისგირის თავის მშეენიერ სხეულსა და თავის  
საგრუოს (302-ე სონეტი).

„სიმღერათა წიგნის“ ლირიკული სუბიექტი არის  
ადამიანი, რომელიც ზეცასა და მიწას მორის მერყეობს,  
რომელიც აქნობიერებს თავის წარმავლობას, მაგრამ,  
ამასთანავე, აქნობიერებს რეალური ყოფისაგან გაქცევის  
შეეძლებლობასაც. იგი ნათლად ხედავს, რომ ადამიანს არ  
ძალუდს ბედნიერებისა და მიწიერი სილამაზის (რომელიც  
მისთვის დათაებრივის ხორცმესხმა) მენარჩუნება და

<sup>1</sup> მოცემელი სტროფი და ქვემოთ წარმოდგენილი ყველა პწარედი პეტრარკას  
სონეტებიდან ქართულად თარგმნილია ჩემი მიერ შემდეგი გამოცემიდან:  
Petrarcha Fr., *Canzoniere*. Torino, 1964.

შეჩერება. ამ საკითხშე პოეტს თავისი საგრუფოსა და მეზის გარდაცვალება ჩააფიქრებს, ეს იწვევს მის სევდასა და წეხილს და მხოლოდ წარმოსახვის თამაშით ცდილობს მის „გაცოცხლებას“. უფრო ზუსტად, უკედავყოფას თავის პოეზიაში. ამიტომაც მის ლირიკაში სიმბოლური დატვირთვის მაგარებელია Laura (ლაურა) – lauto (დაფუნა) – l'aura (ნაიე): პირველი სიყვარულის აღმნიშვნელია, მეორე – უკედავების (ოლონდ ხელოვნებაში უკედავების), მესამე კი – წარმავლობისა.

მსგავსი მოგივი არც დანგეხსთან გეხვდება, არც რუსთაველთან, მაგრამ სხვადასხვაგვარ მიმებთა გამო:

დანგეხსთავის უქოთა წეხილი მიწიერი სილამაზის წარმავლობაზე, იგი ედიდეს ბედნიერებად მიიჩნევს უბენაესის მიერ ბეაგრიჩეს მიწაზე მოვლინებას (თუნდაც ხანმოკლეს), რადგან აღამიანებს მისი სრულქმნილების ხილვის საშუალება მიეცათ. თავისი საგრუფოს გარდაცვალებას დანგე გლოვობს არა იმის გამო, რომ აღამიანური მშენიერება, საერთოდ, აღამიანური ყოფა წარმავალია და მიწიერი ბედნიერება – ცვალებადი, არამედ იმიგომ, რომ „ბეაგრიჩეს მიერ მიგოვებული სამყარო დაობლდა, ქერივს დაემსგავსა და ოხერს, ყოველგრინ ხელაღებყრიობელსა და ყოველი ღირსებისგან განძარსულს, ... მოაკლდა ღეთიერი მუქი“ (1, 95).

„კეჭხისგყაოსნის“ პერსონაჟები მითოსერ გმირებს ჩამოგვანან და, ამდენად, მეუძღვებელი კია საუბარი მათი ყოფის წარმავლობაზე. რაც შეეხება ბედნიერება-უბედურებას, რუსთაველი მას პეტრარკასგან განსხავებული კუთხით სვამს: უბედურება მხოლოდ დაბრკოლებაა, რაც ბედნიერებას დროებით წინ ეღობება; პოემის გმირთა ბრძოლა ბედნიერებისთვის აუცილებლად მათი გამარჯვებით დასრულდება, რადგან სამყაროს უნივერსალური კანონითაა განპირობებული: ღმერთი სიკეთეა, ქეყანა სიყვარულით და

სიყვარულის მიზეზით არის შექმნილი, სიკეთე კი ყოველთვის გაიმარჯვებს არარსბე — ბოროგბე.

ეგრარქას შსგავსად, მიწიერი ყოფის წარმავლობის მოგივი გვხვდება ბოკაჩისთან, მხოლოდ უფრო გამძაფრებული სახით. ამას გარდა, „დეკამერონის” ავტორი თავად სიყვარულის წარმავლობაზეც წესს, რაც სრულიად უსხო და წარმოედგენელია როგორც რესტეველისთვის, ასევე დანგესა და ეგრარქასთვისაც. მათთვის სიყვარული ერთადერთია, რაც წარუეალია არა მხოლოდ ამ, სკალებად სამყაროში, არამედ იმქვეყნადაც ასეთად დარჩება: იმედოვნებენ, რომ აქ, მიწაზე მხოლოდ დროებით დაშორებულნი, იმქვეყნად ისევ შეხვდებიან და, რაც მთავარია, კვლავ ეყვარებათ ერთმანეთი — სხვაგვარად მათთვის სამოთხეც ეი წარმოედგენელია. ქაჯეთის ციხეში დატყვევებულ ნესტანს ხომ ერთადერთ ნებემად იმქვეყნად საგრულისთან შეხვედრის იმედი რჩება („მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული, ჩრდილი, თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმეა მქონდა ტქბილი”).

ბეაგრიშე დანგესთვის ჩვეულებრივი სატრუ კი არაა, არამედ მიწიერ ქმნილებაში განსხვეულებული იდეალური შინაარსის ხატება. ხატება კი არ შეიძლება გიყვარდეს როგორც ქალი, შესაძლოა, მხოლოდ ეთაყვანო მას, როგორც „ჯერარნახულ სასწაულს უფლისას” (1, 36). ამიტომაც წერს ბოკაჩი „დანგეს ცხოვრებაში”: „ეს სიყვარული წმინდა და უბიწო იყო; დანგეს არც ერთ სიგყვაში, მოძრაობაში, გამოხედვაში, ისევე როგორც ბეაგრიშეს ქსევაში, არც ერთხელ, წამიერადაც კი, არ გაუვლია ხორციელ ლგოლვას” (11, 78).

ეგრარქას სიყვარული სხვაგვარია, მისთვის ლაურა არის არა მხოლოდ ხილი ორ სამყაროს მორის, ბეაგრიშეს მსგავსად, არამედ რეალური ქალიც, უმშვენიერესი და უკეთიღმობილესი, რომლის სხეული ისევე სრულქმნილია,

როგორც სული: „მადონა ამქვეყნად ყველას აღმატება თავისი სხეულებრივი სილამაზითა და სულიერი სიწმინდით” (354-ე სონეგი). პოეტი ლაურას აღიქვამს როგორც ღვთაებრივთან წილნაყარ, ყოველმხრივ სრულქმნილ მიწიერ არსებას, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის „ანგელოზურისა და ქალურის, სიყვარულის ცეცხლის მაგარებელი” (123-ე სონეგი).

პეტრარკას სიყვარულის კონცეფცია, ჩეენი აბრით, „კეფხისგყაოსნის” სიყვარულთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე დანგესეულთან, და რესთაებელის მიჯნურობის იმ სახეს მოგვაგონებს, რომელიც მიწიერია, მაგრამ „აქეს საღმრთო სიახლე” „გვართა ზენათა” მიჯნურობასთან. ამ მხრივ, უაღრესად საინგერესოა პეტრარკას „ჩემი საიდუმლო”, რომელიც მისი მსოფლმხედველობის გასაღებია. ეს თხმელება, უაქტობრივად, პეტრარკა კომენტარია საკუთარ შემოქმედებაზე. აქ წარმოდგენილია არა მხოლოდ დიალოგი პერსონაჟებს – აეგვესტინესა და ფრანცისეს – მორის, არამედ „გაბაასება” ორი ეპოქისა როგორც ეულგურათა ორი ტიპისა: მუსააუკუნებისა და რენესანსისა. ნაწარმოებს მეორე სათაურიც აქვს: „სოფლის ამაოების მესახებ”, რომელიც აეგვესტინეს თვალსაზრისის გამომხატველია, პეტრარკა-ურანცისეს პოზიცია, უფრო მუსგად კი, მისი საიდუმლო ისაა, რომ აეგვესტინესგან სრულიად განსხვავებული მსოფლმხედვა აქვს. ეს ნათლად ჩანს, მაგალითად, მათ მორის გამართულ დიალოგში სიყვარულის მესახებ, რომელსაც აქ მოვიხმობთ:

„ – თუ შენ გიყვარს მხოლოდ ის, რასაც თვალებით ხედავ,  
მაშასადამე სხეული გიყვარს.

– მე მიყვარს სხეული სულით.

– მან (ე.ი. ლაურამ – თ.ხ.) შენი სურეილები მემოქმედილან ქმნილებაზე გადაიგანა, დაამორა შეისურ საგანთა სიყვარულს.

„ – სანამ მიწიერმე მრუნავ, ვერ მიეახლები მარადიულს.

- სიყვარული და სახელგანთქმულობა კი არ ღეპას, არამედ აღამაღლებს სელს, განამტკიცებს ყოველ სიქველეს. ხოლო სიქველეთა მიხედვით ცხოვრება ერთადერთი ჭეშმარიტი ვჩაა ბედნიერებისკენ.
- ვხედავ, ხარბად ესწრაული მიწიერ კეთილდღეობას.
- მეუძღვებელია, მოკვდავს მოკვდავის სერიილები არ შექონდეს" (33, 108-109).

ჟეგრარქიას ეს პოზიცია დანარჩენ ჸუმანისტთა პოზიციასაა, მაგალითად, ლეონარიოს ბრუნის, რომელიც წერს: „არ გევონოს, თითქოს ადამიახებისგან გაქცევა, უარის თქმა მშენიერ საგნებმე, მონასტერში ჩაკეტვა და მღვიმეში დამალევა იყოს ვჩა სრულყოფილებისაკენ. ნუთე გჯერა, რომ ღმერთისთვის მარგოხელა, უმოქმედო ჟავლე უფრო ძეირუასია, ვიდრე მრომისმოყვარე ადამი? სოფლიდან გაქცევით ზეციდან მიწაზე დაენარცხები, სოფელში დარჩენით კი მეძლებ შენი გელის ამაღლებას მიწიდან ზეცისკენ" (36, 42).

როგორც ვხედავთ, რენესანსის ეპოქაში ვჩა სრულყოფილებისაკენ „სოფელში დარჩენის ვჩაა", უფრო სწორად, სოფელში დარჩენით დასახული იდეალის აქ. მიწაზევე განხორციელების ვჩა. აქ კვლავ დგება დროითი ორიენგირების საკითხი: მუასაუკუნეების ესთეტიკის თება – ზეცასთან მიახლება მხოლოდ მიწიერის დათრგუნვითაა მესაძლებელი – დროითი ჟერსექტივის მემუელისა: ზეციერში მომავალი იგულისხმება, მიწიერში – აწმყო. სწორედ ასეთი ჟერსექტივის მუსახებ აღნიშნავდა ჟეგრარქა: „განა არსებობს იმაზე დიდი ბოროგება, ვიდრე მომავალში ცხოვრების იმედით არასოდეს იცხოვრო?!" (30, 9). რენესანსულ ესთეტიკას ასეთი ანგიოთება შემოაქვეს: ზეციერთან გიარება სწორედ „სოფელში დარჩენით" მიიღწევა.

რესთაველის სიყვარულის კონცეფცია კი თეორიულად ეროლოგია ჩამოყალიბებული, ხოლო მხატვრულად ხორციელებისა პოემის სიეკურ ნაწილში. პოეტის ამრით,

სიყვარული სხევადასხვაგვარია, მაგრამ მის ყველა სახეს ერთი საწყისი აქვს – ღვთიური სიყვარული. მიჯნურობა სამყვარია: ზეციური (ღვთიური), მიწიერი (ბაბავს ზეციურს), მდაბალი („ეგელო სიყვარული”, სიძვა). პირველი, მიჯნურობის უმაღლესი სახე, არ არის და ვერც იქნება შეართობის (ანუ საერთ პოეზიის) საგანი. პოეზიის საგანია მეორე სახის სიყვარული. ეს ადამიანური, ამქვეყნიური სიყვარულია და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საუკეთესო სამუალია სიყვარულის დანარჩენ ორ სახეობათა მორის, იყი „პრინციპულად ემიჯნება სიძვას და მაქსიმალურად უახლოედება საღვთო სიყვარულს. საღვთო სიყვარულისგან ახასიათებს ამაღლებულობა, მარადიულობა, ხორციელი სიყვარულისაგან – ამქვეყნიურობა, რეალურობა” (8, 173).

ამგვარად, დანტესთან ბეაგრიჩე ღვთაებრივის აღეგორიად წარმოგეიდგება, პეტრარქასთან ლაურაში ექცევა მთელი სამყარო, რესტავრელთან ადამიანისთვის მიწიერ სამყაროში იღეალურად იქცევა სიყვარული, რომელიც თვისობრივად ემიჯნება სიძვას და ენათესავება ემაღლებს, საღვთო სიყვარულს.

ამ მიწიერ სიყვარულს, ზეციურს რომ ბაბავს, ძალუძს არა მხოლოდ ადამიანური სიყვარულის ქსევა ღვთაებრივისკენ ზეაღმავალ საფეხურად, არამედ თავად ზეციური გრძნობის ამქვეყნიური, ადამიანური შინაარსით აქსება, ანუ მიწიერ-ზეციურის ანგინომიის მოხსნა. ასეთი სიყვარული ადამიანს მეაძლებინებს ამქვეყნად წედეს იმ სრულქმილებას, რომელსაც შეასაუკუნეობრივი ესთეტიკა მხოლოდ იმქვეყნად მიიჩნევდა მესაძლებლად. რენესანსული ესთეტიკის მიხედვით კი, ღვთაებრივთან მიახლება მიწიერის უარყოფის გარემე ძალუძს ადამიანს და ასეთ ადამიანს ეწოდება սოთი սიუნივერსალი აღორძინების ეპოქაში.

რენესანსულ ესთეტიკაში წარმოდგენილ ადამიანის იღეალში ადამიანი ისევე არ არის მხეცისა და ანგელოზის

ნაბავი, როგორც თავად აღორძინება არ გახლავთ ანგიკერობისა და მუასაეუნების უბრალო სინთეზი. აქ ადამიანი გაიდეალიზება კი არაა (ანუ დახატებია არა ტენდენციურად – ღირსებათა ხაზგასმითა და ნაელოვანებათა მიჩქმალვით – მოკლედ, ისე როგორც დღეს ჩვენ, თანამედროვე ადამიანებს გვესმის სიგურე „გაიდეალების“ მინშენელობა), არამედ სწორედაც რომ არის „menschliches, allzumenschliches“: არაუკი ადამიანური არაა დაძრახული, პირიქით, საკუთარ არსებამი ადამიანური საწყისით აღუროთვეანებაა ხაზგასმელი, რადგან „პემანიტი ...ადამიანში განადიდებს ადამიანს და არა ანგელოზს“ (6, 211).

ყოველი ეპოქა საკუთარი მსოფლმხედველობიდან ამოსვლით ქმნის თავის იდეალებს, რომლებიც საბოლოო ჯამში უოკესირდება ადამიანის იდეალში. ეს იდეალი შემდგომში იქცევა ეპოქის სახედ და, გარდა იმისა, რომ ყველაზე ნათლად ავლენს მის სპეციფიკას, არსებულსა და სასურველს მორის სხვაობას წარმოაჩენს. ამასთანავე, მათი შეპირისპირების საშუალებას იძლევა. რენესანსი ის ეპოქაა, რომელმაც მეძღო არსებულსა და სასურველს მორის ხიდის გადება: თუ კი ანგიკერობამ ადამიანი „გააღმერთა“, ხოლო ქრისტიანობამ ღმერთი „გააადამიანურა“, აღორძინებამ მთლიანად მიწიერი ყოფა გამოიცხადა ღვთაებრივებად, ყოფიერება მიწიერ ღვთაებრიობად დასახა. სწორედ ამაშია რენესანსის ეპოქის უნიკალურობა: მან თავად სინამდევილე აქცია იდეალიდ, ანუ იდეალის საკუთხევო მოღვლად და ნიმუშად.

ვფიქრობთ, „ეეჭხისტყაოსანშიც“ სწორედ მსგავსი მსოფლხედვაა წარმოდგენილი.

ადამიანის პუმანისტერ იდეალში ადამიანი თუმცა  
 არის ყველაურის საზომი, მაგრამ თავად ადამიანის საზომია  
 ღმერთი. ღმერთი ის იდეალია, რომლის მიერ შექმნილ  
 მოდელში – ადამიანში – ჩადებულია ამ იდეალის  
 განხორციელების პოტენციალი. თუ ადამიანს აქვს სურვილი, მას  
 ძალუბს განახორციელოს იყო თავის თავში<sup>1</sup>,  
 „კეფხისტყაოსანში” ეს ამრი შემდევნაირადაა  
 ჩამოყალიბებული: „ეპი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით  
 კაცამდის”. ჯოვანი მიკო დელა მირანდოლა, ვინც თავად იყო  
 თავის თანამედროვეთა თვალში ადამიანის პუმანისტერი  
 იდეალის საკუთხესო ნიმუში, აცხადებს: „ადამიანი საკუთარი  
 თავის თავისეუფალი შემოქმედია, ოსგაგია, ერთდროულად  
 რომ ქმნის თავისივე ნებისყოფის ძალით საკუთარ თავსა და  
 საკუთარ ბედს” (35, 89). სწორედ ის, რომ ადამიანს ძალუბს  
 განახორციელოს იდეალი თავად – საკუთარი ძალებით –  
 არის პუმანიზმის მიერ შემოგანილი პრინციპები სიახლე.

კიდევ ერთი სიახლე კი ის გახლავთ, რომ  
 პუმანისტებმა არა მხოლოდ ფილოსოფიური განსჯის საგნად  
 აქციებს, ადამიანის არსება, არა მხოლოდ გახაზეს ადამიანის  
 ღირსება, არა მხოლოდ შესაძლებლად დასახეს ადამიანის  
 სრულყოფილება (მსგავსი გრძელებული მეტ-ნაჯელებად სხვა  
 კონკრეტურა ახასიათებთ) – მათ ყოველივე ეს საკუთარ თავმი,  
 საკუთარ ღრომი დაინახეს. მიუხედავად იმისა, რომ  
 რენესანსის მოღვაწეობი, ერთი შეხედვით, იდეალად თითქოს  
 ანგიურ ხანას მიიჩნევდნენ და გამუდმებით მისტიკოდნენ  
 „ნათელ ანგიურობას” (პეტრარკას ტერმინი – „აფრიკა”, IX,  
 453), აწმყოსთვის არასღროს მიუნიჭებიათ ისეთი  
 მნიშვნელობა, როგორც რენესანსულ ესთეტიკამი. თუ ამას  
 გაეითვალისწინებთ, აღარ გაგვაკეირვებს პეტრარკას

<sup>1</sup> რენესანსის დასტეფ საკითხი იმის ასე ძალუბს კი ეს ადამიანს? და მასშე დანის პრინციპი უარყოფით პასუხს სცემს. ეს ეკუ გუანი რენესანსის ხანაა ანუ აღორძინების დასახრების დასაწყისი.

სიგუვები: „განა არსებობს იმაზე დიდი სისულელე, ვიღრე აწმოს უგულებელყოფა მომავლის იმედით, იმ მომავლისა, რომელიც სრულიად უსწობია და ათასგვარ მემთხვევეითობაზე დამოკიდებული, აწმო კი უდაოდ მენ გეეჟონის?! ვინც ხვალინდელ დღებება დამოკიდებული, ვერახოდეს იქნება თავისუფალი. განა არსებობს იმაზე დიდი ბოროტება, ვიღრე მომავალში უხოვრების იმედით არასოდეს იცხოვროთ?!” (30, 9). პუმანისგვებმა, შუასაუეუნების ესთეტიკისგან განსხვავებით, იდეალი მომავლიდან აწმყოში გაღმოიგანეს, თანაც არა მხოლოდ მოგადად ამქეცყნიერსა და მიწიერმი, როგორც ეს ანგიერ ესთეტიკამი იყო წარმოდგენილი, არამედ კონკრეტულად მოცემულ ღროსა და სივრცეში – თავიანთ თანამედროვეობამი. ამით თუმცა, ერთი მხრივ, გამოთავისუფლდნენ მითიდან, მოახდინეს განმითება: არქეტიპის, როგორც ბედროული უცვლელი მოდელის ჩანაცვლება დროულ-სიერული საკუთარი, სკალებადი მოდელით, მაგრამ, მეორე მხრივ, თავად ეს საკუთარი მოდელი გაამითეს: საკუთარ პიროვნებებმი, თავის ქმნილებებში განკვრიგეს ღვარებრივი, როგორც განსხულებული რეალობად. მათ იდეალურობა რეალურის იმანენტერ არსად გამოაცხადეს. ეს გახდავთ პუმანიმის საეციფიკური ასპექტი, რომელმიც უკუსირდება რენესანსი როგორც კელტურის პუმანისგვერი ტიპი. აქედან გამომდინარე, გასაცემი ხდება, რას ნიშნავს „იდეალური“ აღორძინების ეპოქასთან მიმართებამი: არსებული და სასურველი, მიწიერი და ბეციერი ერთ მთლიანობად იქცა, ანუ მოხდა ყოფიერების (როგორც აწმყოში მოცემული ღროსა და სივრცის) მითოლოგიზაცია.

„ადამიანური სელის მემლილობაა, აღტაცება ყველაურით, საკუთარი თავის გარდა, რომელთან შედარებითაც არაუერია გასაოცარი არა მხოლოდ ხელოვნების ნიმუშთა, არამედ ბენების ქმნილებათა მორისაც

յი” (30, 232). – ეს სიგყვები პეტრარქას ეკუთვნის და მათი წარმოთქმის საუკმენელს მას უდაოდ აძლევს აღამიანის ის იდეალი, რენესანსულ ეპოქაში რომ შეიქმნა. თუ შეა საეკუნეები ელოდა სასწაულს, რადგან ითვლებოდა, რომ ყველაფერი შესაძლებელი იყო ღმერთისთვის, აღორძინება უშვებდა სასწაულს, რადგან ითვლებოდა, რომ არაფერი იყო შეუძლებელი ადამიანისთვის. რენესანსი ხომ იყო ეპოქა, როცა სწამდათ, რომ „ყველაფუერი უნდა ირწმუნო, რადგან არაფერია შეუძლებელი” (23, 235). მაგრამ, რაც მთავარია, ეს იყო ეპოქა, რომელმაც საეკუთარი მაგალითით აჩვენა, როგორ იქცევა სასურეელი რეალობად, რომა რწმენასთან ერთად მოქმედებ და იძრძვი.

როცა ესაუბრობთ ადამიანის პემანისტერ იდეალზე, „პემანისტერში” ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, არა მოგადად პემანურს ანუ ადამიანურს (ასეთია ყოველი ეპოქის იდეალი საერთოდ); ადამიანის იდეალს „პემანისტერად” ესახელდებო იმ თემაზე დაყრდნობით, რომ პემანიზმი გვესმის როგორც რენესანსის უიღლოსოფია – XIV-XVI საეკუნეების ეკროპაში (და განსაეკუთრებით, იგაღიამი) ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობითი სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, ნაწილობრივ XIII საეკუნის კონცეფციებს ეფუძნება, რის გამოც კიდეს ეწოდა „პროგორენესანი” XIII საეკუნეს.

ადამიანის ის იდეალი, რომელიც რესთაველმა შექმნა თავის „ვეფხისგყაოსანში” ყველაზე მეტ გიპოლოგიურ მსგავსებებსა და პარალელებს დასავლეთ ეკროპის პროგორენესანის და რენესანსის ადამიანის იდეალთან ავლენს.

## ლიტერატურა

1. ალეგორი, დანგვ, ახალი ქხოვრება (თარგ. ბ. ბრევეგაძის და თ. ჩხერიელის, კომენ. ბ. ბრევეგაძის), თბ., 1967
2. კეკელიძე ქ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981
3. ნუებიძე პ., შრომები, ტ. IV, თბ., 1976
4. პლატონი, ნადიმი (თარგ. და კომენ. ბ. ბრევეგაძის), თბ., 1964
5. რესტველი მსოფლიო ლიტერატურამი (რედ. ლ. მებაძე), ტ. I, თბ., 1976
6. სირაძე რ., სახისმეტყველება, თბ., 1982
7. სირაძე რ., ძველი ქართული ამროვნების თეორიულ-ლიტერატურული საკითხები, თბ., 1975
8. ხანთიძე ე., მეასაუკუნეობრივი და რენესანსული „კულტისტურისანმი”, თბ., 1993
9. Антология мировой философии. Возрождение (ред. Ю. Хацкевич), М., 2001
10. Баткин М., Итальянские гуманисты: стиль жизни и стиль мышления, М., 1978
11. Боккаччо Дж., Малые произведения, Л., 1975
12. Голенищев-Кутузов И., Романские литературы, М., 1975
13. Голенищев-Кутузов И., Творчество Данте и мировая культура, М., 1971
14. Де Сантис Фр., История итальянской литературы, т. I, М., 1963
15. Кант И., Сочинения в шести томах, т. V, М., 1966
16. Конрад Н., Избранные труды (литература и театр), М., 1978
17. Лосев Ал., Эстетика Возрождения, М., 1982
18. Ревякина Н., Проблема человека в итальянском гуманизме, М., 1977
19. Хейзинга И., Осень средневековья, М., 1988
20. Burdach K., Reformation, Renaissance, Humanismus, Berlin, 1918

21. Burdach K., Sinn und Ursprung der Worte Renaissance und Reformation, Berlin, 1910
22. Cantimori D., Studi di storia, Torino, 1959
23. Ficini M., Theologia platonica, Paris, v. II, 1964
24. Huizinga J., Mein Weg zur Geschichte, Basel, 1947
25. Garin E., L'umanesimo italiano, Bari, 1964
26. Kristeller P., Renaissance Thought, New-York, 1961
27. Lirica italiana antica (ed. E. Levi), Firenze, 1968
28. Maddox D., The Arthurian Romances of Chrétien de Troyes. Once and Future Fiction, Cambridge, 1991
29. Michelet J., Histoire de France, v.III, Paris, 1870
30. Petrarca Fr., Opere, v. I, Firenze, 1975
31. Petrarca Fr., Le familiari, v. I, Firenze, 1940
32. Petrarca Fr., Le familiari, v. IV, Firenze, 1942
33. Petrarca Fr., Prose, Milano-Napoli, 1955
34. Petrarca Fr., Canzoniere, Torino, 1964
35. Pico della Mirandola G., De hominis dignitate. De Ente et Uno, Firenze, 1942
36. Salutati C., Epistolario, v. II, Roma, 1934

## ХАПАВА Т.

### ИДЕАЛ ЧЕЛОВЕКА В ИТАЛЬЯНСКОМ РЕНЕССАНСЕ И ЕГО ТИПОЛОГИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ К „ВИТЯЗУ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ“

#### Резюме

По ортодоксальной теологии, природа человека грешна и только с Божьей Благодатью достигается добродетель. Гуманисты предложили альтернативу, согласно

которой человек сам кузнец своего счастья, по свободной воле выбирающий правильный путь жизни.

Во-вторых, гуманисты объявили человека не только творцом-артистом, но и созиателем собственной личности благодаря любви и интеллектуальной и душевной добродетели.

Между идеалом человека в итальянском Ренессансе и „Витязе в тигровой шкуре” выявляются интересные типологические отношения.

## TAMAR KHAPAVA

### THE IDEAL OF MAN IN THE ITALIAN RENAISSANCE AND ITS TYPOLOGICAL RELATIONS TO THE MAN IN THE *PANTHER'S SKIN*

#### Summary

According to the Orthodox theology, man was sinful and was incapable of virtue without the aid of divine grace. Humanism offered an alternative which said that man could freely choose his destiny and by the exercise of his own will could act rightly.

Besides, according to the humanists, man is not only an artist as a creator, but also a creator of his own personality by means of intellectual and spiritual virtue and love.

The ideal of man in *The Man in the Panther's Skin* has interesting typological relations with the humanistic ideal of man in the Italian Renaissance.

იუ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწოდება  
Труды Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили  
Proceedings of Tbilisi I. Javakhishvili State University

348, 2003

## გაზა ხინთიძიძე

### სტრუქტურული სიმარტინის არარაციონალური პრინციპები და "ვეფხისგყაოსნის" დასასრულის პრობლემა<sup>1</sup>

ბოლოდროინდელი რესთურელოლოგიური სამეცნიერო  
ლიტერატურის ფურცლებშე კვლავ ახალი სიმწვავით  
განახლდა დისკუსია "ვეფხისგყაოსნის" კომპეტიციის შესახებ,  
კერძოდ კი, თუ სად თავდება პოემის თავდაპირეელი,  
რესთურელისეული ვარიანტი.<sup>2</sup> "ვეფხისგყაოსნის" აქადემიური  
ტექსტის დამდგრადი კომისიის აგენტორითებული დასკვნის  
თანახმად, "[ინდო-ხაგაელთა] "ამბის" მოგიერთი სტრუქტურული  
რესთურელური პოემის უცილობელ ნიშანს აგარებს,  
მოგიერთი კი (და უმრავლესობა) მხატვრულად ძალგე

<sup>1</sup> წინამდებარე სტატიის მინათა, როგორც ეს მიხი სათაურიდანაც ჩანს, წარმოეამნით "ვეფხისგყაოსნის" გვერბიში ჩვენ მიერ დაფიქსირებული "ლიადისა" და "ოდისეისათვის" ორგანული სტრუქტურული სიმეტრიის რამდენიმე შემთხვევა. რაც რეალურადაა "ვეფხისგყაოსნის" პომეროსის ექსითან შეგვების ნაირელყოფის ეიდე ერთი წერტული შედელობაა (იხ. აგრ. 14). აღნიშნულ შემთხვევათაგან ერთ-ერთი პოემის სწორედ საწყის და დაპარედებულ სკენებს ეხება და ამდენად, ვამვეღოვნებთ, რომ მეტ-ნაკლებად ხელს შეეწყობს რესთურელოლოგიის უმნიშვნელოვანება პრობლემის – ინდოხაგაელთა ამბის ავთენტურობის საეკითხოების საბოლოოდ გარკვევას.

<sup>2</sup> მაგ. იხ. 9, რომელში წარმოდგენილი თეალისმრისის თანახმადაც ინდოხაგაელთა ამბავი "ვეფხისგყაოსნის" მოეკეთებ ნაწილს" წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხებ უკანასკნელ წლებში გამოიტანებ გამსხვევებულ მოსამარებათა შესახებ იხ. 3; 4; 5; 6 და 10.

სუსტია... ნიშანდობლივია ინდო-ხაგაულთა ამბისა და პოემის ნამდევილი ნაწილის ამრობრივი მეუსაბაშობა... ამრიგად, ჩვენს დრომის მოღწეული რედაქტირის ინდო-ხაგაულთა ამბავს ვერ ჩაეთვლით მოთა რესტორანის ნაწარმოებად. ეს არის აღდგენილი, განახლებული ანუ რესტორანირებული რედაქტირი".<sup>1</sup> "თუმცა ინდო-ხაგაულთა ამბავს მეაფიოდ აქვს აღეჭვილი ინგერმოლაგორის ხელწერა (რაც უმთავრესად ენობრივ და მხატვრულ გაუმართაობაში მდგომარეობს), ჩვენ იყი მაინც დაუტოვეთ "ვეუხისტყაოსნის" ტექსტი, რამდენადაც ერთგვარად ავსებს პოემის მინარსობლივ ხარვეზს, ამთლიანებს და კომპოზიტორად მგკიცედ კრავს პოემის სიკეტს<sup>2</sup> თვალსაჩინოებისთვის ინდო-ხაგაულთა ამბავი, აგრეთვე ეპილოგი იძექდება განსხვავებული მრიუტით".<sup>3</sup> ბეჭომოვეანილი დასკენის მაგალითზე კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ კვლევის თანამედროვე ეტაპზე რესტორანი ვერ ჩამოყალიბდა ცალსახა პოზიცია ინდო-ხაგაულთა ამბის "ვეუხისტყაოსნის" ტექსტისათვის მიეკუთნების მართებულობა-მცდარობის თაობაზე. ეკანასენელ წლებში გამოიქვეყნებულ თაერთ სტატიებში ხვითისო გარიბე, აღნიშნულ საკითხზე ეორნელი კეცელიძისა და ნაწილობრივ, შალვა ნუსუბიძის უნიბილ მეხედულებებზე დაყრდნობით და იმავდროულად, ახალი არგემნტების მოხმობით, ვფიქრობთ, სავსებით დამაჯერებლად ასაბუთებს არა მხოლოდ ჩვენამდე მოღწეული სახით ინდო-ხაგაულთა ამბის ინგერმოლაციად მიჩნევის აუსილებლობას, არამედ იმასაც, რომ ეს ამბავი არ არის აუსილებელი "ვეუხისტყაოსნისათვის", რადგანაც ის "წრიული კომპოზიციით აგებული თხმულებაა", რომლის ერთ-ერთი

<sup>1</sup> იბ. 8, გვ. 6 (წინამდებარე სტატიაში ცვლილ "ვეუხისტყაოსნის" ტექსტის ცატაუის ვახდენის ამ კამოუკემის მიხედვით).

<sup>2</sup> ხაზი აქაც და შემდგომშიც ჩვენია, – გ.ბ.

<sup>3</sup> იბ. 8, გვ. 7.

დამახასიათებელი ნიმანია დასაწყისისა და დასასრულის პარალელიზმი".<sup>1</sup> მკელეერის განცხადებით, გერმინი "წრიული კომსომიტიდა" მას პომეროლოგიური (პომეროლის ეპოსის შემსწავლელი) სამეცნიერო ღიგერაგერიდან აუდია და ამდენად, როგორც მოსალოდნელი იყო, მის მიერ გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით, მკელეევარი პარალელს ავლებს "ეფეხისგყაოსნას" და "ილიადას" შორის. მისი ამრით, "ილიადაში" არ არის მო იხრობილი, თუ როგორ ბრუნდებიან სამშობლოში ტროადიდან გამარჯვებული ბერძნები. ამდენად, არც "ეფეხისგყაოსნისათვის" უნდა ყოფილიყო აუცილებელი გარიელისა და ნესტანის მინ, ინდოეთში დაბრუნებისა და იქ დახვედრილი ვითარების ასახვა. რესთველის პოემის დასაწყისისა და დასასრულის პარალელიზმი კი იმამი მდგომარეობს, რომ აეთანდილის არაბეთის ტახტზე ასვლით და თინათინთან ერთად გამეუყებით "აღდგა პარმონია და გაერთიანდა პოემის დასაწყისი და დასასრული". როგორც მკელეევარიც აღნიშნავს, მისი შეხედულება ემყარება კორნელი კეკელიძის ამრს, რომლის თანახმადაც "პოემის სიუკური რეალი იხურება ... არაბეთში, რასაკეიირველია" და არა ინდოეთში, როგორც ეს კონსტანტინე ჭიჭინაძეს მიაჩნდა. ჩვენი ამრით, გამართლებულია ამ საკითხისადმი მკელეერის მეთოდოლოგიური მიღებომაც, ერთოდ კი, "ეფეხისგყაოსნის" შედარება "ილიადასთან". განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩინა ამ ფაქტზე ყურადღების გამო ("ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები..." [9,1]) უკანასკნელ ათწლეულებში რესთველის პოემა, ძირითადად, მხოლოდ აღმოსავლეურ, ერთოდ კი, სპარსულ ეპოსთან შედარების ობიექტს წარმოადგენდა. "ეფეხისგყაოსნის" ამეარა კავშირმაც კი

<sup>1</sup> იბ. 5.

ანგიკურ და აღრეული შეა საუკუნეების ბერძნელ ფილოსოფიასთან, სამწერაოთ, ხელი ვერ შეეწყო პომეროლოგის უახლეს მიღწეუებშე დაყრდნობით ჟოემის კლასიკურ ეპოსთან შედარების დაწყების პროცესს.

გერმინის „წრიული კომპოზიცია“ (Circular composition) პომეროლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში მართლაც საქმარ ხმირად ვხვდებით. მაგრამ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან სელ უურო და უურო პომერარელი ხდება ახალი ტერმინი - „სტრუქტურული სიმეტრია“ (Structural symmetry), რომელიც პირველმა გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა სედრიქ ეიგმენმა თავის გახმაურებულ მონოგრაფიაში „პომერისი და საგმირო ტრადიცია“,<sup>1</sup> რის შემდეგაც ეს ტერმინი ფართოდ გაერცელდა როგორც ინგლისურენოვან, ისე გერმანულენოვან პომეროლოგიურ ნაშრომებში.<sup>2</sup> ამის მიზეზი კი ის იყო, რომ გერმინი - „სტრუქტურული სიმეტრია“ ბედმიწევნით გუსტად ასახავს პომერისის პოემების კომპოზიციურ თავისებურებებს.<sup>3</sup> კერძოდ კი, პომეროლოგების ამრით, „ილიადასა“ და „ოდისეაში“ სტრუქტურული სიმეტრიის ორი ძირითადი პრინციპი დასტურდება: 1. ე. წ. ჩაქეგილი წრიული კომპოზიციური პრინციპი (ა ბ ... || ბ" ა")<sup>4</sup> და 2. ე. წ. პარალელური დაყოფის კომპოზიციური პრინციპი (ა ბ ... || ა" ბ"). ეს უკანასკნელი ე. წ. მარგივი ანუ ერთწევრიანი პარალელიზმისაგან (ა | ა") სწორედ სიმეტრიულობით განსხვავდება. ეიგმენის უდიდესი დამსახურება პომეროლოგის წინამე იმაში მდგომარეობს, რომ მან შეამჩნია ის, რაც ყერადლების მიღმა დარჩათ როგორც პომერისის პოემების ანგიკური ეპოქის მკვლევარ-

<sup>1</sup> იბ. 27.

<sup>2</sup> იბ. 26, 23.

<sup>3</sup> დაწყრ. აღნიშნულ საკითხებშე იბ. 17, გვ. 38-69 და გვ. 102-114.

<sup>4</sup> აქეც და შემდეგმშეც ასოციროთ - ა ბ ... გადმოსუმელა ჟოემის შემადგენელი სუნები, ხოლო ასოციროთ - ა" ბ" ... კი - მათი სიმეტრიული სუნები.

კომენგაგორებს (მათ შორის არისგოგელესაც), ისე ახალი და უახლესი დროის მეცნიერებს. კერძოდ კი, — ის უაქტი, რომ "ილიადის" საწყისი (I სიმღერის) და დამასრულებელი (XXIV სიმღერის) ეპიზოდები ცენტრის ანუ პოემის დანარჩენი ტექსტის (II-XXIII სიმღერები) მიმართ ურთიერთსიმეგრიულად არიან განლაგებული.<sup>1</sup> კერძოდ კი, I სიმღერის სამი უმნიშვნელოვანესი სცენა — ა. თეგისი და აქილესი, ბ. თეგისი და ბეესი, გ. ღმერთების დავა ოლიმპობე — XXIV სიმღერაში კვლავ მეორდება, ოლონდაც მებრუნებული თანმიმდევრობით — გ". ღმერთების დაქა ოლიმპობე, ბ". თეგისი და ბეესი, ა". თეგისი და აქილესი. რა თქმა უნდა, I სიმღერაში აქილესის რისხვა მხოლოდ იწყება, ბეესის გეგმის მიხედვით, XXIV სიმღერაში კი, ბეესის გეგმის მიხედვითვე, აქილესის რისხვა მთავრდება. XX ს-ის მეორე ნახევარში სხვა პომეროლოგების მიერ ბემოაღნიშნული ეტხით პომეროსის ეპოსის შესწავლაში ცხადყო, რომ როგორც "ილიადის", ისე "ოდისეის" ტექსტები წარმოადგენენ სტრუქტურული სიმეგრიის კეცებურთელა ბადეებს, რომელთა შემადგენელი ელემენტები ანუ სცენები პოლიფუნქციური ხასიათისანი არიან, რამაც საშუალება მისცა პომეროლოგებს უფრო ნათელი წარმოადგენა შეპქმნოდათ პომეროსის ეპოსის ფორმირების გზების (ზეპირი თუ წერილობითი) შესახებ.<sup>2</sup>

პომეროლოგიაში ბემომოყვანილი მცირე ექსეურსის შემდეგ, რომელიც გასაგები მიზებების გამო აუცილებლად ჩაეთვალეთ, გვინდა პირდაპირ გადავიდეთ წინამდებარე სტაგის ძირითად საკითხებე — "ვეფხისგყაოსნის" ტექსტში ჩვენ მიერ დაფიქსირებული სტრუქტურული სიმეგრიის

<sup>1</sup> დაწვრ. იბ. 17, გვ. 38.; იბ. აურ. 12.

<sup>2</sup> დაწვრ. იბ. 13 (დამოწმებული ლიგერაგურის სახით იქნება წარმოადგენილი აღნიშნული საკითხების შემსწავლელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პომეროლოგიური სამუშაოების ბიბლიოგრაფია).

მემორანულებისა და შათთან დაკავშირებული პრობლემატიკის  
განხილვაზე.

პოემის მემორალნიშნული თვალსაზრისით მესწავლის  
შედეგად მის ტექსტი დავაფიქსირეთ სტრუქტურული  
სიმეტრიის რამდენიმე მემორანული: ერთი –  
მაკროსტრუქტურულ ღონებებზე, ე. ი. ტექსტის ორი,  
ერთმანეთისაგან დიდად დამორჩებული, მონაკვეთის  
ურთიერთშედარებისას, დანარჩენი ეი – მიკროსტრუქტურულ  
ღონებებზე, ე. ი. პოემის რამდენიმე მომიჯნავე სტროფის  
ფარგლებში.

„ვეფხისგყაოსნის“ ტექსტი დაუიქსირებული  
სტრუქტურული სიმეტრიის მემორანულების ილუსტრირებას  
დავიწყებთ მაკროსტრუქტურული დონის ანუ ე. წ.  
დისგანციური სტრუქტურული სიმეტრიის მემორანულის  
განხილვით. როგორც რუსთველოლოგიაში უკვე მემჩნეულია,<sup>1</sup>  
პოემის დასაწყისი და დასასრული ერთმანეთის  
პარალელურია. ჩვენი აზრით, პოემის საწყისი და  
დამასრულებელი სუნიტის განხილვა, კერძოდ ეი მათი  
ურთიერთ შედარება, უხადოფს, რომ ამ მემორანული  
ფიქსირდება არა მხოლოდ მარგივი კომპონიციური  
პარალელიზმი (რისი მემორანულის მრავლადაა როგორც  
თვით „ვეფხისგყაოსანმი“),<sup>2</sup> რაც გელისხმობს ტექსტის ორი  
მონაკვეთის დისგანციურ ან კონტაქტურ პარალელიზმს (ა |  
ა”), ისე ანგიკური, შეა საუკუნებისა და მემდგომი ეპოქების  
ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც<sup>3</sup>), არამედ სახეზეა  
სტრუქტურული სიმეტრია ანუ ტექსტის ერთ ადგილას (ამ  
მემორანული – პოემის დასაწყისში) არსებული ორი ან ორგე  
მეტი სუენა მეორდება იგივე ან მებრუნებული  
თანმიმდევრობით ნაწარმოების სხვა ადგილას (ამ

<sup>1</sup> ქაველიძე, ხ. შარიძე, – იხ. ბერთ.

<sup>2</sup> დაწურ. იხ. 11; იხ. ავრ. 14.

<sup>3</sup> დაწურ. იხ. 22.

შემთხვევაში – პოემის ბოლოს). კომპოზიციურად მთელი ნაწარმოების ან მისი მემადგენელი საღებული ნაწილების ამგვარად გამართვა სხვა არაფერია, თუ არა სტრუქტურული სიმეტრია, რაც ე. წ. კლასიკური ფორმით მხოლოდ პომეროსის ეპოსში დასტურდება. გემოთქმულის საილუსტრაციოდ მოყიყეანთ მესაბამის სცენებს „ეკუხისტურისნიდან“.

პოემის საწყისი სცენები:

ა. **ლხინი** (არაბეთის სასახლის კარზე თინათინის გამეუბის გამო)

ბ. როსტევანის მიერ ნადირობისას ნახულ უცხო მოყმესთან შეხვედრის უმედეგო მცდელობა

გ. თინათინის დაეალებით აეთანდილის წასვლა არაბეთიდან უცხო მოყმის საძებნელად

პოემის დამასრულებელი სცენები:

გ". აეთანდილის დაბრუნება არაბეთში უცხო მოყმესთან – ტარიელთან ერთად

ბ". როსტევანისა და გარიელის შეხვედრა

ა". **ლხინი** (არაბეთის სასახლის კარზე თინათინისა და ავთანდილის ქორწილის გამო) [და ინდოეთის სასახლის კარზე ნესტანისა და გარიელის ქორწილის გამო]<sup>1</sup>

გემომოყვანილ ჩაკეტილ წრიელ კომპოზიციურ პრინციპები (აბგ || გ "ბ" ა") დამყარებული სტრუქტურული სიმეტრიის ანალოგიური შემთხვევა „ილიადაში"<sup>2</sup> პომეროლოგების მიერ განიხილება ამ პოემის წერილობითი და არა მექირი გზით შექმნის საილუსტრაციო ერთ-ერთ

<sup>1</sup> ინდოეთში ნესტანისა და გარიელის ქორწილის სცენა, თუეი ის იმთავრისე არსებობდა პოემის გვესტმი, ჩექნი ამრით, არ არღვევს სტრუქტურულ სიმეტრიას, რასაც უკრ ერგულით ფარისალანის სიკედილის, ხაგაელებთან ახალი ომისა და სხვა კეიანჩამაგებულად მიჩნეული სცენების შესახებ, რომლებიც აშენად არღვევნ „ცეცხილებარსნის“ კომპოზიციურ სიმწყობრეს.

<sup>2</sup> იბ. შემოთ.

უმთავრეს არგუმენტად რესთველის ქოებაში კი სტრუქტურული სიმეტრიის ზემომოყვანილი მემთხვევა, ვფიქრობთ, იმის დასამტკიცებელ კიდევ ერთ არგუმენტად უნდა მიეიჩინოთ, რომ თავდაპირუელი, რესთველის სერია "ვეფხისგყაოსნის" ტექსტისათვის, კომპოზიციური თვალსამრისით, უქოთა ინდოხაგაელთა ამბავი! ბუნებრივია, ისშის კითხვა: მაინც რაგომ არ დაუსრულებია ქოებს ინდოეთში დაწყებული ამბის გადმოცემა? მაგრამ ამ კითხვაზე ჟასტის გაცემამდე, ჩვენი აზრით, საჭიროა დაეკავირდეთ ქოების დანარჩენ ტექსტს, რათა დაერწმუნდეთ, რომ ინდოეთის "დაუსრულებული" ამბის მსგავსად მასში მრავალადაა სხვა "დაუსრულებული" ამბებიც. მართლაც და, თუკი დავაკეირდებით, დაერწმუნდებით, რომ ავთანდილი და უადგმანი მეორედ მეხვედრისას ერთი სიგყვითაც კი არ გამოემცნაურებიან ერთმანეთს, თითქოსდა უნიბები ყოფილიყვნენ. არა და, ისინი ერთმანეთს მეობრებად დამორჩინენ. თუკი ამ "უნაური ფაქტის" ერთგვარი, თუმცა

<sup>1</sup> კ. ქეკელიძეა და ხ. გარიბის მოსამარება (იხ. ბეჭო), რომ არაბეთში დაწყებული ამბავი არაბეთმცვევ უნდა დასრულდეს, რადგანაც კომპოზიციურად პოემის სიუკეტური წრე აქ აკერძობა, ეფექტობი, ამგრამი შეხედულების მოწინააღმდეგო ედოვებს სკანსის საფუძველს (არაბეთში დაწყებულ ამბავს მოსდევს ინდოეთში დაწყებული ამბავი და თუკი ავთანდილის არაბეთში დაბრუნებით შეირჩა არაბეთის ამბების წრე, გარიელის ინდოეთში დაბრუნებით და შემდეგი გადმოცემული მოვლენების ჩვენებით უნდა შეიირჩა ინდოეთის ამბების წრე). გარდამ პოემის დასაწილის არაბელი სამი უზიმენებელოვანების სუნის სიმეტრიული განმშორება პოემის დამასრულებელ ნაწილში, რასაც ანალიგია ეტაპებისა პოემისის "ილიადაში". ემპლოინგით, აკულიებელთან ერთად ეკი საკრაინი არგუმენტიცაა ასტერი სკეპსისის გასაქარწყობებლად ინდოხაგაელთა ამბის დამატებით ხომ ამარალ ირდევეა "ვეფხისგყაოსნის" საწყისი და დამასრულებელი სეტენბის სიმეტრია, მის აღვალს კი რამე სხვა სახის სიმეტრია აღარ იქმნება! ამდენად, ვფიქრობთ, ნათელია, რომ სტრუქტურული სიმეტრიის თვალსამრისით, მნიშვნელოვანია არა არაბეთში დაწყებული ამბის არაბეთმცვე დასრულება, არამედ ღხანის სუნის დაწყებული თხრობის ღხინის სუნითვე დამთავრება, მიუხდავად იმისა, კი ღხინი მხოლოდ არაბეთში იმპრიება, თუ ინდოეთშიც.

აშეარად მოჩეუნებითი, ახსნა კიდევ შეიძლება იმის გათვალისწინებით, რომ ვითომდა, აეთანდილს არ უნდოდა თავისი სასიყვარულო თავგადასაცელის გახმაურება, როგორიცაა შეიძლება "აიხსნას" აეთანდილისა და თინათინის ანალოგიური დემილი პოემის ბოლოს დახატელი მათი შეხვედრის დროს, მით უმეტეს, ერთი მხრივ, გარიელისა და თინათინის. მეორე მხრივ კი, ნესტანისა და თინათინის საქმაოდ ერცელი დიალოგების უონბე? <sup>1</sup> რაგომ აღარ ჩანან "ეფხისგყაოსნის" დამასრულებელ ნაწილში შერმადინი და ვაზირი სოგრაგი? ანდა "რა ბედი ეწიათ" ქაჯეთის ციხემი დაგრევებელ ფრიდონის მეომრებს ქაჯების დაბრუნების შემდეგ? მართლაც და, თუკი ამგვარი, აშეარად მცდარი მსჯელობის ლოგიკას მივყებით, კიდევ არა ერთი მსგავსი კითხების დასმა გახდება მესაძლებელი. და მაინც, რაგომ არ უნდა ყოფილიყო პოემაში ბოლომდე გადმოუემული ინდოეთის ამბავი?

შემოთ ჩეენ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ეპირველებ ყოელისა, ცეინდა აღენიშნოთ, რომ ნაწარმოების კომპოზიციის შესაკრავად წრიცელი კომპოზიციის ან სტრუქტურული სიმეტრიის პრინციპების გამოყენება არანაირ მიზეზ-შედევობრივ კავშირში არ არის ამავე ნაწარმოების სიუკეტის, მასში გაღმოცემული ამბის ან ამბების მოჩეუნებით თუ რეალურ დაუმთავრებლობასთან. კომპოზიციის წრიცელობა და სტრუქტურული სიმეტრია ნაწარმოების შინაგანი ერთიანობის მხოლოდ ფორმისმიერი გამოხატულებაა. ისინი იმ თავისებურებათა საიდუსტრიაციო

<sup>1</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით, ეფიქრობთ, უაღვილო არ იქნება იმ უაქტე ფურადღების გამახეილებაც, რომ არე ქაჯეთის ციხის ალების შემდეგ შემდგრა გარიელისა და ნესტანის შეხვედრის სკენა "გადაგვართული" გმირებს შორის გამართება ღიალოვით. მართლაც და, რესთერები არაუერს გვამუნობს იმის შესახებ, თუ რა სიგვებით მიმართებ ერთმანეთის მრავალწლიანი იძულებითი განმორების შემთხვევაში კვდავ ერთად შეკრილმა მოგრძელება!

სამუალებაა, რომელთა მიხედვითაც შექმნილია ნაწარმოები და მიღწეულია მისი კომპოზიციური ერთიანობა და არა ამ უკანასკნელის გამომწვევი უაქტორი. მემოალნიმული საკითხის გასარკევეად ეს უნდა დადგინდეს. ახასიათებს თუ არა ნაწარმოებს, მის კომპოზიციას მინაგანი ერთიანობა. თუ კი არ ახასიათებს, მაშინ, გეპირი ეპოსებისა და ბოგიერთი აღმოსავლური თუ დასავლეთ კუროპაული წერილობითი ეპიკური პოემების მსგავსად, მოსალოდნელია, რომ მასში თხრობა ესასრულოდ იყოს გაწელილი.<sup>1</sup> თუ კი, პირიქით, – ახასიათებს, მაშინ თხრობის დასრულება დაკავშირებული უნდა იყოს თვით ამ ნაწარმოების კომპიტიციურ თავისებურებასთან დაკავშირებულ რაიმე კანონმიტიცურებასთან. ანალოგიური საკითხის გარკევებისას, კურძოდ კი "ილიადისა" და "ოდისეის" მინაგანი ერთიანობის წარმოჩენის პროცესში, თანამედროვე პომეროლოგები, მნიშვნელოვანწილად, კურდობითან არისგოგებეს შეხედულებას, რომელიც ბერძენმა მოაბროვნებ თავის "პოეტიკაში" ჩამოაყალიბა.<sup>2</sup> ასე მაგალითად, ანგიკური ეპოსის სტრუქტურის კელევისას მეცნიერები გამოყოფენ ორი ტიპის კომპიტიციას – დრამატულსა და ქრონოგრაფიულს. "ილიადისა" და "ოდისეის" კომპიტიცია, მათი ამრით, დრამატულია, ხოლო კ. წ. კიკლიკური ეპოსისა კი, ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე მოღწეული ფორმით, – ქრონოგრაფიული.<sup>3</sup> აღნიშნული თვალსაზრისი, რომელიც თანამედროვე პომეროლოგების მიერ, თითქმის, ერთხმადაა გამიარებული, მთლიანად ემყარება არისგოგებეს

<sup>1</sup> ასე შეაც. ყირკვიშვილი ეპოსი "შანასი" 200.000-ზე მეტ ტავზ შეიცავს (იხ. 21, გვ. 282).

<sup>2</sup> დაწერ. იხ. 17, გვ. 11-15.

<sup>3</sup> "ილიადის" შემთხვევაში კს იმაში გამოიხადება, რომ მასში აღწერილია არა მიეცილი იში, რაც ქრონიკოგრაფიული კომპიტიციისათვის არის დამახასიათებული, არამედ დრამატული კომპიტიციის შესაბამისად, იშის მხრიდან ერთი ეპიზოდი (იხ. 24, გვ. 34).

შეხედულებას პომეროსის პოემების შესახებ.<sup>1</sup> კერძოდ კი, ბერძენი მოაჩროენის აზრით, პომეროსი აღმაგება სხვა ეპიკოსებს თავისი პოემების სიუკეთის და ამდენად, მათში გადმოცემული მოქმედების ერთიანობითა და მთლიანობით. არისგოგრელეს რწმენით, ეპიკური სიუკეთი დრამატული უნდა იყოს, ანუ დამყარებული ერთ მთლიანსა და დასრულებულ მოქმედებაზე და არ უნდა ჰგავდეს ჩვეულებრივ ისტორიას, რომელმის გადმოცემულია ხოლმე არა ერთიანი მოქმედება, არამედ ერთიანი დრო და ყოველივე ის, რაც ამ დროის განმავლობაში შეემთხვა ერთ ან მრავალ მოქმედ პირს.<sup>2</sup>

შემოაღნიმნელის გათვალისწინებით ისმის ეთხვა: ერთიანია თუ არა "ვეფხისგყაოსნის" კომპოზიცია? "იღიადისა" და "ოდისეის" კომპოზიციათა მინაგანი ერთიანობის შესწავლისას პომეროსის ეპოსის მკვლევრები, ჩვეულებრივ, ეყრდნობიან არისგოგრელეს შეხედულებას ნაწილების ერთმანეთთან და მით უმეტეს, მთელთან მტკიცე კავშირის შესახებ,<sup>3</sup> რისი გათვალისწინებითაც, ჩვენი აზრით, რა თქმა უნდა, აუკილებელია, რომ სიუკეთის დასასრული ნათლად იყოს გამოკვეთილი ამგვარი ერთიანი მთელის ფარგლებში და იმავდროულად, თავისი ნიშან-თვისებებით არ დანსხვავდებოდეს მისგან. სწორედ ამას უნდა გელისხმობდეს არისგოგრელე, როცა ამბობს, რომ "დასასრული, პირიქით, არის ის, რაც თვითონ ბენებრივად მიძყვება რაიმეს, ... მას კი სხვა აღარაფერი მოსდევს. ამგვარად, კარგად აგებული სიუკეთი არ მეიძლება იწყებოდეს იქიდან და თავდებოდეს იქ,

<sup>1</sup> იბ. 16, თავები 8 და 23. არისგოგრელეს "პოეტიურამ" კონკრეტული აღვალების ყიდავისას წინამდებარე სგაფიაში ცველგან ეყრდნობით შემოაღნიმნედ გამოცემას.

<sup>2</sup> ჩვენი აზრით, ამეარაა, რომ "ვეფხისგყაოსნის" სწორედ ამგვარი, ე. ა. ქრონოვრაფაული კომპოზიციის მქონე, ეპიკური პოემაა, განსხვავებით "იღიადისა" და "ოდისეისაგან". დაწერილებით ჩვენი შეხედულება აღნიმნედ საკითხებს იბ. ქვემოთ.

<sup>3</sup> იბ. 16. 145la30-36.

სადაც მოგვესურვება";<sup>1</sup> "იმის შესახებ, თუ რამხელა უნდა იყოს მისი (ეპოსის, – გ. 6.) სიგრძე, საკმარისადაა ნათქვამი: საჭიროა, რომ როგორც დასაწყისისათვის, ისე დასასრულისათვის უცებ შეიძლებოდეს თვალის შევლება. ეს კი იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ეპოსი, მის ძველ ნიმუშებთან შედარებით,<sup>2</sup> ნაკლები სიგრძისა იქნებოდა და ბომით მიუახლოედებოდა ტრაგედიებს, რომლებიც ერთი წარმოდგენის განმავლობაში თამაშდებიან";<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი აზრით, "ვეფხისგყაოსანი" საერთო ჯამში არის არა დრამატული, არამედ ქრისტოგრაფიული კომპოზიცია და ამდენად, არის სრულებული თანახმად. არ არის მოსალოდნელი, რომ მას ქქონდეს მინაგანი ერთიანობა და რომ ის არ იყოს "განელილი" შემადგენელი ნაწილების ხარჯზე, რესტველის პოემის ამ კუთხით შესწავლა განხსნავებულ სურათს ავლენს. "ვეფხისგყაოსნის" ყოველი ეპიზოდი და სურა გადმოცემულია იმ პროპორციით, იმ გომით, რაც აცილებელია ძირითადი სიეკეტერი ხაზის გამლისათვის. სწორედ ამიტომაც ასე მრავლად მოიპოვება მასში ე.წ. "დაუმთავრებელი" ამბები და სწორედ ამის გამოი, რომ თუმცა "ვეფხისგყაოსანში" გადმოცემულია რამდენიმე წლის განმავლობაში მომხდარი მოვლენები, "ილიადაში" კი, როგორც უნობილია, მხოლოდ რამდენიმე დღისა,<sup>5</sup> როგორც პირველი, ისე მეორე პოემის

<sup>1</sup> იბ. 16, 1450b29.

<sup>2</sup> მ. გამსაროვის ახსნით (იბ. 16, გვ. 786), – კ. ი. "ილიადაშიან" და "ოდისვაშიან" შედარებით.

<sup>3</sup> მ. გამსაროვის ახსნით (იბ. 16, გვ. 786), არისგროველე უპირაგებობას ანიჭებს კრის დრამატული ტექნიკურისხედა (ანუ ოთხი ლრამა, თითოეული) ათასს სერიქონიშე თღია შერთ ხერმის (შეონე) ეპიკურ პოემას. სწორედ ამ შომისაა აქოლონის როდისელის "არგონავტები".

<sup>4</sup> იბ. 16, 1459b17.

<sup>5</sup> კურძოდ კი, 54 დღისა და 1 დამის განმავლობაში მომხდარი მოვლენები. არისგრუელე თავის "პოვდიაში" (იბ. 16, 1449b12) ოპერმალურად მიიჩნევს ერთი

კომპოზიცია ერთიანია. "ეკუხისგყაოსანში", "ზეპირი პოეზიის" (Oral Poetry) თეორიის მემკვიდრეობის მიღმან პარის მიმდევრების გერმინს თუ გამოვიყენებთ, არც ერთი სენა ან ეპიზოდი არ არის გეორნამენტირებული მაგრამ იქ, სადაც, სიუკური ხაზის განვითარების ლოგიკის მიხედვით, საჭიროა რომელიმე სენას ან ეპიზოდის რაიმე მიზეზით უფრო ერცად გამოიყემა, პოეტი ამას აღწევს დებლირების გრძით.<sup>1</sup> ბუნებრივია, არაა მოსალოდნელი, რომ "ეკუხისგყაოსანი", როგორც შეა საუკუნეების ქრისტიანული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ქრონიკრაფიული კომპოზიციის მქონე ნაწარმოები, პომეროსის პოემების მსგავსად აგებული იყოს ე. წ. ცენტრალური მოგივის პრინციპის გამოყენებით. მაგრამ აღნიშნული მიმართულებით "ეკუხისგყაოსნის" ტექსტზე დაკვირვებამ დაგვანახება, რომ რესტველთან ამ მხრივაც, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული არისგოგელესუელი რჩევები და ამჟარად იყრძნობა მსგავსება "ილიადასა" და "ოდისეასთან". საქმე ისაა, რომ, ჩვენი დაკვირვებით, "ეკუხისგყაოსანში" ფიქსირდება ე. წ. სიუკური ჯარალებიში: ერთი მხრივ, ავთანდილის ამბის სახით, მეორე მხრივ, კი – ტარიელისა. მაგრამ ეს ორი პარალელური სიუკური ხაზი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ერთმანეთისაგან გამიჯნული და ამდენად, ერთი საერთო სიუკური ხაზის ფარგლებშია მოქსეული.<sup>2</sup> ამჯერად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ პოემაში არსებული ზემოაღნიშნული ორი პარალელური სიუკური ხაზი, კომპოზიციური თვალსაზრისითაც, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულად იმღება. თუკი დავაკვირდებით,

<sup>1</sup> დაწერ. დებლირების შესახებ იხ. 25; 15.

<sup>2</sup> დაწერ. აღნ. საკოთხის შესახებ იხ. 14.

დავრწმუნდებით, რომ გარიელის (და ნესტანის) ამბავი გადმოცემულია ღრამაგული კომპოზიციისათვის დამახასიათებელი ხერხების საშუალებით. კერძოდ კი, გარიელის მთელი თავგადასავალი პოემაში ნაჩენებია არა ქრონიგრაფიული პრინციპით,<sup>1</sup> არამედ მთელი ამ ამბის გადმოცემა (გარდა როსტევან მეურის მონების დახოცვისა და ხაგაელ ძმებთან კონფლიქტისა) იწყება გარიელისა და აეთანდილის გაენობის ეპიზოდიდან, რომელსაც, "ილიადის" (აქილეეს რისხვის) ანალოგით, შეიძლება ეწოდოთ "გარიელის სიმაგრე". ამასთანავე, "ოდისეის" მსგავსად, რომელშიც ოდისეესის თავგადასავლის ედიდეს ნაწილს უკებელობთ თავად გმირის მონაყოლიდან უეაეთა ენძელზე, გარიელი თვითონ უკეება აეთანდიდას მათ გაცნობამდე მის თავს გარდამხდარ ამბებს. იგივე კომპოზიციური ხერხითაა პოემაში გადმოცემული ქაჯთაგან გადაკარგული ნესტანის ამბავის, რომელსაც აეთანდილი უაგმანისაგან ისმენს. ამდენად, გარიელისა (და ნესტანის) ამბავი პოემაში გადმოცემულია ღრამაგული კომპოზიციისათვის დამახასიათებელი ხერხით. აეთანდილის ამბავი კი, აშკარაა, რომ ქრონიგრაფიული კომპოზიციის ნიმუშია. მაგრამ არა იმგვარი ქრონიგრაფიული კომპოზიციისა, რომელსაც არის გროტესკული იწენებს, როგორც "გაწელილს"<sup>2</sup>. იირიქით

<sup>1</sup> გმირის ბაეშეობის წლები, მათის გარდაცვალება, ინდოეთის მეურის მიერ მისი შეიღავა აყვანა, გმირის დაცვეცვება, გამოჯნერება ნესტანთან. მათ ხაგაელებამთან საგრულის დაეკავებთ, სახიძის მოქალა, საგრულის დაკარგვა, მისი ეშეღვეუ ქებნა, ამის გამო გაშმაგრება, უწილონის გაუნობა, მისი დანშარება, ურიდონის შეზრდებით ნესტანის ქებნის განახლება, საგრულის პოვნის იმედის საბოლოოდ დაკარგვა, გყველები ასმათისა კრითად განმარტოებით ქორერება, როსტევანის მონების დახოცვა, კონფლიქტი ხაგაელ ძმებთან, აეთანდილის გაუნობა, აეთანდილის მიერ მიგნებული ნესტანის მეუბნების დახმარებით ქაჯთაგან გამოხსნა და მასთან შევღება.

<sup>2</sup> "აშკარად, ღრამებში ჩანართები (მინითადი სიეკეტერი ხაშიდან გადახევევები, – პ. ბ.) მოეღვა, ეპოსი კი, [იირიქით], მათი საშეალებით იწელება" (ხს. 16, 1455b16).

აკთანდილის ამბის რომელიმე ნაწილის პოემის ერთი  
 ადგილიდან მეორემი გადასმით ან საერთოდ ამოღებით  
 მეოცელებოდა და დაიმღებოდა "ვეფხისგყაოსნის" მთელი  
 მინაგანი ერთიანობა.<sup>1</sup> ამასევ ანუ ნაწარმოების კომპოზიტორი  
 ერთიანობას უკავშირდება, ჩეკინი ამრით, პოემაში ამბების  
 „დაუმთავრებლობაც“. კერძოდ კი, "ვეფხისგყაოსანში"  
 გადმოცემული ყველა ამბაერი მოყოლილია იმ ადგილამდე,  
 რომელამდეც მისი მონაწილეა (ე. ი. თვითშეიღველია ან  
 მსმენელია) თავად აკთანდილი. ასე მაგალითად, უცნობია, თუ  
 რა გარდახდა თავს თვით გარიელსაც კი მასთან აკთანდილის  
 პირველი და მეორე განმორების შემდეგ და მკითხველს ამის  
 შესახებ მხოლოდ ნაწილობრივ ექმნება წარმოდგენა  
 ასმათისა და თავად გარიელის მოქლე მონათხრობების  
 სამუალებით, მაგრამ ისევ და ისევ აკთანდილის დაბრუნების  
 შემდეგ იგივე ხდება აკთანდილის არაბეთიდან პირველად  
 წასვლის შემდეგაც. უცნობია არა მხოლოდ ის, თუ როგორ  
 შეასრულა მერმადინმა თავისი პატრონის დანაბარები,  
 არამედ არაფერია ცნობილი თვით თინათინის განცდების  
 შესახებაც კი და მით უმეტეს, სამოგადოდ, თუ რა მოხდა  
 არაბეთში, როსტევანის სასახლის კარზე აკთანდილის არ  
 ყოფის ღროს. რესტველი "ვეფხისგყაოსანში" გადმოცემს  
 მხოლოდ იმ ამბაეს, რომელიც აკთანდილს უმეალოდ ეხება,  
 დაწერილებით კი ამ ამბის მხოლოდ იმ ეპიზოდებს,  
 რომლებიც დაკავშირებულია თავდაპირველად გარიელის,  
 შემდგომში კი ნესტანის ძებნასთან. ჩვენი აზრით,  
 მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამ გარემოებითაა  
 გამოწვეული, რომ მიუხედავად ქრონოგრაფიული ხასიათისა,  
 აკთანდილის ამბავი და ამდენად, მთელი პოემა მაინც  
 ინარჩუნებს ამკარად გამოხადულ შინაგან ერთიანობას და

---

<sup>1</sup> ab. 16, 1451a30-36.

არსად ემსგავსება "გაწელილ" ამბავს. ეფიქრობთ, თხრობის ამგვარი პრინციპი გაუცნობიერებელი არ ენდა ყოფილიყო თვით რესტველისთვისაც. ამას გვაფიქრებინებს მემდევი გარემოება. ჩვენი დაკვირვებით, ავთანდილის თავებადასაცავის ჩვენებისას მხოლოდ ერთ ადგილას მეინიშნება მემოაღნიშნელი კომპოზიციური პრინციპიდან გადახევების მემთხევევა და ის თავად პოეგის მიერაა საგანგებოდ ხაზგასმული. მხედველობაში გვაქვს "ეკუსისგყაოსნის" ის ეპიზოდი, რომელშიც, გარიელის დახმარების მიზნით, ავთანდილის როსგევანისაგან უჩემრად გაპარვას მოჟის მიერ ამ ამისს მეტყობის ამსახველი სუენა, რომელიც აშკარაა, რომ არ არის აუცილებელი "ეკუსისგყაოსნის" ძირითადი სიუკეთერი ხაზის გამლისათვის და იმავეღროულად, თავიდან ბოლომდე მიმდინარეობს ავთანდილის გარეშე. ეფიქრობთ, რომ ამგვარი გადახვევა პოემისათვის ორგანული კომპოზიციური პრინციპიდან რესტველს გააჩრებელი აქვს და მთელი პოემის მანძილზე მხოლოდ აქ ერევა თხრობაში, რათა პირველ პირში, ემუალოდ მიმართოს მკითხველს და ერთგვარად აუწყოს, რომ ძირითადი ხაზიდან ამგვარი გადახვევა დროებითია და თხრობა კვლავ ავთანდილს, კერძოდ კი, მის "წამავლობას" დაუბრუნდება: "აწ ამბავი სხვა დაეიწყო, — ყმასა წავპყევ წამავალსა" (811,1), 18 სტროფის მემდევ კი: "აწყა დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა წამავლობასა" (829,1). ეფიქრობთ, პოეგი ამ ადგილას კრძნობს, რომ გადაუხვია ძირითადი ამბიდან და ცდილობს ეს ერთგვარი კომპოზიციური "ნაჯლი" გამოასწოროს ჩართული ეპიზოდის დასაწყისისა და დასასრულის პირდაპირი ხაზგასმით და ერთგვარად იმაზე მითითებით, რომ ის ამბავი, რომელიც ავთანდილს, კერძოდ კი, მის "წამავლობას" არ ეხება, "სხვა ამბავია". ანალოგიური მემთხვევება ანუ ერთ ამბავში ჩართული მეორე ამბის დასაწყისისა და დასასრულის აღნიშვნის ფაქტი ფიქსირდება

ფაგმანის მიერ ნესტანის ამბის მოყოლის დროსაც ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ პოემაში მოყოლენების განვითარების ღოვიეა მოითხოვს იმის ახსნას, თუ რატომ მეემინდა ფაგმანს ასე ძლიერ ჭამნაგირის მუქარის, რასაც ეძღვნება კიდევ 1200-1206 სტროუები. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ფაგმანისა და ჭამნაგირის სასიყვარულო პერიოდების გადმოცემა არ წარმოადგენს პოემის მთავარი სიუკეტური ხაზიდან საგრძნობ გადახევას, ამკარაა, რომ ფაგმანის მიერ ნესტანის ამბის გადმოცემას ერთგვარად შეამი წყვეტს ჭამნაგირის ამბის ამსახველი პასაკი. შესაბამისად, ბეჭოვანსილები მემთხევეების მსგავსად, აქაც ჩართული, ამ მემთხევევაში ჭამნაგირის, ეპიზოდის დასაწყისი და დასასრული ასევე პირდაპირაა ხამგასმული, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ამ ფაგტზე პოეტი თავად კი არ ამახვილებს მეითხეველის ყურადღებას, არამედ ფაგმანისა და ავთანდილის სიგყვების საშუალებით. ეკრძოდ კი, ნესტანის ამბის გადმოცემის პროცესში ფაგმანი მიმართავს ავთანდილს: "მის მოვარისა საღაობა კვლა გიაშხო, საქმე კვლაცი; / აწ ეწინა ესე გითხრა, რას მექადა ისი კაცი" (1200,1-2). მთავარი სიუკეტური ხაზიდან შვიდსტროუიანი გადახევების დასრულების მემდევ კი უკე ავთანდილი მოუწოდებს ფაგმანს კვლავ დაებრუნდეს ძირითადი ანუ ნესტანის ამბის თხრობას: "ყველე მითხარ მას აქათ, ქალი გამგზავნე შენ ოდეს, / რაცადა გესნას ამბავი ანუ რა მისი გსმენოდეს" (1208,1-2). ამდენად, ამკარაა, რომ ამ მემთხევევაშიც, თუმცა ამჯერად თავისი პერსონაჟების სიგყვებით, თავად პოეტი მაინც ერთგვარად რეაგირებს ერთი, მისი აღქმით, ძირითადი ამბიდან სხვა, მედარებით მეორეხარისხოვან ამბავზე გადასელის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ამ მემთხევევაში, ეკრძოდ კი, ჭამნაგირის ამბის ბოლომდე მოყოლით, მისი დასრულებით არ დარღვეულა, ყოველ მემთხევევაში ფაგმანის თვალთახედვით, "ვეფხისგყაოსნისათვის" დამახასიათებელი

ეომპიტიციური პრინციპი – არაძირითადი ამბების დაუსრულებლობა.<sup>1</sup> რესთველს პოეტური აღლო არც ამ შემთხვევაში დალაგობს. ამჟარაა, რომ როსტევანის მიერ ავთანდილის გაპარვის ამბის შეტყობისა და უაგმანისა და ჭამნაგირის "სიყვარულის" ამბის დაწერილებით ამსახველი სკენები ერთადერთია პოემაში, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდებიან ძირითად სიუკეთერ ხაშს. იმდენადაც კი, რომ მათი პოემიდან ამოღების ან სხვა ანალოგიური, ნაკლებად მნიშვნელოვანი სკენების მსგავსად ლაქონურად გადმოცემის შემთხვევაში მთელი ნაწარმოების მინაგანი ერთიანობა არანაირად არ დაირღვეოდა.<sup>2</sup> უფიქრობთ, არაპირდაპირი გმით, სწორედ ამასვე ადასტურებს რესთველის, უაგმანისა და ავთანდილის ზემომოყვანილი სიტყვებიც. ამდენად, ზემოთქმულის მემდებარევი აზრით, აღარ უნდა იყოს მოულოდნელი, რომ პოემაში ინდოეთის ამბავი არ არის გადმოცემული ბოლომდე. ეს ამბავი ხომ არ უკავშირდება ავთანდილის მიერ გარიელის და შემდგომში ნესტანის ძებნასა და პოენას და შესაბამისად, სხვა ამგვარი ამბების მსგავსად ისიც პოემაში ბოლომდე არაა მოიხსრობლი. ამჟარაა, რომ ინდოეთის ამბის ბოლომდე გადმოცემულობა არა მხოლოდ თანხმობაშია მთელი პოემის

<sup>1</sup> საქმე იხად, რომ "ეფუძნებულისნის" მეოთხველისაგან განსხვავებით, თვით უაგმანისათვეს ძირითადი ამბავი, რომ გამოს ის ავთანდილს უკეთა მოიქცევა ამ ამბავს, არის ჭამნაგირის კლიმოდი და არა ნეტებანისა. აუკენელი აღნიშნოთ, რომ მით უშეტეს მოულოდნელი ფაგმანის მიერ ამ რიც ამბის ერთმანეთისაგან ასე შეკვეთად გამოიჯვნა. თხრითის დასაწყისში ხომ ის მათ ერთ ამბად აღიქვამს და ამ ამბის მოყოლას თავიდან იწყებს ("თავითვან გათხრობ ყველასა, თქვენ სმენად დაემშალენით," 1116:4). კიდევ უფრო მეტადაა ამ ამბების სხვადასხვაობაზე ხაში გასმელი ავთანდილის სიტყვებში ("იგივე მოთხარ ... / ... ამბავი ...," 1208, 1-2). ამდენად, უფიქრობთ, ჭამნაგირის ამბის დასაწყისისა და დასასრულის ამგვარი ხაშკანმა უნდა აიხსნას თვით რესთველის ურთვევარი რეაქციით მისივებს მთავარი ამბის მეწვევეგაში, არამთავარი ამბის ბოლომდე კადმოცემის გამო.

<sup>2</sup> შედრ: "რამდენადაც ის, რისი არსებობა ან არარსებობა მეუმრნეველია, არ არის მთელის ნაწილი" (იბ. 16, 1451a36).

კომპოზიციურ თავისებურებასთან – არაძირითადი ამბების დაუმთავრებლობასთან, რაც, თავის მხრივ, „ვეუხისგყაოსნის“ შინაგანი ერთიანობის განმსაზღვრავი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, არამედ ერთგვარად გამომდინარეობს კიდევ მთელი პოემის კომპოზიციიდან და ამგვარი კომპოზიციის კანონზომიერ დასასრულ წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ აეთანდილის ამბავი ამჟარად ქრონიკაფიული პრინციპითაა გადმოცემული, ამ შემთხვევეამის შეიძლება პარალელის გავლება პომეროსის ეპოსთან. შევდევლობაში გვაქვს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ეკვე დიდი ხნის წინ შემჩნეული აეთანდილისა და ოდისევისის „დაუსრულებელი“ მოგზაურობების ერთგვარი ერთიერთმსგავსების ფაქტი.<sup>1</sup> ვფიქრობთ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „ილიადის“ სიუეტის ანალიზის დროს არისტოგრელე ყურადღებას ამახვილებს პომეროსისათვის დამახასიათებელ იმგვარ კომპოზიციურ ხერხზე, რომელზეც, ჩევნი აზრით, დამყარებულია მთელი „ვეუხისგყაოსნის“ შინაგანი ერთიანობაც. ეკრძოდ კი, არისტოგრელეს თანახმად, (პომეროსმა) მთელი ომი კი არ დახატა, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა დასაწყისი და დასასრული, ... არამედ აიღო [მხოლოდ] ერთი ნაწილი (აქილესის რისხეა, – ბ. ბ.), მრავალი დანარჩენი (ნაწილი) კი ჩანართებად გამოიყენა, ნაწარმოების დასაყოფად. მაგალითად, ხომალდთა კაგალოგი და სხვა ჩანართები.<sup>2</sup> მართლაც, თუკი დავაეკირდებით, ამჟარაა, რომ „ვეუხისგყაოსნის“ შინაგანი ერთიანობა (გარდა გემოაღნიმნული სცენათა ძირითადი სიუეტური ხაზის გამლისათვის საჭირო პროპორციების დაცვით გადმოცემისა,

<sup>1</sup> ა. ხევიძის შემოაღნიმნული მოსამრება მოგვყაჭს I, გვ. 155-ის მიხედვით. პომეროსისა და რუსთველის ურთიერთმსართების საეთხეს შესახებ დაწერ. იბ. I, გვ. 153-165.

<sup>2</sup> იბ. 16, 1459a30-38.

რითიც, თავის შხრივ, გამოწეულია არაძირითადი ამბების ე-წ. დაუსრულებლიბაც), მნიშვნელოვანწილად, ემყარება აკადემიური გარიელის ამბის ნაწილ-ნაწილ, თანდათანობით ჩაწნის კომპოზიციურ პრინციპსაც<sup>1</sup>. არისტოროგელეს ამრით, სიუეგის ის ნაწილია ცენტრალური, რომელიც დაიყოფა სხვა ნაწილებით ანუ ჩანართებით. შესაბამისად, "ეკუთხისგყაოსანში" კომპოზიციურად ცენტრალური მოგივის ფუნქცია აკადემიურის ამბავს ეკისრება, გარიელისას კი ე.წ. - ჩართულისა. რაյმ აკადემიურის ამბავია ჩაწნეული გარიელის ამბავი და არა პირიქით, არაბეტმი აკადემიურის დაბრუნების, მისი თინათინთან მეუღლებისა და კომპოზიციური თვალსაზრისით ცენტრალური მოგივის გადმომცემი ამბის უაქტობრივი დასრულების მემდევ, მთელი პოემის სიუეტური ლოგიკიდან გამომდინარე, აღარ არის მოსალოდნელი გარიელის ანუ

<sup>1</sup> იმ შედევრებს, რომელიც "ეკუთხისგყაოსანის" აღმოხაელურ ეპოსებთან მიმართების სხვადასხვა ასევებს იყენებს გაუჩნდეთ კოსტეა: ამ შემთხვევაში ხომ არა გაექცე საქმე არა იმდენად არისტოროგელეს მიერ შემწინეული ჰომეროსისეული კომპოზიციური ტექნიკის "ეკუთხისგყაოსანისეულ" მოდერიკალისთვის, რამდენადაც, კომიტეტი ნაწილობრივ ერთობ კი ინდური, ღიგერაგერის, ძირითადად, პროტოტიპ ჩახმის კომპოზიციურ ხერხია? ამ კითხას, მისი დახმის შემთხვევაში, კრიტიკომწენელონგად უარისფიც ჟასუბა უნდა გაეცის. საქმე ისაა, რომ ინდური ღიგერაგერისათვის დამახასიათებელი მოჩარჩოების კომპოზიციური ხერხი გულისხმობს საყრდენ ამბავიან, რომელსაც სიუეტურად დამზარე, ანუ შეორენარისხოვანი უანჭება აკისრია, კრიტიკოსისაგან დამოუკიდებელი, ჩართული ამბების დაქამინებას, ხშირად დიალოგების საშუალებით (დაწერ. იბ. 20, გვ. 56; 19, გვ. 210...). რამდენადაც აეთანდილის ამბავი ეკუ ჩაითელება დამზარედ და შეორენარისხოვნად. ხოლო მასში ჩართული გარიელის თავებადასაელის სხვადასხვა ნაწილი - კრიტიკისაგან დამოუკიდებელ ამბებად, ამღნად, აშერაა, რომ თავისი პოემის შექმნისას რესოურცებს არ ესარგებდა ინდურ-აღმოსაველური მოჩარჩოების კომპოზიციური ხერხით, ამგვარი გმირი გამართები უნდა იყოს „ბალაკრიანი“ და განსაკუთრებით, „ქილოდა და დამანა“ და სელხან-ხაბას „სიბრძნე-სისტემისა“. რომელთა კომპოზიციური წყობის "ეკუთხისგყაოსანისაგან" განსხვავებულობა, კუთხით, საგანგებო შეჯელობის გარეშე ამარაა.

ჩართული ამბის რომელიმე და მით უმეტეს, ახალი ნაწილის კელავ ჩვენება. ამდენად, თუკი რესოველს ექნებოდა ინდოეთის ამბის ბოლომდე ჩვენების სურვილი, მას შეეძლო ამის... გაეკთება „უფხისგყაოსნის“ კომპოზიციური თავისებურებების დაურღვევლადაც, კერძოდ კი, ავთანდილის არაბეთში მეორედ დაბრუნებამდე. მართლაც და, ავთანდილი კიდევ ერთხელ სთავამობს გარიელს დახმარებას ("ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე; / ინდოეთს გნახო მორჭმელი, საჯდომთა ზედა მჯდომარე, / გეერდსავავ გიჯდეს მნათობი, ჟირი ელვათა მკრთომარე, / მებრძოლნი თქვენნი მოგესრნენ, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე, / რა გამისრულდენ კაენი ჩემნი გულისა ნებანი, / მამინდა მივალ არაბეთს, მომხვდენ მის მშისა ხლებანი;" 1472-1473,2). მაგრამ გარიელის პასუხი, კუიქრობთ, არ გოვებს იმის ეჭვის საფუძველს, რომ მისთვის მთავარია და უფრო ძნელად მოსაგვარებელიც არა ინდოეთში დაბრუნება, არამედ ავთანდილისა და თინათინის ერთად „მეყრისათვის“ ხელმეწყობა (... მაგას არა ვიქმ, ამას არ უნდა მისანი, / ვით მანა პოენა მიიღზნი ჩემისა სულთა დგმისანი, / კერევე მანეა სამისოდ ნახნეს ძალ-გულნი ძმისანი!" 1474,2-4).<sup>1</sup> ამდენად, ზემომოყვანილი მსჯელობის მემდევ, კუიქრობთ, ეჭვს ალარ უნდა იწვევდეს ე. წ. ინდოხაგაელთა ამბის არა მხოლოდ ჩვენამდე მოღწეული სახით

<sup>1</sup> „იღავდის“ დასახრულის დადგენის ანალიგური პრობლემა არსებობს კომერციულობის (დაწერ. იბ. 17, გვ. 19). კერძოდ კი, პექტორის დაქრძალვა XXIV სიმღერისა და ამდენად, პოემის ბოლოს, თითქოს, არღვევს ვ. წ. ცენტრალური მოდეის - აქალეების რისხების არისკოგველებულ პრინციპს. მაგრამ ანგიქრობილია მოყოლებები ღლებები, მოუხედავად ამ ნაწილის ინტერპრეტაციად გამოიხადების მრავალი ყონისა, ის მანე პოემის თავდაპირელი პომეროსისეველი ტექსტის განკუთხველ ნაწილადაა მიმჩეული. რადგანაც: 1. მასში გადმოცემელ მნიშვნელოვან მოდიფიკაცია შედარებით საკმაოდ მცირე ზომისაა და ამდენად, არ აღიქმება პოემის დამოუკიდებელ ნაწილად და 2. სერუქერული სიმეტრიის თვალსამრისის, ის XXIV სიმღერისა და მიედიდ პოემის განკუთხველი კომპოზიციური ნაწილი (დაწერ. იბ. 12). კომერციულობის არსებული „ოდისეის“ დასასრულის დადგენის კრიბლების შეხეხებ იბ. 17, გვ. 18-19.

ინგერპოლაციად მიჩნევის აუცილებლობა, არამედ მისი კომპიტიციური შეეთავსებლობაც პოემის დანარჩენ ტექსტობან. რაც შეეხება ინდოეთში გადახდილი გარიცელისა და ნესტანის ქორწილის სეენას, მისი არსებობა პოემის თავდაპირველ, რესტერელისეულ ტექსტში კომპიტიციურად არ გვეჩენება დაუშეებლად (მაგრამ ამ შემთხვევებში, "იღიადაში" პექტორის დაქრძალვის მოყლევ აღწერილი ეპიზოდის მსგავსად, ის უნდა ყოფილიყო გადმოცემელი მხოლოდ რამდენიმე სტროფით,<sup>1</sup> რათა არ აღქმულიყო "სხვა ამბად"), თუმცა არც უიმისოდ დაირღვეოდა "ვეფხისგყაოსნის" ერთიანობა. პოემაში მოიპოვება თითო-თრიოლი სტროფი, რომელიც, თითქოს, ამჟარად მიუთითებენ, რომ არსებობდა პოემის სხვაგვარი დასასრული. მაგრამ, უფიქრობთ, ტექსტის მიუერძოებლად წაითხეის შემთხვევაში ისინი ჩვენშე ამგვარ შთაბეჭდილებას ვეღარ მოახდენენ.

ზემოთ გაკეთებული დასკვნები, მნიშვნელოვანწილად, ემყარება „ვეფხისგყაოსნის“ საწყისი და დამასრულებელი

<sup>1</sup> საუიქტებელია, რომ მთვლი პოემის სიუკედი, რომელიც რვალერი და უწყვეტი დროის კონკრეტულ მონაცემის ვითარდება, უნდა დასრულებულიყო ისეთიაცვა არარეალურ დროსთან შეტყობით, როგორიდან გამოყოფილი დაწყოს აუც არაბეჭის რობერვან ...“ (32). (“ვეფხისგყაოსნის” სიუკედის დახატვისის („აუც არაბეჭის...“) შეღრიულობან დაკავშირების შართებულობისათვის იხ. 7, გვ. 5. საშოგადო ეპოსისათვის, კერძოდ კი, დასაცემი უკროპულ საგმირო პერტვისათვის დამსახურიამზელი ღრივის განსხვავებულად აღმისი – ქრისტოლოგიური არათანმიმღერელობის, ღრივის წყებისა და ღრივის პირობითობის შესახებ იხ. 22, გვ. 115-116). ამდენად, ჩვენი მერიის, პოემა უნდა დამთავრებულიყო დროის ეპოსისათვის დამსახურებელი აღმის შესაბამისი ანუ კრისტენი ეღრიობისა და ღრივის უსახულობის შეკრძნების გამოწვევი ამ (ან ამის მსგავსი) რამდენიმე სტროფით: „აამ თუ კლეს, – ღმერითმან შათებრი სხვა ნურა ნუ დაპატიჟოსა! / მოკვებნან, მდერიბა ერავინ დაიქადოსა ...“ (1573); „ტარიელს და ცოლხა მისხა მიხედა მათი საწადელი – ...“ (1636); „... ავთანდილ მიხდა არაბეჭი, ნანა არ ცედნი ჭირვნა“ (1657); „გაახებწიოთა ცეირცერინი ბეჟით მოსრულმან ჭენამან“ (1658); „კოელითა სწორად წყალობასა ვითა თოვლისა მოათოვდეს, / – შიგან მთთა საპრძანისთა თხა და მცელი ერთგან სძოვდეს“ (1661) (შლ. 10, გვ. 69).

სცენების სტრუქტურულ სიმეტრიას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ისმის კითხვა: ფიქსირდებიან თუ არა პოემის დანარჩენ ტექსტი სტრუქტურული სიმეტრიის სხვა შემთხვევები? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, ბუნებრივა, პოემის საწყისი და დაასახულებელი სცენების ურთიერთსიმეტრიულობაზე დამყარებული სტრუქტურული სიმეტრიის რეალურად არსებობაში ჟევე ძნელი იქნებოდა ეჭვის შეგანა. როგორც წინამდებარე სტაგის დასაწყისშიც აღინიშნა, ამ კითხვას დადებითად უნდა უეპასეხოთ. „ვეფუბისტუასნის“ ტექსტი, ამჯერად მიერთს სტრუქტურულ დონეზე, მართლაც, დავაუიქსირეთ სტრუქტურული სიმეტრიის კიდევ რამდენიმე შემთხვევა, რომელთაც დისტანციური სტრუქტურული სიმეტრიისაგან განსხვავებით კონტაქტური შეიძლება ეწოდოს.<sup>1</sup>

სტრუქტურული სიმეტრიის შეორე შემთხვევა, ამჯერად დამყარებული პარალელური დაყოფის (აბგ || ა"ბ"გ") კომპოზიციურ პრინციპზე, ფიქსირდება პოემის თავმი "აქა რჩევა ნესგან-დარეჯანის გათხოვებისა", კერძოდ კი, იმ სამ სტროფში, რომლებმის გადმოცემულია გარიელთან ერთად ინდოეთის მეუე-დედოფულისა და სამი დიდებულის თათბირი, რომლის დროსაც გადაწყდა ნესგანის ხეარამშეთის ეფლისწელისათვის მითხოვება. ესა 509-ე, 510-ე და 511-ე სტროფები:

- დაეიწყეთ რჩევა საქმისა, გული მიც, თუცა მელია;  
კონტაქტური შემთხვევაში: "ჩემგან დამლა ამისი არ ითქმის, არსაქმნელია!"  
(509, 1-2)
- მეუემან ბრძანა: "ხეარამშება, ხელმწიფე ხერამშელია,  
თუ მოგვცემს მეილსა სასიძოდ, მისებრი არრომშელია".  
(509, 3-4)

<sup>1</sup> ტერმინები "დისტანციური სტრუქტურული სიმეტრია" და "კონტაქტური სტრუქტურული სიმეტრია" ხშირად გამოიყენება თანამედროვე პომეროლოგიურ ნაშრომებში.

- გ. რომე პირველვე დაეკვნა, მათ ესე მეეტყვებოდა;  
 ერთმანერთსაცა უჭერეთდეს, სიტყვაცა აგრე სწბებოდა.  
 (510, 1-2)
- ა". ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა,  
 ოდენ დაემიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა.  
 (510, 3-4)
- ბ". დედოფალმან თქვა: „ხვარაზმა მეუეა მორსუმით,  
 მჯდომელი,  
 მათსამცა შეიღსა სასიძოდ ჩეენთეის სხვა სჯობდა  
 რომელი!" (511, 1-2)
- გ". შეცილებამცა ვინ ჟადრა, რათგან თეით იყო მნიღომელი!  
 მოწმობა დაერთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდომელი.  
 (511, 3-4)
- პოემის ამ ადგილას დაფიქსირებული სტრუქტურული  
 სიმეტრიის შეგრი სიცხადით საჩვენებლად ზემოთ ერთხელ უკვე  
 ციგირებულ ტექსტს ქვემოთ აჩა", ბას", გაგ" უორმით კიდევ  
 ერთხელ მოვიყეანთ:
- ა. დაეიწყეთ რჩევა საქმისა, გული მის, თუცა მელია;  
 ვთქვი: "ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, არსაქმნელია!"  
 (509, 1-2)
- ა". ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა,  
 ოდენ დაემიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა.  
 (510, 3-4)
- ბ. მეფემან ბრძანა: „ხვარაზმა, ხელმწიფე ხერაზმელია,  
 თუ მოგვცემს შეიღსა სასიძოდ, მისებრი არრომელია".  
 (509, 3-4)
- ბ". დედოფალმან თქვა: "ხვარაზმა მეფეა მორსუმით  
 მჯდომელი,  
 მათსამცა შეიღსა სასიძოდ ჩეენთეის სხვა სჯობდა  
 რომელი!" (511, 1-2)
- გ. რომე პირველვე დაეკვნა, მათ ესე მეეტყვებოდა;  
 ერთმანერთსაცა უჭერეთდეს, სიტყვაცა აგრე სწბებოდა.

(510,1-2)

გ". მეცილებამცა უინ პკადრა, რათგან თვით იყო მნიშვნელო! მოწმობა დავრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდლმელი.

(511, 3-4)

ზემოგანხილულ სეუნასთან შედარებით, რომელიც მხოლოდ სამი სტროფისაგან შედგება, მთელი პოემის კომპოზიციისათვის ეიდევ უფრო მნიშვნელოვანია გარიელისა და ურიდონის გაცნობის ეპიზოდი. აქაც გარიელი ავთანდილს უყვება თავისი თავგადასაცლის იმ ნაწილს, როდესაც პირველად გადაეწერა ნესტანის კალის მიგნების იმედი. პოემის ამ ადგილას უიქსირდება სტრუქტურული სიმეტრიის კიდევ ერთი, მესამე შემთხვევა, დამყარებული პარალელური დაყოფის კომპოზიციურ პრინციპები: აბგდე || ა"ბ"გ"დ"ე". ამჯერად განსახილველი ტექსტის სიერცელის გამო თავს შევიყავებთ მისი მთლიანი ყიგაციისაგან და მხოლოდ სტრუქტურული სიმეტრიის შემადგენელი ნაწილების მინაარსების შემოქლებული გაღმოცემითა და მათი საბლერების მითითების მიზნით, ამ ნაწილების პირველი და ბოლო გაექცის მოყვანით შემოვიჟარგლებით:

ა. (591-593,1) დაჭრილი ფრიდონი და გარიელის მონა

("ზახილი მესმა. მევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა, / ... მას მონასა არა უთხრა, არცა სიგუვა მოუსმინა;")

ბ. (593,2-3) გარიელი ეკითხება ფრიდონს მის ამბავს ("ფიცხლა შევჯე, ჩავვეგებე, მე ჩავესწარ, ჩავე წინა, / უთხარ: <<დადეგ, გამაგონე, მენი საქმე მესა მინა! >>")

გ. (593,4-594,1) ფრიდონი აქებს გარიელს („მემომხედნა, მოვეწონე, სიარული დაითმინა. / გამიცადა, ღმერთისა პკადრა: <<მენ ასეთნი ხენი ვით ხენ! >>")

დ. (594,2-4) ფრიდონი უყვება თავის ამბავს გარიელს („მერმე

- მითხრა: <<მოგახსენებ, აწ სიგუვანი რომე  
მითხენ: / ... უკამავესა მიღალაგვს, საჭურ-  
ველნი ვერ გარ ვითხენ. >>>")
- კ. (595) გარიელს მოსწონს ფრიდონი, აწყნარებს მას და  
აღეთქვამს დახმარებას („მე უთხარ: <<დაღებ,  
დაწყნარდი, გარდავხდეთ ძირსა ხეთასა;  
/ ... მე ვავეკვირვე ჭერეტასა მის ყმისა  
სინაზეთასა.“)
- ა". (596,1-2) დაჭრილი ფრიდონი და გარიელის მონა  
(„ერთი მონა დასტაქარი მყვა და წყლულნი  
შეუხვივნა, / ისრის პირნი ამოქენა,  
დაკოდილნი არ ატკავნა.“)
- ბ". (596,3) გარიელი ეკითხება ფრიდონს მის ამბავს ("მერმე  
ექითხე, <<ეინ ხარ, ანუ მელავმან შენმან  
ვისგან ივნა? >>")
- გ". (596,4-597) ფრიდონი აქებს გარიელს („საამბობლად  
დამირიგდა, თავი მისი გაამჩინა. / ...  
დმერთმან მისგან ანთებული სანთელიმუა  
რად დაგავსო?“)
- დ". (598-606) ფრიდონი უკეცბა თავის ამბავს გარიელს  
(„მელდაბანბარის ქალაქი, ახლა მე მაქვსო  
რომელი, / ... უხმობ ყვავთა და  
ყორანთა, მათ ზედა ვაქნევ ხადილსა! >>")
- ე". (607) გარიელს მოსწონს ფრიდონი, აწყნარებს მას და  
აღეთქვამს დახმარებას („ამა ყმამან შე-  
მიკვეთა, გული მისეენ მიმიბრუნდა.  
/ ... ჩვენ ორთავე მეომარი განაღამუა  
შეგეიძრწენდა! >>")
- სტრუქტურული სიმეტრიის ეიდევ ერთი, მეოთხე შემთხვევა  
უიქსირდება ხატაელ ძმებთან ავთანდილის შეხვედრის  
ამსახველ ეპიზოდში. მაგრამ გარიელისა და ფრიდონის  
შეხვედრის ეპიზოდისაგან განსხვავებით, რომელმიც

დუბლირებულია ხუთი ელემენტი (აბგდე), ამ სექნაში, გამომდინარე მისი შედარებით ნაკლები კომპოზიციური მნიშვნელობიდან, დუბლირებულია მხოლოდ ორი ელემენტი (აბ): აბ || ა"ბ".

- ა. (194-195.1) ავთანდილი ეკითხება უცნობ მხედრებს მათ ვინაობას („ხელთა პქონდა ისარ-მშეილდი, მათენ მიერ მხიარული. / - უყივლა, თუ: <<ძმანო, ვინ ხართ? მეეობრეთა დაგამსგავ-სენ! >>")
- ბ. (195.2-4) უცნობი მხედრები მოკლედ აღწერენ თავიანთ მბიმე მდგომარეობას („მათ მიუგეს: <<დაგვიწყნარდი, გვიშველე რა, ცეცხლი ავსენ, / ... საგირელნი მოვეიგირენ, დაწენი მენცა დაიმხავსენ! >>")
- ა". (196.1) ავთანდილი კვლავ კითხვით მიმართავს უცნობ მხედრებს („ავთანდილ მიდგა, ეუბნა მათ კაცთა გელმდელარეთა;")
- ბ". (196.2-207) უცნობი მხედრები დაწერილებით ჟყევებიან თავიანთ ამბაეს („მათ უთხრეს მათი ამბავი, ტირილით მოებარეთა: / - ოდენ ჩნდა შავი ჭაიჭი მისი მის მზისა მარებლად.")

"ეფხისგყაოსნის" ტექსტში ჩეენ მიერ დაფიქსირებული სტრუქტურული სიმეტრიის მეხუთე შემთხვევა დასტურდება ავთანდილისა და გარიელის საუბარში, კერძოდ კი იმ ადგილას, როცა ავთანდილი ცდილობს მოასულიეროს დაბნედილი გარიელი. ესაა სტროფები 871, 872, 873 და 874. 871-ე და 874-ე სტროფების იდენტურობა აღექსანდრე ბარამიძემ მეამჩნია<sup>1</sup> პირველად. თუკი მხედველობამი

<sup>1</sup> მისი ციტაციის ქა სტროფება 874 და 877. მაგრამ მკლევარი პოემის ამ და სხვა მსგავს შემთხვევებს ეწოდებს ეპიკურ-კანტიკურებას (ხ. 2, გვ. 290-291). ეპიკური კანტიკურისა და კომპოზიციური პარალელობის, კურმოდ კი მისი ურთი-

მიეიღებთ 872-ე და 873-ე სტროფების ამეარა ურთიერთმსგაესებასაც, დაუიქსირდება სტრუქტურული სიმეტრიის წრიულ კომპონიციურ პრინციპები (აბ || ბ"ა") დამყარებული შემთხვევა:

ა. სტროფი 871:

„ყმამან უთხრა: <<რაშიგან ხარ, მენ საქმესა რად იქ ავსა?

ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა  
სწვავსა?

ვის უქნია შენი მსგავსი სხვათა კაცთა ნათესავსა?  
რად საგანას წაუღიარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?

ბ. სტროფი 872:

თუ ბრძენი ხარ, ყოვლინი ბრძენი აპირებენ ამა  
ჰირსა;

ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რამომცა ნელად  
გირსა.

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.  
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.

ბ". სტროფი 873:

ბრძენი ხარ და ვამორჩევა არა იყო ბრძენთა  
თქმიულებ,

მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა  
აისრულებ?

ვისთვის ჟედები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა  
მოიძულებ,  
თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად  
რად იწყლულებ?

ა". სტროფი 874:

ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილი სდებიან?

ერთი სახეობის – სტრუქტურული სიმეტრიის, ურთიმანულისაგან გამიჯვნის აუცილებლობის შესახებ იხ. 14, გვ. 176-178.

ვის არ უნახვან პატივი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან? მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან? არ იცი, ვარდნი უკელოდ არავის მოუკრებიან!>>

უფიქრობთ, ნათელია, რომ მემოაღნიშნულ ოთხ სტროფი დაფიქსირებული სტრუქტურული სიმეტრია, მიუხედავად მისი, შედარებით, მარტივი უორმისა – აბ || ბ"ა" (მასში მხოლოდ ორი (აბ) ელემენტია დუბლირებული), აღრე განხილული ოთხი ანალოგიური მემთხვევის გათვალისწინებით, არ წარმოადგენს ეპიკურ განმეორებას. ეს მემთხვევა კიდევ ერთი გარემოების გამოც არის მნიშვნელოვანი. დანარჩენი ოთხი მემთხვევისაგან განსხვავებით, ის წარმოადგენს სტრუქტურული სიმეტრიის არა სკენურ, არამედ ე. წ. სტროფულ-დიალოგურ ნიმუშს, რომლის მსგავსი მაგალითებიც, კლასიკური უორმით, მრავლად მოიპოვება პომეროსის ეპოსში!

სტრუქტურული სიმეტრიის ზემომოყვანილი მემთხვევები, რომლებმის ფიქსირდება იგივე კომპოზიციური ერინციპები, რომელთა გამოყენებით „ეფხისგყაოსნის“ საწყისი და დამასრულებული სკენების ურთიერთ სიმეტრიულობაცაა მიღწეული, უფიქრობთ, აშეარად აჩენებს ამ უკანასკნელის პომამი არსებობის არამემთხვევით ხასიათს და უკვეელს ხდის გექტში მისი არსებობის რეალურობას და არა მოჩენებითობას.

ამგარად, უფიქრობთ, ნათელია, რომ ინდო-ხაგაულთა ამბის დამატებით „ეფხისგყაოსნის“ გამგრძელებულმა, მისდა უნებურად, დაარღვია ის ბოგადი არქიტექტონური

<sup>1</sup> ასე მაგ, დიდერ ლომანმა შეისწაველა „ლიადაში“ გმირთა მიერ წარმოაქმედი სიცუკებისა და მათი ნაწილების მინაგანი კომპოზიციური ერთიანობისა და სტრუქტურის საკითხი (იხ. 26, გვ. 10...). რასმაც უარდებიანის ამრით, გვესგის აღნიშნელ მონაკვეთებმა დასტურდება სტრუქტურული სიმეტრიის იგუავე კომპოზიციური პრინციპები, რომლებიც ფიქსირდებიან პოემის სხვა სტრუქტურულ ერთეულებშიც (იხ. 17, გვ. 40...).

პრინციპები, რომლებსაც ემყარება მთელი პოემის სტრუქტურული აგებულება და მისი მინავანი ერთიანობა. ეს პრინციპებია:

1. არაძირითადი ამბების დაუსრულებლობა ძირითადი ამბიდან გადახვევის არ დასაშებად; და

2. მიუხედავად მთელი კომპოზიციის შემჯვრელი, უნგრალური ანუ ავთანდილის ამბის დასრულებისა, მასში ჩართული ანუ გარიელის ამბის ახალი ეპიზოდის კელავაც გადმოცემის დაუშევებლობა.

ამ ორ პრინციპთან ერთად „ეფუძნებულისნის“ კომპიზიციური აგებულება და მისი ერთიანობა, ჩეენი აზრით, ემყარება ერთ კიდევ უფრო მნიშვნელოვან პრინციპს. საქმე ისაა, რომ ჩეენ მიერ წინამდებარე სტატიაში გაკერით აღნიშნული პოემის ეპიზოდებისა და სცენების იმ პროპორციით გადმოცემა, რაც აუცილებელია ძირითადი სიუჟეტური ხაზის გამლისათვის, იწევეს არა მხოლოდ ე.წ. „დაუმთავრებელი“ ამბების სიმრავლეს, რამეც ზემოთ უკვე დაწერილებით ვისაუბრეთ, არამედ მოკლედ და გრძლად გადმოცემული ანუ თქმული სცენა-ეპიზოდების მეთხველისთვის და მით ემეტეს, მსმენელისათვის შეუმჩნეველ ურთიერთმონაცვლების (მდრ: ერთი მხრივ, „გრძელი სიგვა“ („სიგვა“: სათქმელი, ამბავი, – 8.ხ.) მოკლედ ითქმის, მაირია ამად კარგი“ [12,4] და მეორე მხრივ, „... და გამოსცდის... / ... მელექსესა ლუქსთა გრძელთა თქმა და ხვა“ ("ხევა": დახვა ანუ უკვე თქმულთან მიბრუნება, – 8.ხ.) [13,1-3]; „მომაირე არა პქიან, ვერას“ („ვერას“: ანუ ნაწარმოების ვერც ერთ ნაწილს და არა მხოლოდ მთელ ნაწარმოებს, – 8.ხ.) იგულის ვინცა გრძელად“ [17,4]), რაც „ეფუძნებულისნის“ მთელ კომპიზიციას საოცრად დაბალანსებულს ხდის, მის პოეტურ მეტყველებას კი ამჟარად გამოხატულ განუმეორებლობას ანიჭებს. აღნიშნული, ვუიქრობთ, მნიშვნელოვანწილად, მიღწეულია პოემაში სტრუქტურული

სიმეტრიისა და მარგიეთ პარალელიზმის კომპოზიციური პრინციპების მრავალგზისი გამოყენებით. მაგრამ, რამდენადაც ზემოაღნიმნელი ორი პრინციპისაგან განსხვავებით ეს მესამე პრინციპი უშააღოდ არ უკავშირდება „ვეფხისგყაოსნის“ დასასრულის დადგენის პრობლემას, წინამდებარე სტაგიაში მისი დეტალური განხილვისაგან თავს ვიკავებთ.<sup>1</sup>

და მაინც, ყველაზე ამჟარად გამგრძელებლის მიერ მესრულებული სამუშაოს კვალი, ვუიქრობთ, რომ გამოვლინდა რესთველის მიერ „ვეფხისგყაოსნის“ კომპოზიციის ჩარჩოს გამოსაკვეთად, მის დასაფიქსირებლად გამოყენებული იმ პრინციპის უნებური დარღვევებით, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, პომეროსის ეპოსისთვისაა ორგანელი<sup>2</sup>

<sup>1</sup> დაწერ, იბ. 15.

<sup>2</sup> ჩვენ მიერ დაუიქსირებელი სტრუქტურული სიმეტრიის ხეთი მემოზვეების ანალიზი ცხადოვთ, რომ „ვეფხისგყაოსნის“ დასტურება პომეროსის ეპოსისათვის დამახასიათებელი მიხი ირიკე ძარისადან უორმა: პარალელური დაყოფის პრინციპი (მე-2, მე-3, მე-4 მემოზვეება) და ჩავეტილი წრიული კომპოზიციური პრინციპი (I-ლი, მე-5 მემოზვეება). ამასთანავე, „ილიაჭავა“ და „ოდისეის“ მსგავსად სტრუქტურული სიმეტრიას მემოზვეები უიქსირდება როგორც მაკროსტრუქტურულ ღონიშვი ან მთელი პოემის მასშტაბით (კ. წ. სკუნათმორისის სიმეტრია, – I-ლი მემოზვეება), ან მიუროსტრუქტურულ ღონიშვი ან რამდენიმე (3, 17, 14, 4) მომიჯნავე სტროფის უარგლებში (კ. წ. სკუნისმიერიას სიმეტრია, – მე-2, მე-3, მე-4 მემოზვეება და კ. წ. სტროფულ-დიალოგური სიმეტრია, – მე-5 მემოზვეება). მსგავსიებებშე საუბრისას, ბუნებრივია, შედევრულობიდან არ უნდა გამოგერჩევა მათ მორის არსებული განსხვავებას. პომეროსის ვპოსმი სტრუქტურულ სიმეტრიას უნიკარსალური და ფორმისმომსკელი ხახიათი აქვს (იბ. 18, 76), „ვეფხისგყაოსნის“ კა ის სულ რამდენიმე აღვიდას კლინიკა და მიუხედავად იმისა, რომ ამ აღვიდებს მთელი

და რომელსაც ჩვენს სწორედ ამ ეპოსის მემსწავლელი  
 მეცნიერების წიაღმი შემუშავებული გერმინი –  
 "სტრუქტურული სიმეტრია" ვეწოდეთ..

## ლიტერატურა

1. ვ. ასათიანი, ანგიური და ბიბანგიური ტრადიციები ძველ  
 ქართულ მწერლობაში, თბილისი, 1996
2. ა. ბარამიძე, მოთა რესთველი, თბილისი, 1975
3. ხ. ბარიძე, "სად დავსვათ წერტილი?" ("ვეფხისგყაოსნის"  
 სიუკთისა და კომპოზიციის საკითხები კორნელი კეცელიძის  
 წერილებში) – „ლიტერატურული საქართველო”, 21-28 იქლისი,  
 1995
4. ხ. ბარიძე, "ბრძენი დივნოს გააცხადებს..." – „ლიტერატურული  
 ძიებანი" (საქ. მეცნ. აკად-ის მოთა რესთაველის სახელობის  
 ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), XIX, 1998, გვ. 216-228

ნაწარმოებისათვის საკეანძო მნიშვნელობა აქვთ, აშეარაა, რომ სტრუქტურული  
 სიმეტრია არ წარმოადგენს რესთველისათვის სამყაროს მთაგერული აღქმის  
 ერთალერთ და უნიკალურ სამეალებას. და მაინც, თუმცა "ვეფხისგყაოსნის"  
 ტექსტი სტრუქტურული სიმეტრიის მხრივოდ ხუთი შემთხვევა დაუიქსინდა,  
 ხოლო პომერისის ეპოსში კი მათი რაოდენობა შეედარებდად დიდია,  
 ეფიქტურობა, აშეარაა, რომ ისინი "ილადასა" და "ოდისეაში" კლასიკური ფორმით  
 არსებული სტრუქტურული სიმეტრიის მრავალრიცხვანი შემთხვევების  
 იდენტური არიან.

5. b. გარიძე, "ორი საფეხური და ერთი წრე" (კეცხის ტყავის სიმბოლიკა "ვეუხისგყაოსნის" სიუცებსა და კომპოზიციაში) – „ლიტერატურული საქართველო”, 3-10 ივნისი, 1998
6. b. გარიძე, „ერთი ამბავი აიწყე...“ – „ლიტერატურული ძიებანი“ (საქ. მეცნ. აკად.-ის მოთა რესთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), XXI, თბილისი, 2000, გვ. 188-202
7. 8. კოჯაძე, ავთანდილის ანდერძი, თბილისი, 2001
8. მოთა რესთაველი, ვეუხისგყაოსნი, თბილისი, „მეცნიერება“, 1988
9. რ ფირცხალაიმეილი, „ინდო-ხაგაელთა ამბავი "ვეუხისგყაოსნის" მოუკეთელი ნაწილი“ – „ლიტერატურული ძიებანი“ (საქ. მეცნ. აკად.-ის მოთა რესთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), XXI, თბილისი, 2000, გვ. 203-214
10. ე. ხინთიძე, "ვეუხისგყაოსნის მხატვრული სტუქტურა და რესტავრაციის ძირითადი გექსტოლოგიური კრობლემები" – აკადემიკოს ალექსანდრე ბარაშიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 2002, გვ. 59-74
11. 8. ხინთიძე, "იდეალურ გმირთა ინდივიდუალიზაციისათვის <<ვეუხისგყაოსანში>>" – "მაცნე" (ენისა და ლიტერატურის სკრიპტი), 4, 1987, გვ. 46-61
12. 8. ხინთიძე, სტუქტურული სიმეტრიის პრინციპები "ილიადის" სიმღერათა კომპოზიციაში, თბილისი, 1988 (ავტორუფერაგი ფილოლოგიურ მუსიკორებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად)
13. 8. ხინთიძე, "როგორ შეიძლება მექმნილიყო "ილიადა": პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას, დემოდოკეს სახით, გვაძლევს თავად პომეროსი?! (ახალი ვარაუდი "ილიადის" გვენეზისის თაობაზე)". – "მაცნე" (ენისა და ლიტერატურის სკრიპტი), 4, 1992, გვ. 31-63
14. 8. ხინთიძე, "კომპოზიციური პარალელიზმი პომეროსის ეპოსსა და მოთა რესთაველის <<ვეუხისგყაოსანში>>" – "მწიგნობარი" (საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის

- მწიგნობართა ასოციაციის ყოველწლიური აღმანახი), თბილისი, 2000, გვ. 172-182.
15. ბ. ხინიაძიძე, "მარტივი კონტაქტერი პარალელიზმი და მისი უნიკურული ეპიკურ ტრადიციებში" – ამირანი (კევეპასიოლოგიის საერთაშორისო სამუსიკორო-კელეკითი სამოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე), N 6, თბილისი-მონრეალი, 2002, გვ. 114-174.
  16. Aristotel, *Poetika* (Perevod M. L. Gasparova), Moskva, 1983.
  17. R. V. Gordeziani, Problemy gomerovskogo 'posa', Tbilisi, 1978.
  18. R. V. Gordeziani, "Problemy kompozicionnoj organizacii v rannegrekhesskom 'pose'". – სტატიათა კრებულში: A. F. Losev, k 90-letij so dnq ro'deniq, Tbilisi, 1983, გვ. 74-90.
  19. P. A. Grincer, Drevneindijskaq proza, M., 1963.
  20. P. A. Grincer, "Dve 'poxi literaturnyx svqzej'. – სტატიათა კრებულში: Tipologiq i vzaimosvqzi literatur drevnego mira, M., 1971, გვ. 7-67.
  21. V. M. "irmunskij, Narodnij geroiheskij 'pos', M.-L., 1962.
  22. B. Fenik, Homer and the Nibelungenlied (comparative studies in epic style), Camb./Mass., and London, England, 1986.
